ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 13 დეკემბერი 2000 №240 (1262) | ფასი 50 თეთრი

# ფიფა: საგონებელი საგონებელში



## საუკუნის აქციამ ფიფას არა მხოლოდ პელეს ბრაზილია და მარადონას არგენტინა, მთელი სამხრეთ ამერიკა გადაჰკიდა



REUTERS

**ვინ** არის საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელი? რაღა საკითხავია, ფიფამ ხომ გააკეთა არჩევანი, მაგრამ... აკი ამერიკელებმაც ჩაატარეს არჩევნები და მაინც ვერ გაურკვევიათ პრეზიდენტის ვინაობა. ჰოდა, სამხრეთამერიკელებიც ვერ არკვევენ.

„მე ხალხმა მომცა ხმა, ოქმში კი პელე ჩაწერეს" — ამბობს მარადონა.

„საფეხბურთო მატჩის ბედი მინდორზე კი არა, მსაჯთა ოთახში გადაწყდა" — ხატოვნად აღწერს სურათს ბრაზილიური გაზეთი.

„პელეს გამარჯვება ლანგრით მიართვეს" — ქილიკობს სხვა.

პერუელებმა ისტორია გაიხსენეს და ფიფა მეფე სოლომონს შეადარეს, მისებრ ბრძნულად გადაჭრა პრობლემაო.

ლეგენდარული არგენტინელი ფიფას დერეფნებში პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადესო — ამასაც წერენ.

კოლუმბიაში თქვეს, ფიფამ პელე და მარადონა ერთმანეთს შეაჯახა, თავად კი ხელები დაიბანაო.

ბუენოს აირესის ქუჩებში უკვე გამოიკიდა პლაკატები: „ნაძირალა ფიფა".

ერთი სიტყვით, ასეა: ორშაბათამდე დავობდნენ, მარადონა თუ პელეო, ახლა კი ამ საკითხმა თითქოს მნიშვნელობა დაკარგა და ყველა ფიფასკენ იშვერს თითს, რომელიც გინდა ყოფილიყო, ოღონდ ერთი! არანაირი ორი ვერსია, როგორც ეს გააკეთესო.

ფიფა გრძნობს, რომ სადღაც შეცდა. სად, როდის? როცა საინტერნეტო გამოკითხვა დაიწყო. მარადონა ამბობს: „ტყუილია, თითქოს მე ბავშვებმა მომცეს ხმა, რადგან კომპიუტერებთან ძირითადად ისინი სხედან. რატომ გავიწყდებათ, რომ მათ კომპიუტერები მამებმა უყიდეს და იმ მამებს შეეძლოთ, ხმა პელესთვის მიეცათ".

ფიფა ამის საპასუხოდ არაფერს ამბობს, ის სხვა რამეს შეუწუხებია — ინტერნეტში კითხვა არასწორად დავსვითო. უნდა ყოფილიყო: „ვინ არის ათწლეულების საუკეთესო ფეხბურთელი?" უბრალო კორექტურა გაგვეპარა, ათწლეულების ნაცვლად ათწლეული ეწერა და ხალხიც ამან შეაცდინაო.

თავში ამერიკა ვახსენეთ და იქ რამდენიმე წლის წინ ასეთი ამბავი მოხდა: ნასას პროგრამისტმა ერთი სიმბოლო უნებლიეთ არასწორად შეიყვანა კომპიუტერში. შედეგად თანამგზავრმა ორბიტიდან გადაუხვია. ქვეყანამ მილიარდ დოლარზე მეტი იზარალა.

ფიფამაც უბრალო შეცდომა დაუშვა, ოღონდ კოსმოსში ფულის ნაცვლად სამხრეთ ამერიკაში რეპუტაცია დაკარგა.

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები

# გიორგი ასანიძე წლის საუკეთესო სპორტსმენია!



**საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსმედალოსანი თავის რჩეულად დაასახელა.**

**სეოკ-ის ვერსიით, სპორტის ოლიმპიურ სახეობებში 2000 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ასეთია:**

*ემზარ ბედინეიშვილი ........ (თავისუფალი ჭიდაობა)*
*გიორგი ვაზაგაშვილი ........ (ძიუდო)*
*მუხრან ვახტანგაძე ........ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)*
*ზურაბ ზვიადაური ........ (ძიუდო)*
*ელდარ კურტანიძე ........ (თავისუფალი ჭიდაობა)*
*გრიგოლ მამრიკიშვილი ........ (ძიუდო)*
*ნინო სალუქვაძე ........ (სროლა)*
*აკაკი ჩაჩუა ........ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)*
*ვლადიმერ ჭანტურია ........ (კრივი)*
*გიორგი ნურნუმია ........ (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა)*

*ცხრა წლის წინანდელი ამბავია — ეროვნულ ჩემპიონატში მეტად საინტერესო გუნდი გამოჩნდა, თითქმის სულ ახალგაზრდებით დაკომპლექტებული „მრეტები“. პერსპექტიული ფეხბურთელები ბევრი ჰყავდა „მრეტებს“ და ერთ-ერთი მათგანი მიმდინარე ჩემპიონატის ბომბარდირი ზაზა ზირაქიშვილიც გახლდათ.*

*ჩვენში ბევრი სხვა ნიჭიერი მოთამაშის დარად, ზირაქიშვილის კარიერაც აღმართ-დაღმართ წარიმართა და ზოგს აღარც სჯეროდა ამ ვერცხლისწყალივით სწრაფი ფორვარდის პერსპექტივის. ზაზას მიზეზთა გამო მართლაც საკმაოდ ბევრი გაუცდა, ხშირ შემთხვევაში ასეთი რამ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ფსიქოლოგიურად თრგუნავს, ხანდახან ხელსაც კი ჩააქნევინებს კარიერაზე.*

*...ახლა თბილისის „დინამოსა“ და ჩემპიონატის მთავარი მეგოლე ზაზა ზირაქიშვილი 25 წლისაა, 10 გატანილი გოლით ბომბარდირთა სიას ლიდერობს და, შეიძლება ითქვას, რომ თავის თამაში, როგორც იქნა, „დაიჭირა“.*

# ზაზა ზირაქიშვილი: ყველა ჩემი მდევარია



„დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ 4:0. ზაზა ზირაქიშვილს (№10) მირზა მერლანის კარში თავურით გოლი გააქვს

— ამ კონკრეტული მომენტისთვის კმაყოფილი ხარ შენით?

— ასე ვიტყოდი, საშემოდგომო ეტაპზე ჩემს თამაშს დამაკმაყოფილებლად ვაფასებ. კარგია, როცა გუნდში, ასე ვთქვათ, სრულფასოვნად ჩაჯდები, მოერგები მას. მართალია, რუსთავის „გორდაშიც“ მქონდა საშუალება, თავი წარმომეჩინა, მაგრამ დღესდღეობით სულ სხვა ვითარებაა. ახლა ისეთ ასაკში ვარ, რომ შესაძლებლობების მაქსიმუმის, ჩემი პოტენციალის სრული გამომჟღავნება იწყება.

— „დინამოში“ ჯერ კიდევ რვა წლის წინ გადახვედი „მრეტებიდან“, მაგრამ ფორმალური საკითხების მოუგვარებლობის გამო ძირითადში თამაშის საშუალება არ მოგეცა. წინა სეზონში კი კვლავ „დინამოში“ აღმოჩნდი და შენგან ბევრს ელოდნენ, მაგრამ...

— წინა სეზონი მართლაც ჩამივარდა. მწვრთნელები თვლიდნენ, რომ ფორმაში არ ვიყავი. მეც ერთხანს ბულგარეთში თამაში მოვისურვე, წავედი, წამოვედი... ერთი სიტყვით, ამანაც ხელი შემიშალა, თანაც „დინამოში“ ფინანსური პრობლემები შეიქმნა, რამაც გუნდში საერთო სიტუაციაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა.

— მთავარ მწვრთნელად რევაზ არველაძის მოსვლის შემდეგ ალბათ ბევრი რამ შეიცვალა. გარედან ისე ჩანს, რომ „დინამომ“ სულ სხვა ცხოვრება დაიწყო.

— ინტერტოტოს თასზე თამაშის გამო მოსამზადებელი პერიოდი გვიან დავიწყეთ, რამდენიმე ახალი მოთამაშე დაგვემატა, თანაც ძირითად შემადგენლობაში ისეთი ფეხბურთელები გამოჩნდნენ, რომლებიც ხშირად სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. არველაძის ტაქტიკისთვის ალღო რომ აგვეღო, დრო იყო საჭირო — გუნდს ფაქტობრივად ხელწერა დაკარგული ჰქონდა. აი, სწორედ ამ ფაქტორების გამო არ გამოუვიდა „დინამოს“ შთამბეჭდავი სტარტი მეთორმეტე ეროვნულში, მერე კი ნელ-ნელა გუნდი გუნდს დაემსგავსა და შედეგმაც არ დააყოვნა.

— ფინანსური ფაქტორი არ გიხსენებია...

— ამ მხრივ არც არველაძის მოსვლისას გვილხინდა, მაგრამ სიტუაცია ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესობისკენ იცვლებოდა.

— „დინამომ“ საშემოდგომო ეტაპი მესამე ადგილით ჩაამთავრა, თუმც ბოლო მატჩში „ლოკომოტივთან“ რომ ემარჯვა, პირველ ადგილზე აღმოჩნდებოდა. გამოითქვა ვარაუდი, რომ რაკი „ლოკომოტივთან“ თამაშის წინ „დინამოს“ ფეხბურთელებმა კუთვნილი თანხა ვერ მიიღეს, მწვრთნელი დაალალატეს და მთელი ძალითა და შემართებით არ დაუპირისპირდნენ მეტოქეს.

— „ლოკომოტივთან“ მარცხი ამის ბრალი არ არის. უბრალოდ, სათანადოდ ვერ მოვემზადეთ, ვერ განვეწყვეთ ამ მატჩისთვის. ლოგიკური იქნებოდა, შეხვედრა ფრედ დასრულებულიყო, მაგრამ ფორტუნამ მეტოქეს გაუღიმა. „ვიტ ჯორჯიასთან“ პირველ სათასო რაუნდისთვისაც სათანადოდ ვერ მოვემზადეთ, მეორე შეხვედრა კი ნაღდად უნდა მოგვეგო, მაგრამ კვლავ არ გაგვიმართლა.

— გასაგებია, მაგრამ უფულობა, ალბათ, მაინც თავისას აკეთებს.

— რა თქმა უნდა, ამის უარყოფა არც იქნება. დავალიანებას ნელ-ნელა გვისტუმრებენ, თუმც ხელფასების და პრემირების ჩამოყალიბებული, დახვეწილი სისტემა „დინამოში“ ჯერ არ არის.

— მიუხედავად პრობლემებისა, „დინამოს“ მაისურით თამაში უდავოდ დიდი სტიმულია. თუმც, როგორ ფიქრობ, დღესდღეობით ხმამაღალ ნათქვამად ან ხავსმოდებულ მცნებად ხომ არ იქცა ყოველივე ეს?

— როგორც უკვე ავღნიშნე, სეზონის დაწყებისას ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო და რომ არა ფეხბურთისა და „დინამოს“ სიყვარული, კრიზისის დაძლევა, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა. „დინამოში“ თამაში მართლაცდა სულ სხვა რამაა, ამიტომაც ყველანი მონდომებულები ვიყავით.

— კი მაგრამ, წინა სეზონში ეს მაინცდამაინც რომ არ იგრძნობოდა?

— ყველაფერი ალბათ ისევ და ისევ მწვრთნელისგან მოდის. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ და რანაირად განაწყობს იგი ფეხბურთელებს. რევაზ არველაძე ყოველთვის გვამხნევებდა, მენტალურ ფაქტორზე მკვეთრად აკეთებდა აქცენტს.

— პირველი 7 ტური სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდებოდი, შეცვლებზე თამაშობდი, თუმცა ამას შენთვის ხელი არ შეუშლია, ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულიყავი...

— რა თქმა უნდა, ჩემი სურვილი იყო, პირველ მატჩებშიც სასტარტო შემადგენლობაში ვყოფილიყავი, მაგრამ რევაზ არველაძე ყველაფერს აკეთებდა, რომ ამის გამო ფსიქოლოგიურ წნეხში არ მოვქცეულიყავი.

— რევაზ ძოძუაშვილმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „დინამოს“ რამდენიმე ფეხბურთელს სანაკრებოდ ვაკვირდებიო და შენც მათ შორის დაგასახელა. რას იტყოდი ამის შესახებ?

— ძოძუაშვილი კარგად მიცნობს და იცის ჩემი შესაძლებლობები. თავის დროზე მან გადამიყვანა „მრეტებიდან“ „დინამოში“. მერე, როცა ის რუსთავის „გორდას“ ჩაუდგა სათავეში, მეც იქ გადავედი. ძოძუაშვილის წყალობით ბევრი რამ ვისწავლე. რა თქმა უნდა, მოხარული ვარ, რომ სანაკრებოდ მაკვირდება, ჩემის მხრივ ყველაფერს გავიღებ, რათა ეროვნულ გუნდში თავის გამოჩენის შანსი მომეცეს.

— თავის დროზე იოჰან ბოსკამპი გთვლიდა ნაკრების კანდიდატად. საქართველოს კლუბების ნაკრების ორმხრივ თამაშშიც გამოგცადა.

— მართალია, სწორედ ბოსკამპმა მიმიწვია ხელმეორედ „დინამოში“, მაგრამ მაშინ „არსენალიდან“ „ტორპედოში“ ვაპირებდი გადასვლას, თუმც ეს არ მოხდა და ამასობაში „დინამოში“ ჩემი ჩარიცხვაც გაჭიანურდა. გუნდში „ზიმბრუსთან“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩის წინა დღეს მივედი და, რაღა თქმა უნდა, განაცხადში ჩემი შეყვანაც ვერ მოესწრებოდა.

— ტრანსფერი არ შედგაო თქვი და მოდი ბარემ ის ამბავიც გავიხსენოთ, როცა პორტუგალიის უმაღლესი ლიგის „ფარენსეში“ თამაშობდი, მაგრამ მოულოდნელად მალე წამოხვედი იქიდან.

— ამაზე ძალიან მწყდება გული, არ უნდა მეთქვა უარი „ფარენსეში“ თამაშზე. მაშინ საქართველოდან შემეხმიანენ, გერმანიაში უკეთესი ვარიანტი არისო და მეც გასასინჯად მეორე ბუნდესლიგაში მეოთხე ადგილზე მყოფ „უნტერჰახინგში“ წავედი. არადა, რა მრჯიდა, გასასინჯად წავსულიყავი, რო[...] ცა დღე-დღეზე „ფარენსეს“ კონტრ[...] ქტზე ხელი უნდა მომეწერა, მაგრ[...] გერმანიაში თამაში ხომ უფრო მა[...] დური პერსპექტივაა. „უნტერჰახინგი[...] მწვრთნელი კეთილი თვალით მიყურ[...] ბდა, საქმესაც კარგი პირი უჩანდა, მა[...] რამ მერე ისე მოხდა, რომ ტრანსფე[...] არ შედგა და საქართველოში დაბრუ[...] ნებამ მომიწია.

— ჩვენც აქაურობას დავუბრუნდე[...] „დინამო“ კვლავაც ჩემპიონობისთვ[...] იბრძოლებს, როგორ უყურებ ამ პერ[...] პექტივას?

— თუ გუნდს წამყვანი მოთამაშ[...] არ დატოვებენ, შემადგენლობა კ[...] უფრო გაძლიერდება, ნაყოფიერ მო[...] მზადებელ პერიოდს გავივლით და ფი[...] ნანსურ-ორგანიზაციული მხარეც ს[...] თანადო დონეზე იქნება, ყველაფერი მ[...] რე გამოჩნდება. ერთი სიტყვით, ვ[...] ხოთ. წინასწარ რაიმეს თქმა კი ა[...] მიყვარს.

— რას მიიჩნევ შენს კოზირად [...] რას ნიშნავს შენთვის მიმდინარე ჩე[...] პიონატის ბომბარდირობა?

— ჩემი კოზირი სისწრაფეა — რო[...] ცა თამაში იხსნება, თავისუფალი სი[...] რცეები იქმნება, ჩემს უპირატესობას[...] ყველაზე კარგად მაშინ ვიყენებ. ბომ[...] ბარდირობა კი, ბუნებრივია, მსიამოვნე[...] მიხარია. ვეცდები, ბოლომდე ასე გა[...] გრძელო. კარგი იქნება, თუ ხელი[...] შემშლელი ფაქტორები თავს აღარ [...] მოუყრიან.

— მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნე[...]

— ვთვლი, რომ ასეთ დროს კონ[...] რეტულად არავინ უნდა გამოვყო. კო[...] ნკურენტად ყოველი გუნდის ყველა თა[...] ვდამსხმელს მივიჩნევ.

**დავით თავართქილა[...]**

# გერმანელებმა, კობიაშვილი დაშავდაო

მეტად ბარაქიანი გამოვიდა ბუნდესლიგის მეთექვსმეტე ტური ქართველი ლეგიონერებისთვის. იაშვილმა ორი გოლი გაიტანა, არჩილ არველაძემ — ერთი. ჩინებულად ითამაშა ლევან კობიაშვილმა და „კიკერსაც“ ორიანი გამოსტყუა, მინდორზე იყო ლევან ცქიტიშვილიც.

ამდენ კარგ ამბავს ბოლოს ერთი უსიამოვნო ფაქტიც დაერთო. „ბოხუმთან“ მატჩის 53-ე წუთზე ლევან კობიაშვილი დაშავდა. ფოლკერ ფინკემ ტრავმირებულ ქართველს მეორე ჩვენებური სეხნია ცქიტიშვილი შეუნაცვლა.

თავიდან თითქოს საგანგაშოც არაფერი იყო, კობიაშვილმა სახის არეში მსუბუქი ტრავმა მიიღო. ჰოდა, ბუნდესლიგის მომდევნო ტურიდან მოედანზე მის გამოჩენას ისევ ველოდით, მაგრამ...

გუშინ გერმანულმა საინფორმაციო სააგენტო „ზიდმა“ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

„კობიაშვილმა „ბოხუმთან“ მატჩში ცხვირი გაიტეხა (მეტოქემ სახეში იდაყვი ჩაარტყა) და ტვინის შერყევაც მიიღო. ამიტომ „ფრაიბურგის“ ქართველი ლეგიონერი, ალბათ, ბუნდესლიგის ორ ტურს და ერთ სათასო მატჩსაც გამოტოვებს“.

შეგახსენებთ რომ, გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე 17 დეკემბერს მთავრდება, 20 დეკემბერს სათასო მატჩია და არდადეგებიც დაიწყება.

ბუნდესლიგაში მეორე წრე იანვრის ბოლოს განახლდება. იმ დროისთვის კი ტრავმამოშუშებული ლევან კობიაშვილი ისევ „ფრაიბურგის“ საკეთილდღეოდ იშრომებს.

**მამუკა ქვანტალიანი**



ლევან კობიაშვილი (მარცხნივ) სამ მატჩს გამოტოვებს

## გერმანია

XVII ტური

**უნტერჰახინგი 0:2 შალკე**

0:1 სანდი (26), 0:2 მოლდგალემი (60)

**შტუტგარტი 4:1 აინტრახტი**

1:0 მალიკოვიჩი (35ს.კ.), 1:1 გებჰარდტი (40), 2:1 სოლდო (60), 3:1 განია (76), 4:1 დანდი (84)

**ვოლფსბურგი 1:2 ფრაიბურგი**

0:1 კელი (31), 0:2 კონდე (59), 1:2 იუკოვიაკი (65)

**მეორე ბუნდესლიგა**

ულმი — კიკერსი 1:1, ოსნაბრიუკი — დუისბურგი 1:3, ზაარბრიუკენი — არმინია 1:0

## იტალია

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

**უდინეზე 4:1 ლაციო**

## ესპანეთი

თასის ოცდამეთორმეტედფინალი

გრამანეტი — ვალენსია 0:1, ბურიანა — ვილიარეალი 1:2 დ.დ. (0:0), განდია — ბარსელონა 0:3

## ინგლისი

მეორე დივიზიონი

**ბრისტოლი 1:2 ბრენტფორდ[...]**

**ნორთჰემპტონი — სუონსი**

გადაიდო

**თასის მეორე ეტაპი**

**უიგანი 1:1 ნოტსი**

**ლიგის თასის მეოთხედფინალ[...]**

**სიტი 1:1 იფსვიჩი**

ავდრის გამო 22-ე წუთზე შეწყდა

**ბირმინგემი 2:0 უესლი**

**კრ. პალასი — სანდერლენდ[...]**

გადაიდო

## ჰოლანდია

XVIII ტური

**ვალვაიკი 1:1 პსვ**

1:0 მოოგენტორპი (11), 1:1 ჯონ დე იონგი (4[...])

**ტვენტე 0:2 როდა**

0:1, 0:2 ანასტასიუ (41, 54)

საქართველოს უმაღლესი ლიგა საშემოდგომო 12 ჩემპიონატი ლიგა ეტაპი

# №1 ლოკომოტივი

# წესიერი ბავშვების პრინციპი

## გაიტანე, არ გაუშვა!

ქომაგმაც იცის, არც კლუბის ხელმძღვანელობა საუბრობს მიკიბულ-მოკიბულად, ფეხბურთელებიც იგივეს ამბობენ — წლევანდელ სეზონში თბილისის „ლოკომოტივი" ქუთაისის „ტორპედოსა" და თანაქალაქელ „დინამოს" ჩემპიონობას უნდა შეეცილოს. საამისოდ რკინიგზის დეპარტამენტის გუნდს საკმაოდ რეალური შანსი აქვს. პირობები ისეთია, ჩვენში ბევრი გუნდი რომ ინატრებს: კონტინგენტი — ნორმალური, მწვრთნელი — მცოდნე და გამოცდილი, პატრონი — მზრუნველი, გუნდის საშინაო და საგარეო მატჩს რომ არ აცდენს.

პირობებით დავიწყოთ და ნელ-ნელა მივყვეთ: ყოველი თამაშისას და რაღა თქმა უნდა, მეტოქისა და სტუმარ-მასპინძლობის გარჩევით, თბილისის „ლოკომოტივს" მატჩის მოსაგებად სტიმული აქვს. ეს არც გასაკვირია და არც ახალი რამ, ყველა ნორმალურ გუნდში საქმე ასეა დაყენებული, მაგრამ რა ქვეყანაშიც ვცხოვრობთ, ესეც ვიფიქროთ და არა მგონია, სამატჩო სტიმულის ხსენება უადგილოდ მოგეჩვენოთ. მაშინ, როცა რამდენიმე უმაღლესლიგელი გუნდი პრემიას კი არა, ხელფასად 100-150 ლარს კარგა ხანს, ელის, „ლოკომოტივში" ფულმა ჰა, ჰა 3-4 დღე დააგვიანოს.

გუნდი ვარჯიშობს დიღომში, საკუთარ საწვრთნელ ბაზაზე, სადაც კაპიტალურ შენობაში, მართალია, ლტოლვილები ცხოვრობენ, მაგრამ იქვე რკინიგზელებს კოხტა ხუთ-ექვს ადგილიანი კოტეჯები მოუწყვიათ და საჭიროებისას შეკრებასაც არ იკლებენ. ფეხბურთელებს საჭმელ-სასმელიც და ჩასაცმელ-დასახურიც აქვთ. საწუწუნო არაფერი.

„ლოკომოტივის" ბაზაზე ყოველდღიურად რამდენიმე გუნდი ვარჯიშობს. იქ ორი მოედანია, ერთი მთავარია, მეორეზე კი „ლოკომოტივის" საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები დასდევენ ბურთს და ქვიშის საფარიან მოედანს არ აცდენენ. უმაღლესლიგელი გუნდი კი ორი შემადგენლობით ვარჯიშობს, თითქმის ყოველთვის მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილის განკარგულებაში 25-30 ფეხბურთელია და მათგან, რაღა თქმა უნდა, 15 გამოირჩევა, რომლებიც უახლოესი მატჩისთვის უნდა მოემზადონ. არიან სტუმრებიც, უგუნდოდ რომ დარჩენილან და ფორმის შესანარჩუნებლად ვარჯიშობენ.

„ლოკომოტივში" შემადგენლობის ბირთვი ჩამოყალიბებული იყო. რა იქნება გაზაფხულიდან, ამაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ჩემპიონატის განახლებამდე მოსალოდნელია, რომ ეს ბირთვი შემცირდეს. ამბობენ, გუნდს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებსო. ამის წინაპირობაც არის. აგერ ახლა იყო, „ლოკომოტივს" უცხოელი აგენტები რომ სტუმრობდნენ და სამ-ოთხ ფეხბურთელს თვალიც დაადგეს. ამ გუნდში საქართველოს ნაკრების წევრები თამაშობენ და უფრო მეტსაც ახალგაზრდულ ნაკრებში იძახებენ ხოლმე.

„ლოკომოტივი", პირველ ყოვლისა, დაცვის სიძლიერით გამოირჩეოდა. ხიზანიშვილი, სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა — უმეტესად ძირითად შემადგენლობაში სწორედ ეს ოთხი მცველი თამაშობდა. მათგან სამი ნაკრებშიც არის, აბრამიძე კი — მურთაზ ხურცილავას საქართველოს ახალგაზრდულ გუნდში. დაცვისა და, რაღა თქმა უნდა, მეკარე ლომაიას სიძლიერეზე გაშვებულ გოლთა რაოდენობაც მეტყველებს: 17 მატჩში 7 გოლი ძალიან კარგი შედეგია. ნახევარმცველები ათლეტურები არიან. ცენტრში ჭიჭვეიშვილი და კვარაცხელია თამაშობენ და მათზე უფრო ლონიერი ფეხბურთელი საქართველოს ჩემპიონატში ბევრი არ არის. ძოძუაშვილმა სეზონის დასაწყისში მცველ ბალაშვილს ახალი ამპლუა მოუძებნა და ნახევარდაცვის ფლანგზე გაამწესა, უფრო სწორად, მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი ფედერაციამ დაინდო და მას დისკვალიფიკაცია ვადაზე ადრე გაუუქმა. ვახსენეთ და უფრო დავაკონკრეტოთ, ბალაშვილი დაცვაზე ორიენტირებული შუახაზელია, ისევე როგორც კვარაცხელია და ჭიჭვეიშვილი არიან უფრო ჩამშლელები, ვიდრე შემქმნელები. მარცხენა ჰავბეკად ხშირად რომელიმე თავდამსხმელი თამაშობდა. და ორი ფორვარდიც, ძოძუაშვილს თავდამსხმელთა ორი წყვილი ჰყავდა: გონჩაროვი — პარამონოვი და რუსია — ხუროძე. მათ წინწაწეული შენგელიაც ეხმარებოდა. და, რაღა თქმა უნდა, ცალკე უნდა ითქვას გუნდის ლიდერ კახა გოგიჩაიშვილზე. ძოძუაშვილმა მასაც შეუცვალა ამპლუა და ადრე მარჯვენა ნახევარმცველს მეტი თავისუფლება მისცა, შუაში, თავდამსხმელების უკან ათამაშებს და მატჩების ნახევარიც გოგიჩაიშვილს, რომ იტყვიან, მარტოს მოუგია.

ჩემპიონატის „ზამთრის ჩემპიონი" გუნდისთვის 32 გოლი, ვფიქრობთ, სახარბიელო არ არის. „ლოკომოტივს" დიდი ანგარიშით სულ სამჯერ მოუგია. რკინიგზელებმა 32-დან თერთმეტიც ორ მატჩში, „გორდასთან" და თსუ-სთან გაიტანეს.

უფრო ხშირად „ლოკომოტივი" მინიმალური სხვაობით იგებდა თამაშებს და ამის ახსნას დიდი ტვინის ჭყლეტაც არ უნდა — ანგარიშში დაწინაურებული „ლოკომოტივი" აქცენტს დაცვაზე აკეთებდა და სხვაობას ბოლომდე ინარჩუნებდა. მეტი აღარც გაჰქონდა და არც მეტოქეს აძლევდა ამის საშუალებას, სამ ქულას კი იმატებდა და ახლაც უახლოესი მეტოქე ოთხი ქულით ჰყავს მოტოვებული.

რკინიგზული კლუბი ჯერჯერობით ფეირ პლეის ცხრილშიც პირველია: „ლოკომოტივის" გზაზე ჯერ არცერთხელ ანთებულა წითელი შუქი, ყვითელი კი მხოლოდ 17-ჯერ.

„ლოკომოტივი" საქართველოს თასზეც წარმატებით თამაშობს. გასულ კვირას რკინიგზელებმა ნახევარფინალს უწიეს და ფინალამდეც რაღა დარჩენიათ..?

წინ კი მოსამზადებელი პერიოდია და ერთხელაც ვთქვათ — „ლოკომოტივი" განახლებულ ჩემპიონატს, ალბათ, განახლებული შემადგენლობით დაიწყებს. 28 თებერვლამდე თითქმის სამი თვეა. სამ თვეში შეძლებული გუნდი სამ-ოთხ შეკრებასაც ახერხებს და ძოძუაშვილსაც საშუალება ექნება, გუნდიდან წასულები ახლებს ისე შეაცვლევინოს, თამაშს ბევრი არაფერი დაეტყოს და რკინიგზელებმაც კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძოლონ. ამ საქმეში კონკურენტები კი, იცოცხლეთ, „ლოკომოტივს" ორი-სამი ჰყავს.

და კიდევ, თავში მზრუნველი პატრონი ვახსენეთ. სწორედ ამ პატრონის დამსახურება იქნება, „ლოკომოტივი" მეორე ეტაპიდან, ალბათ, ახალაშენებულ, კოხტა სტადიონზე რომ ითამაშებს და „ეროვნულის" ნაცვლად მეტოქეებს ვაკეში უმასპინძლებს.

**კობა ინასარიძე**



მეცხრე ტურის „ლოკომოტივი" — „კოლხეთი" 2:1. მამუკა რუსია (ძირს მარჯვნივ) მამუკა გვასალიას კართან

### ლოკომოტივი 2000-01

| ტურის № მეტოქე | ანგარიში | სად | გოლები |
|---|---|---|---|
| 1 იბერია | 1:0 | ს | გონჩაროვი |
| 2 გორდა | 6:0 | შ | ბალაშვილი, დავითაშვილი, კვარაცხელია, გ. შენგელია, რუსია, ლევან სილაგაძე |
| 3 თსუ | 5:1 | ს | გ. შენგელია 3, დავითაშვილი, რუსია |
| 4 ტორპედო | 0:1 | შ | |
| 5 სიონი | 2:1 | ს | გონჩაროვი, პარამონოვი |
| 6 დინამო | 3:0 | შ | გოგიჩაიშვილი, გონჩაროვი, ძოძუაშვილი |
| 7 ბათუმი | 2:1 | ს | რუსია 2 |
| 8 ვიტ ჯორჯია | 0:1 | ს | |
| 9 კოლხეთი | 2:1 | შ | ჭიჭვეიშვილი, გოგიჩაიშვილი |
| 10 დილა | 1:0 | ს | რუსია |
| 11 მერანი | 2:0 | შ | ჭიჭვეიშვილი, პარამონოვი |
| 12 იბერია | 3:1 | შ | გ. შენგელია 2, რუსია |
| 13 გორდა | 1:0 | ს | კვარაცხელია |
| 14 თსუ | 2:0 | შ | გოგიჩაიშვილი, პარამონოვი |
| 15 ტორპედო | 0:0 | ს | |
| 16 სიონი | 1:0 | შ | რუსია |
| 17 დინამო | 1:0 | ს | ჭიჭვეიშვილი |

| სახელი გვარი | თამაში | გოლი | გაფრთხილება | გაძევება | შეცვლა |
|---|---|---|---|---|---|
| ვალერი აბრამიძე | 17 | 0 | 1 | 0 | 1 |
| გიორგი ბალაშვილი | 17 | 1 | 2 | 0 | 4 |
| ბორის გონჩაროვი | 17 | 3 | 1 | 0 | 1 |
| გივი კვარაცხელია | 17 | 2 | 1 | 0 | 7 |
| გიორგი ლომაია | 17 | -7 | 0 | 0 | 2 |
| სევასტი თოდუა | 16 | 0 | 3 | 0 | 0 |
| მამუკა რუსია | 15 | 7 | 3 | 0 | 3 |
| ლევან სილაგაძე | 15 | 1 | 1 | 0 | 0 |
| კახა გოგიჩაიშვილი | 14 | 3 | 1 | 0 | 5 |
| დიმიტრი პარამონოვი | 13 | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი შენგელია | 12 | 6 | 0 | 0 | 2 |
| დავით ჭიჭვეიშვილი | 12 | 3 | 1 | 0 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 11 | 0 | 1 | 0 | 2 |
| აქვსენტი გილაური | 10 | 0 | 2 | 0 | 1 |
| სულიკო დავითაშვილი | 9 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ცეზარ ხუროძე | 6 | 0 | 1 | 0 | 0 |
| მერაბ ძოძუაშვილი | 5 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ლევან მიქაძე | 4 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თორნიკე აფციაური | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვალერი გაგუა | 2 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ლაშა სალუქვაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| არმაზ ჯელაძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |

## საუკეთესო მოთამაშე

### კახა გოგიჩაიშვილი

31.10.68

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1990 | იბერია თბილისი | A | 32 | 4 |
| 1991 | იბერია თბილისი | A | 13 | 2 |
| 91-92 | გურია | A | 26 | 3 |
| 92-93 | შევარდენი | A | 32 | 13 |
| 93-94 | შევარდენი | A | 27 | 12 |
| 94-95 | სამტრედია | A | 27 | 10 |
| 95-96 | დინამო | A | 24 | 19 |
| 96-97 | დინამო | A | 17 | 5 |
| 97-98 | დინამო | A | 8 | 0 |
| | ჰ.აშქელონი, ისრაელი | A | 12 | 1 |
| 1998 | ნ.ნოვგოროდი, რუსეთი | B | ? | ? |
| 98-99 | დინამო | A | 6 | 1 |
| 99-00 | ლოკომოტივი | A | 10 | 1 |
| 00-01 | ლოკომოტივი | A | 14 | 3 |



### ადგილი ტურების მიხედვით




| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 17 | 14 | 1 | 2 | 32:7 | 25 | 43 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 9 | 7 | 1 | 1 | 13:4 | 9 | 22 |
| 2 ტორპედო | 17 | 12 | 3 | 2 | 28:6 | 22 | 39 | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 3 დინამო | 17 | 12 | 1 | 4 | 43:17 | 26 | 37 | 9 | 7 | 0 | 2 | 28:7 | 21 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 17 | 9 | 5 | 3 | 26:12 | 14 | 32 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 9 | 3 | 5 | 1 | 15:10 | 5 | 14 |
| 5 კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 19:14 | 5 | 27 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 9 | 3 | 1 | 5 | 11:10 | 1 | 10 |
| 6 მერანი | 17 | 6 | 6 | 5 | 17:17 | 0 | 24 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:13 | -6 | 8 |
| 7 ბათუმი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:24 | -2 | 21 | 9 | 5 | 1 | 3 | 17:12 | 5 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 სიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:27 | -15 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 8:12 | -4 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 გორდა | 17 | 3 | 7 | 7 | 13:22 | -9 | 16 | 9 | 3 | 4 | 2 | 11:7 | 4 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 დილა | 17 | 4 | 3 | 10 | 13:32 | -19 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 9 | 1 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 4 |
| 11 თსუ | 17 | 4 | 2 | 11 | 17:32 | -15 | 14 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:15 | -8 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 იბერია | 17 | 0 | 2 | 15 | 3:35 | -32 | 2 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 9 | 0 | 1 | 8 | 2:18 | -16 | 1 |

# მამუკა წერეთელი: შახტარის მეოთხე ქართული არჩევანი



მამუკა წერეთელი სლოვენიელი მლადენ რუდონიას (№7) მეურვეობისას

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი მამუკა წერეთელი გაზაფხულიდან უკრაინული „შახტარის“ ღირსებას დაიცავს.

„შახტარს“ და წერეთლის ყოფილ კლუბ „ალანიას“ შორის მოლაპარაკებები დასრულდა. სატრანსფერო თანხა უცნობია, რაც შეეხება ჯერჯერობით ხელმოუწერელი კონტრაქტის ვადას, იგი სამწლიანი გახლავთ.

მამუკა წერეთელი ბოლოს „ალანიას“ ღირსებას იცავდა, მაგრამ მკითხველს, ალბათ, ახსოვს ის გაუგებრობა, რაც ამას წინათ ოსურ კლუბსა და ქართველ ფეხბურთელს შორის წარმოიშვა. ვლადიკავკაზელები წერეთელს კლუბის უნებართვოდ მიტოვებაში ადანაშაულებდნენ და დისკვალიფიკაციით ემუქრებოდნენ.

ეს სკანდალი მაშინ როგორღაც ჩაცხრა, ქართველი მცველი ვლადიკავკაზში დაბრუნდა და რუსეთის ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებშიც მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, თვალნათლივ ჩანდა, რომ შერიგება დროებითი იყო და ადრე თუ გვიან „ალანიასა“ და წერეთლის გზები გაიყრებოდა.

ეს დროც დადგა და ვფიქრობთ, ამით ორივე მხარე მოგებული დარჩება. რაღა თქმა უნდა, დღესდღეისობით ჩემპიონთა ლიგამოვლილი და უკრაინის პირველობის ლიდერი „შახტარი“ „ალანიაზე“ სოლიდური კლუბია (მატერიალური შესაძლებლობების ჩათვლით) და ქართველი მცველისთვის დონეცკში გადასვლა სასურველი ვარიანტია, „ალანია“ კი ამის ხარჯზე გვარიანად შეივსებს ჯიბეს. „შახტარმა“ წლეულს არნახული პროგრესი განიცადა, ჩემპიონთა ლიგაში დებიუტანტის კვალობაზე შთამბეჭდავად ითამაშა და უკრაინის ჩემპიონატში გვარიანი საფრთხეც შეუქმნა კიევის „დინამოს“ ჰეგემონიას.

მამუკა წერეთელი დონეცკს 7 იანვარს ჩავა და სამწლიან კონტრაქტსაც მოაწერს ხელს, თუმცა, რაღა თქმა უნდა, უკრაინელებს მისი ხელაღებით აყვანა არც უფიქრიათ. წერეთელმა უკვე მოასწრო დონეცკში ყოფნა, კლუბის წარმომადგენლებთან გასაუბრება და სამედიცინო შემოწმების ჩატარება. ამის შესახებ გუშინ თავად ფეხბურთელმა გვიამბო.

„შახტარის“ ხელმძღვანელობამ მართლაც შთამბეჭდავი პირობები შემომთავაზა. უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ და მიხარია, რომ ეს საქმე გაიჩარხა. უკრაინელებთან მოლაპარაკებას ჩემი ქართველი მენეჯერი აწარმოებდა და სამწლიან კონტრაქტზე ხელის მოწერას არაფერი უდგას წინ. დონეცკში სამედიცინო შემოწმება გავიარე, შედეგით ყველა კმაყოფილი დარჩა და ნაახალწლევს მელიან. მჯერა, ახალ კლუბს იმედს არ გავუცრუებ და „შახტარს“ წლეულს დასახული მიზნების შესრულებაში შევეშველები“ — გვითხრა ფეხბურთელმა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ წერეთლამდე „შახტარში“ ქართველთაგან თემურ მორგოშია, გიორგი ჩიხრაძე და მიხეილ ფოცხვერია თამაშობდნენ.

ბაატა ქვანტალიანი

# ცხინვალი იბრძოლებს და მიზანს მიაღწევს

ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა გუშინ სატელეფონო საუბრისას გორს შეხიზნებული პირველლიგელი გუნდის მთავარი მწვრთნელი ფაცო ნასუაშვილი. „ცხინვალის“ თავკაცი შეშფოთებულია ბოლო დროს გავრცელებული ხმებით, „ცხინვალი“ უმაღლეს ლიგაში გადასვლას მიზნად არ ისახავს, რადგან გუნდს გორის გამგეობა კურირებს, მას კი უმაღლეს ლიგაში ორი კლუბის შენახვა არ ძალუძსო, ამბობენ მავანნი. ნასუაშვილმა ყოველივე უარყო, პირიქით, ჩვენი უმთავრესი საზრუნავი უმაღლეს ლიგაში გადასვლააო. „გორის გამგეობის მადლიერნი ვართ, შეგვიფარეს, საშინაო მატჩებისათვის სტადიონი დაგვითმეს, მაგრამ ფინანსურად სათანადოდ ვერ გვეხმარებიან. რა ვუყოთ, მათაც თავიანთი გასაჭირი აქვთ. ჩვენც ვცდილობთ როგორმე არაფერი მოაკლდეს გუნდს და სხვადასხვა საშუალებით ფონს გასვლას ვახერხებთ. ასეთ დროს, რაღა თქმა უნდა, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ უმაღლეს ლიგაში გადასვლას არ ვესწრაფით. აბა, რისთვის ვწვალობთ“ — გვითხრა „ცხინვალის“ მთავარმა მწვრთნელმა.

ითამაშებს თუ არა ეს გუნდი XIII ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში, მომავალი გვიჩვენებს. ამ გუნდის მესვეურთა მონდომება კი ნამდვილად აღსანიშნია. ხუმრობა ხომ არაა, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში სამაჩაბლოს — გეოპოლიტიკურად ცხელი წერტილის გუნდი თამაშობს. „ჩვენ ლტოლვილი ხალხი ვართ, საკუთარ სახლ-კარს მოცილებულნი და ამ ნოსტალგიას ფეხბურთით ვიქარვებთ“ — გვითხრა ნასუაშვილმა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ პირველი ლიგის საშემოდგომო ჩემპიონატი „ცხინვალს“ ურიგოდ არ დაუმთავრებია. გუნდი კარგა ხანს ერთპიროვნული ლიდერიც იყო. ამჟამად მესამეადგილოსანს კი ექვსეულში მოსახვედრად საჭირო ქულების მარაგი დაუგროვებია და უმაღლეს ლიგაში ანაცვლების კარგი შანსიც აქვს, მით უფრო, რომ ცხინვალელთა თქმით, გაზაფხულიდან გუნდი რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელით გაძლიერდება.

ბაატა ქვანტალიანი

# ბენდელას თასი ათ დღეში

## ქართველი ლეგიონერები სპორტის სასახლეში

თბილისის სპორტის სასახლეში წლეულსაც გაიმართება უკვე ტრადიციადქცეული „ბენდელას თასის“ გათამაშება. ტურნირი ათ დღეში, 23 დეკემბერს დაიწყება, 27-ში დამთავრდება და, როგორც ყოველთვის, საქართველოს საუკეთესო გუნდების მონაწილეობით ჩატარდება. „ბენდელას თასზე“ თამაშის სურვილი უკვე გამოთქვეს „ლოკომოტივმა“, „ვიტ ჯორჯიამ“, თსუ-მ. სპორტის სასახლეში მისულნი, ესეც ტრადიციისამებრ, იხილავთ ბენდელას მეგობრების გუნდს, რომელშიც საახალწლოდ შინ დაბრუნებული ჩვენი ლეგიონერებიც ითამაშებენ — გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ლევან ხომერიკი, გიორგი დემეტრაძე... მათ სხვებიც შეემატებიან. ლეგიონერები უკვე ჩამოდიან თბილისში.

„ბენდელას თასის“ ორგანიზატორებს წლევანდელი ტურნირის ჩატარება 8 გუნდის მონაწილეობით აქვთ ჩაფიქრებული, თუმცა არც ისაა გამორიცხული, მათი რაოდენობა ოთხით გაიზარდოს.

ერთი სიტყვით, 23-დან 27 დეკემბრის ჩათვლით ეწვიეთ სპორტის სასახლეს, არ წააგებთ.

ლუკა თალაკვაძე

რესტორანი მზიანი ღამე





განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით



ბეია, იაშვილი და ცქიტიშვილი „ბოხუმის" ძლევით ხარობენ

# ჯერ ათი, მერე შვიდი

## ალექსიძე ნამდვილი პრემიერლიგელი გახდა, ციურიხული დერბის ბედი კი ქართველებმა გადაწყვიტეს

კვირის წინათ ვწერდით, ქართველებმა ძალიან კარგად ითამაშეს და მოვწყებული ფუფუნება გაგვახსენესო, მაგრამ დახეთ მადას, ჭამაში როგორ მოვიდა — ახალი მატჩები და ისევ სასიამოვნო ამბები: ჩვენებურები ევროპაში კვლავაც გამოირჩნენ. ეგ არის, ამ ყბადაღებული უშუქობის გამო, ქართველ ქომაგებს ფეხბურთი ლამის ოდენ გაზეთში საკითხავ მშრალ ინფორმაციადღა ექცათ.

მთავარი ამბავი, ალბათ მაინც ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე" მოხდა. შაბათ საღამოს იქ „ჩელსიმ" უქინქლაძეო „დერბის" 4:1 მოუგო. დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე მასპინძელთა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ მოთამაშე შეცვალა — ეიდურ გუდიონსენის მაგიერ მინდორზე რატი ალექსიძე გაიყვანა. დროის სიმცირის მიუხედავად, რატიმ ერთხელ მაინც მიიქცია 34 ათასი მაყურებლის ყურადღება, როცა კარგა შორიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ სტუმართა ესტონელმა მეკარე მარტ პოომმა იმარჯვა.

ასეთი იყო 22 წლის ალექსიძის დებიუტი პრემიერლიგაში. ამისდაკვალად, ქინქლაძის, ყაველაშვილისა და ქეცბაიას შემდეგ რატი მეოთხე ქართველი გახდა, ვისაც ინგლისის უძლიერეს ლიგაში უთამაშია.

ალექსანდრე იაშვილი ძველ დროს იხსენებს. ეტყობა, ბოლოდროინდელ ფსიქოლოგიურ პრობლემებსაც გაუმკლავდა. „ბოხუმის". კარში გატანილი ორი ბურთი და ერთიც საგოლე პასი ამის დასტურია.

გერმანული ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ფრაიბურგმა" 5:0 მოიგო. იაშვილთან ერთად, ამ საქმეში დიდი წვლილი ლევან კობიაშვილმაც დაიდო. პირველი გოლი, დიარამ რომ გაიტანა, სწორედ კობიაშვილის გამოზომილ კუთხურს მოჰყვა. მერე, მეორე ტაიმი ხეირიანად არც გახურებულიყო, ერთი ლევანი მეორემ რომ შეცვალა — დაშავებული კობიაშვილის ნაცვლად მინდორზე ცქიტიშვილი გავიდა. თბილისურ საფეხბურთო წრეებში ხმა გავარდა, კობი მძიმედ დაშავდაო, მაგრამ ნათქვამი ნაწილობრივ ჭორი გამოდგა და ფრაიბურგელი, მინდორს, ალბათ ნაახალწლევს დაუბრუნდება.

არჩილ არველაძეს ზუსტად ათი წუთი დასჭირდა ულამაზესი გოლის გასატანად და თავისიანების დასაწინაურებლად, მაგრამ „კიოლნმა" ვერ გაძლო, მასპინძელი „ვერდერისგან" ბოლო ჩვიდმეტ წუთში ორი ბურთი გაუშვა და შინ უქულოდ დაბრუნდა.

უკვე რამდენი კვირაა, ჩვენს ციურიხელებზე აღმატებულ ხარისხში ვწერთ. ალალიც არის. ჯამარაული და ყაველაშვილი შვეიცარიაში მართლაც შესაშური სტაბილურობით თამაშობენ. აი, ამ უქმეებზეც მათ მეტად პრინციპულ, ციურიხულ დერბიში თავისიანებს „გრასჰოპერთან" 3:2 მოაგებინეს. ორი ყაველაშვილმა გაიტანა, ერთიც ჯამარაულმა და მარტიდან, როცა შვეიცარიის ჩემპიონატი განახლდება, გასაკვირი სულაც არ იქნება, თუ საუკეთესო რვა გუნდის ტურნირში „ციურიხი" საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს. აკი გასულ კვირას გოჩამ უთხრა კიდეც „სარბიელს": მინიმუმ მესამე ადგილი ან თასი უნდა მოვიპოვოთ. კლუბის ხელმძღვანელობამ პირდაპირ გვითხრა, ევროტურნირებზე უნდა ვითამაშოთო.

ციურიხული დერბის ბედი ქართველებმა გადაწყვიტესო — წერენ შვეიცარიელი ჟურნალისტები და ვგონებთ, ქართული დუეტი ჩვენზე ნაკლებ აღარ უყვართ.

„თავიდან თითქოს განწირული „ირონი" ცხრილის შუაში მყოფ გუნდებს მიუახლოვდა. თუ კლუბის საუკეთესო ბომბარდირი კლიმენტი წიტაიშვილი ტემპს არ დაუკლებს, გასაკვირიც აღარ იქნება, თუ „ირონი" მალე ვილაც-ვილაცეებს შეავიწროვებს" — აღნიშნავენ ჩვენი ებრაელი კოლეგები.

ისრაელის ჩემპიონატის მე-16 ტურში „ირონიმ" სტუმრად „აშდოდს" 1:0 მოუგო. თამაში ერთობ დაძაბულად და ნერვიულად წარიმართა და მისი ბედი დამთავრებამდე წუთით ადრე წიტაიშვილის გოლმა გადაწყვიტა. ახლა „ირონიმ" სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა და ალბათ, საუკეთესოთა მარაქაში მოხვედრაზეც არ იტყვის უარს. გუნდმა ბოლო ორი თამაში მოიგო. მართალია, მეტოქეებად აუტსაიდერები ჰყავდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. წიტაიშვილმა კი ამ ორ მატჩში სამი ბურთი მიითვალა და თავისი ისრაელური გოლების მარაგი ექვსამდე გაზარდა.

აზერბაიჯანში ქვეყნის თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩები გაიმართა. კილასონიების „თურანმა" შინ „უმიდთან" უგოლო ფრე ითამაშა და ვინაიდან პირველი შეხვედრა 2:0 მოიგო, მეოთხედფინალშიც გავიდა.

გადაწყდა, რომ აზერბაიჯანის ნაკრების ფეხბურთელი ბადრი კვარაცხელია „შამქირთან" ერთად იანვარში მოსკოვის „თანამეგობრობის თასზე" ითამაშებს. იქ „შამქირის" მეტოქეები ქუთაისის „ტორპედო", უზბეკეთის „დუსტლიკი" და ყაზახეთის სამხედროთა გუნდი სკა-ვვს იქნებიან.

მაშ ასე, ქართულმა ლეგიონმა გამოიღვიძა. გასულ უქმეებზე გატანილ 10 გოლს, ამ დღეებში 7-იც დაუმატეს, თანაც გასათვალისწინებელია, რომ ბევრგან ჩემპიონატი თუ პირველი წრე დამთავრებულია და ამდენად, ეს 17 ბურთი სულ რამდენიმე ფეხბურთელის დამსახურებაა. ვინ იცის, დეკემბერში რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს ოფიციალური მატჩები ჰქონოდა, როგორ შედეგს მოიმკიდა...

დაბოლოს, დღევანდელ ცხრილში რუსეთის მეორე დივიზიონის ქართველთა ამბებს ამოიკითხავთ. მათგან ზოგი ძალიან ცნობილი, ზოგიც საერთოდ უცნობი ფეხბურთელია. თუმცა, ვფიქრობთ, მათი ნაღვაწი მაინც საინტერესო უნდა იყოს. მაგალითად, ეროვნული გუნდის მეკარე გვარამაძეს „კრილია სოვეტოვის" „დუბლებში" სამჯერ უთამაშია და ოთხი გოლი გაუშვია.. იქვე არიან ზაზა ჯანაშია, ოთარ ხიზანეიშვილი, დავით ხმელიძე და რამდენიმე ისეთიც, საქართველოში რომ აღარ ახსოვთ, თუნდაც დავით ხეტეშვილი, არჩილ ჩხაბერიძე და ერთ დროს ნაკრების წევრი თემურ კაბისაშვილი.

რუსეთის მეორე დივიზიონში სულ ექვსი ზონაა. დღეისთვის შეჯიბრება ყველგან დამთავრებულია. აქედან მხოლოდ ერთში — ურალისაში არ არიან ქართველები. დანარჩენ ხუთში კი 24-მა ჩვენებურმა გააგორა ბურთი.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **გერმანია** | | | | | |
| | | | ბუნდესლიგა | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბოხუმი 5:0 | 90 | 2 გოლი, საგოლე პასი | 13 | 4 | 10 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბოხუმი 5:0 | 53 | შეცვალეს, საგოლე პასი | 15 | 2 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბოხუმი 5:0 | 37 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 0 | 10 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | ვერდერი 1:2 | 32 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 12 | 3 | 7 |
| | | | მეორე ბუნდესლიგა | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | შ | ულმი 2:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 3 |
| | | | **ინგლისი** | | | | | |
| | | | პრემიერლიგა | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ჩელსი 1:4 | 0 | | 11 | 1 | 18 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | დერბი 4:1 | 7 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 11 |
| | | | პირველი დივიზიონი | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ჰადერსფილდი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 3 | 15 |
| | | | **შოტლანდია** | | | | | |
| | | | პრემიერლიგა | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | სელტიკი 1:2 | 90 | | 17 | 1 | 7 |
| | | | **ჰოლანდია** | | | | | |
| | | | უმაღლესი ლიგა | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | ფეიენოორდი 1:3 | 90 | | 11 | 5 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | | ტური გამოტოვა | · | | 0 | 0 | 2 |
| | | | **ბელგია** | | | | | |
| | | | უმაღლესი ლიგა | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ბრიუგე 0:1 | 90 | | 12 | 1 | 8 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | ანტვერპენი 0:4 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| | | | **შვეიცარია** | | | | | |
| | | | უმაღლესი დივიზიონი | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | გრასჰოპერი 3:2 | 90 | 1 გოლი | 20 | 9 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | გრასჰოპერი 3:2 | 80 | 2 გოლი (13), შეცვალეს | 19 | 10 | 8 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | ს | ივერდონი 3:3 | 14 | შეცვლაზე ითამაშა | 20 | 6 | 9 |
| | | | **ისრაელი** | | | | | |
| | | | უმაღლესი ლიგა | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | ს | აშდოდი 1:0 | 90 | 1 გოლი | 11 | 6 | 9 |
| | | | **საბერძნეთი** | | | | | |
| | | | უმაღლესი ლიგა | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | ს | კალამატა 4:3 | 0 | | 7 | 0 | 11 |
| | | | **რუსეთი** | | | | | |
| | | | მეორე დივიზიონი | | | | | |
| | | | სამხრეთი | | | | | |
| პაატა ბერიშვილი | ყუბანი (კრასნოდარი) | | | | ნახევარმცველი | 14 | 0 | 1 |
| ანტონ ქერდიყაშვილი | ანგუშტი (ნაზრანი) | | | | მცველი | 31 | 0 | 3 |
| ზურაბ ჯოხაძე | ანგუშტი (ნაზრანი) | | | | ნახევარმცველი | 32 | 3 | 3 |
| გრიგოლ კენკიშვილი | ავტოდორი (ვლადიკავკაზი) | | | | ნახევარმცველი | 2 | 0 | 6 |
| | სპარტაკ კავკაზტრანსგაზი (იზობილნი) | | | | ნახევარმცველი | 18 | 0 | 7 |
| გიორგი ბულულაშვილი | ვიტიაზი (კრიმსკი) | | | | თავდამსხმელი | 17 | 1 | 10 |
| არჩილ ლობჟანიძე | დინამო (მახაჩყალა) | | | | თავდამსხმელი | 22 | 0 | 14 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში 2 (როსტოვი) | | | | მეკარე | 23 | -41 | 15 |
| გოჩა მიქაძე | შახტიორი (შახტი) | | | | მეკარე | 37 | -68 | 16 |
| შალვა ქერაშვილი | ირისტონი (ვლადიკავკაზი) | | | | ნახევარმცველი | 35 | 4 | 18 |
| ბადრი სპანდერაშვილი | ჩერნომორეცი 2 (ნოვოროსიისკი) | | | | ნახევარმცველი | 7 | 0 | 19 |
| | | | დასავლეთი | | | | | |
| მალხაზ ფორჩხიძე | დინამო (ვოლოგდა) | | | | თავდამსხმელი | 18 | 4 | 2 |
| | პსკოვი (პსკოვი) | | | | თავდამსხმელი | 7 | 1 | 4 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი 2 (მოსკოვი) | | | | მცველი | 27 | 1 | 12 |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი 2 (მოსკოვი) | | | | თავდამსხმელი | 3 | 0 | 12 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი 2 (მოსკოვი) | | | | მცველი | 5 | 0 | 16 |
| ირაკლი შენგელია | სპარტაკი 2 (მოსკოვი) | | | | ნახევარმცველი | 12 | 0 | 16 |
| | | | ცენტრალური | | | | | |
| დავით ხეტეშვილი | არსენალი 2 (ტულა) | | | | თავდამსხმელი | 31 | 1 | 20 |
| | | | ვოლგისპირეთი | | | | | |
| ვლადიმერ მამაგეიშვილი | ბიოხიმიკ მორდოვია (სარანსკი) | | | | მეკარე | 14 | -25 | 12 |
| არჩილ ჩხაბერიძე | ტორპედო (ვოლჟსკი) | | | | მცველი | 18 | 0 | 16 |
| დავით გვარამაძე | კრილია სოვეტოვი 2 (სამარა) | | | | მეკარე | 3 | -4 | 17 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია სოვეტოვი 2 (სამარა) | | | | მცველი | 1 | 1 | 17 |
| ზურაბ წიკლაური | კრილია სოვეტოვი 2 (სამარა) | | | | თავდამსხმელი | 5 | 1 | 17 |
| გოჩა ბოჭორიშვილი | სალიუტი (სარატოვი) | | | | თავდამსხმელი | 2 | 0 | 18 |
| | | | აღმოსავლეთი | | | | | |
| რევაზ ჯგიქია | ჩკალოვეც ოლიმპიკი (ნოვოსიბირსკი) | | | | თავდამსხმელი | 22 | 4 | 6 |
| თემურ კაბისაშვილი | დინამო (ბარნაული) | | | | მცველი | 10 | 0 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



# კრისტოფ დაუმმა და ამერიკამ ერთმანეთი აღმოაჩინეს

## „ლევერკუზენის“ ყოფილი მწვრთნელი გრაფ მონტე-კრისტოს გზაზე: შურისძიება მკაცრი იქნება!

**გერმანიიდან** დიდი სკანდალით და ხმაურით წასული კრისტოფ დაუმის თაობაზე გუშინდლამდე კარგა ხანს არაფერი დაგვეწერა. გუშინდელ „სარბიელში“ კი გაცნობეთ, რომ ნარკომანობაში მავანთა მიერ ბრალდებული მწვრთნელი საშობაოდ სამშობლოში ჩასვლას აპირებს. იგი, ცხადია, ხელცარიელი არ დაბრუნდება. გერმანულ ჟურნალ „ბუნტის“ ცნობით, დაუმი თავის შვილებს საახალწლო საჩუქრებს დაჰპირდა. რამდენიმე სიურპრიზი კი თავისი მტრებისთვისაც ჰქონია.

მანამდე კი, გუშინ, დაუმის ერთი დიდი გეგმის ამბავი გაცხადდა. არ გეგონოთ, იგი შურისძიებას ეხებოდეს, სულაც არა. უბრალოდ, ფლორიდის შტატში მყოფ ფეხბურთის სპეციალისტს ამერიკელი ბიზნესმენები დაკავშირებიან და გრანდიოზული პროექტი შეუთავაზებიათ, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა საწვრთნელი ცენტრის აშენებას ითვალისწინებს. ამ საქმისთვის თავდაპირველად 50 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიყოფა. ბაზა ფლორიდის შტატშივე, ქალაქ ორლანდოში აიგება. თაოსნებს უკვე რამდენიმე ჰექტარი ფართობიც შეურჩევიათ, რომელსაც 21-ე საუკუნის პირველივე წლებში 20 სავარჯიშო მინდორი, ერთი სასტუმრო, 50 კოტეჯი, საავადმყოფო, სარეაბილიტაციო ცენტრი, კერძო სკოლა და 2500 კაცზე გათვლილი კონგრეს-ცენტრი დაამშვენებს. ჰოდა, როგორ გგონიათ, ვინ უხელმძღვანელებს ამ პატარა „ქალაქს“? დიახ, კრისტოფ დაუმი, რომელიც წვრთნის პროცესშიც მიიღებს უშუალო მონაწილეობას. ამერიკელებს ნორჩ ფეხბურთელთა აღსაზრდელად სხვა ცნობილი ევროპელი მწვრთნელების მიწვევაც განუზრახავთ, თუმცა ეს მომავლის საქმეა. აღსანიშნავია, რომ მშენებლობას საძირკველი წლეულსვე ჩაეყრება. ამერიკელებს უკვე ყველა წვრილმან-მსხვილმანი პრობლემა გადაუწყვეტიათ და პირველი აგურის დადებასაც თურმე წინ არაფერი უდგას.

ასე რომ, კრისტოფ დაუმს სამშობლოში დიდხანს დარჩენა არ მოუწევს.

შეგახსენებთ, მას ამასწინათ ირანის ნაკრების მწვრთნელობაც შესთავაზეს, მაგრამ თავი შეიკავა. ამერიკელმა ბიზნესმენებმა კი დაუმთან საქმის დაჭერა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც გერმანელმა მწვრთნელმა ამერიკაში ხელმეორე ტესტირება ჩაიტარა და დაამტკიცა, რომ კოკაინისგან შორს დგას.

ახლა კი ორიოდე სიტყვით შურისძიებაზეც ვთქვათ. ცოტა ხნის წინ დაუმმა გერმანიის საფეხბურთო კავშირს სასამართლოში უჩივლა და გერმანული ფეხბურთის მამები მისი კონტრაქტის დარღვევაში ამხილა. „ლევერკუზენის“ ყოფილი თავკაცი 15 მილიონ მარკას ითხოვს. ეს ის თანხაა, რომელიც დაუმს ხელფასის სახით უნდა მიეღო. მწვრთნელს გასამრჯელო თავისი შრომის სანაცვლოდ 2001 წლის ივნისამდე „ლევერკუზენში“ ეკუთვნოდა, ჰოდა, დაუმიც თავისას ითხოვს და სარჩელი უკვე გერმანიის სასამართლოშიც შეიტანა, მისაღები უნდა მივიღოო. ალბათ, მიიღებს კიდეც.

**განო ოქრობირიძე**

# რონალდოს ბოლო ჭიქა არ უნდა დაელია



**აქამდე** ვიცოდით, რომ პოლ გესქოინი, პოლ მერსონი, როი კინი, მანამდე ჯორჯ ბესტი და ზოგი სხვაც ლოთები არიან. ბრაზილიელები საქმეში შემჩნეულნი არ იყვნენ. რონალდო პირველი მერცხალია (ცხონებული გარინჩაც სვამდა, მაგრამ აქ ახლანდელ თაობაზე ვთქვათ).

რონალდოს ტრავმებისა და მკურნალობის თაობაზე უკვე იმდენი დაიწერა, რომ ამაზე ნუ შევჩერდებით და უბრალოდ აღვნიშნოთ — ფეხბურთელი სამხრეთ საფრანგეთიდან ესპანეთში მიდიოდა და ბასკურ სან სებასტიანში სადილობა გადაწყვიტა, რესტორანში რამდენიმე ჭიქა განთქმული ესპანური ღვინოც გასინჯა.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის მონათხრობი: „უცხოურნომრიანი ჯიპი გავაჩერეთ. არაფერი დაურღვევია, მაგრამ წესად გვაქვს, რომ მძღოლებს ხანდახან სიმთვრალეზე ვამოწმებთ. შეგვრჩა რონალდო, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ ნასვამი იყო. ლაბორატორიაში წავიყვანეთ და სისხლში 0,29 მილიგრამი ალკოჰოლის შემცველობა აღმოაჩნდა. ესპანეთში 0,25 მილიგრამია ნებადართული, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ გამოცდილ მძღოლთან გვაქვს საქმე, ახალბედებისთვის კი ლიმიტი 0,15 მილიგრამია. რონალდოს მართვის მოწმობის გაცემის თარიღიც ვნახეთ და სწორედ რომ ახალბედა მძღოლი ყოფილა. ესე იგი, ნორმაზე ორჯერ მეტი დაულევია.“

რონალდოს ჯარიმად 18 ათასი პესეტა (95 დოლარი) დააკისრეს, რაც მან პატიოსნად გადაიხადა. გაუჭირდებოდა, თუ რა?

# ამბავი პამპლონელთა ფათერაკისა მალიორკაზე

**კვირას** ბალეარის კუნძულებს ბასკური „ოსასუნა“ ეწვია და იქაურ „მალიორკასთან“ ფრედ, 1:1 დაასრულა შეხვედრა. წესისამებრ, სტუმარი გუნდი მატჩის დამთავრებისთანავე შინ გაეშურა, მხოლოდ ორმა მოთამაშემ, ალფრედო სანჩესმა და ალექს ფერნანდესმა გადაწყვიტეს, კუნძულზე დარჩენილიყვნენ, იქაურ ბარებში მოელხინათ და მერე დაბრუნებულიყვნენ პამპლონაში. ასეც მოიქცნენ.

ოდნავ რომ შეზარხოშდნენ, ალფრედო სანჩესმა ერთ-ერთ იქაურ დისკოთეკის მფლობელთან რაღაც ვერ გაიყო და შეედავა. კლუბის პატრონმაც უმალ პოლიციას უხმო.

ალექსი მთელი ეს დრო ჩუმად იყო და შეხლა-შემოხლაში აქტიურად არ ჩარეულა, მაგრამ როგორც კი დაინახა, მის მეგობარს პოლიცია წაყვანას უპირებდა, ოფიცერს მიეჭრა, ჯერ კარგად გამოლანძღა და მერე გაარტყა კიდეც. ასე, მალიორკას პოლიციასთან ორი ფეხბურთელი რას გახდებოდა, ალფრედოც და ალექსიც გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ და მთელი ღამე იქ გაატარეს.

მერე კლუბმა ყველაფერი შეიტყო და ჩხუბისთავები საპატიმროდან დაიხსნა, თუმცა ორივე ფეხბურთელს ახლა სასამართლოში მოუწევს სირბილი და საქმეების გარჩევა.




**ესპანურ** „ბარსელონას“ „ბოკა ხუნიორსიდან“ ხოსე ბასუალდოს გადაბირება სურს. კლუბებს შორის მოლაპარაკება უკვე დაწყებულია, თავად ნახევარმცველი კი კატალონიას მომავალ კვირაში ესტუმრება, თუმცა სატრანსფერო თანხას ჯერ ვერ ასახელებენ. ისიც ცნობილია, რომ კატალონიელები არგენტინული კლუბის მეორე მოთამაშის, ხუან რომან რიკელმეს ყიდვითაც დაინტერესდნენ, თუმც ეს საკითხი, ალბათ მომავალ ზაფხულამდე არ გადაწყდება. რიკელმეს „ბოკა ხუნიორსი“ ჯერჯერობით არ ყიდის.

**პორტუგალიელმა ფორვარდმა რიკარდუ ზა პინტუმ ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ბელენენსეშის“ წინააღმდეგ მატჩში, მუხლის ტრავმა მიიღო და დაახლოებით ექვს თვეს ვერ ითამაშებს. „სპორტინგის“ ექიმების განცხადებით, ფეხბურთელს ნატკენ მუხლზე ოპერაცია უნდა გაუკეთონ და ამ სეზონში იგი მოედანს ვერ დაუბრუნდება.**

**ფრანგული** „პარი სენ ჟერმენის“ ნახევარმცველმა ალი ბენარბიამ განაცხადა, რომ ზამთრის შესვენების დროს იგი სხვა გუნდს მოძებნის და იქ გადავა. „ახალ მწვრთნელ ლუის ფერნანდესთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ წასვლის შესახებ გადაწყვეტილება მაინც მივიღე“ — თქვა 32 წლის ფეხბურთელმა, რომელიც პარიზულ კლუბში შარშან „ბორდოდან“ ჩაირიცხა, თუმცა ბოლო ორი თვეა, ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება.

**გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ლევერკუზენის „ბაიერის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი რობსონ პონტე სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. 2 დეკემბერს, მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ მატჩში, იენს იერემისთან უხეშობისთვის ბრაზილიელი მოედნიდან გააძევეს. პონტე ზამთრის შესვენებამდე დარჩენილ ორ ტურს გამოტოვებს, 27 იანვარს „შტუტგარტის“ წინააღმდეგ კი უკვე ითამაშებს.**

**ესპანეთის** მეორედივიზიონური „ხეტაფეს“ მწვრთნელი ხუანიო ენრიკესი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. სპეციალისტს წინა ტურის მატჩში არბიტრთან უთანხმოება მოუვიდა და უცენზურო სიტყვებიც არ დააკლო. „ხეტაფეს“ პრეზიდენტმა განაცხადა: „გადავწყვიტეთ, მწვრთნელი მოვხსნათ, რადგან ვთვლით, რომ არბიტრს ყველამ პატივი უნდა სცეს. მსაჯთა კომიტეტში ბოდიშის წერილიც გავგზავნეთ“. თავად ენრიკესი კი თავს იმართლებს, კლუბის გადაწყვეტილება უსამართლოა, არბიტრის წინააღმდეგ არაფერი ჩამიდენიაო.

**ამერიკელი კონორ კესი დორტმუნდის „ბორუსიაში“ ჩაირიცხა. იგი 19 წლისაა და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. კონორის ყიდვა რამდენიმე ინგლისურ კლუბსაც სურდა, თუმცა დორტმუნდელებმა იყოჩაღეს, თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე ფეხბურთელი გადაიბირეს და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. გერმანიაში იმასაც იუწყებიან, რომ „ბორუსიაში“ მალე ალბათ რაფაელ ვიკი ჩაირიცხება. შვეიცარიელმა ნახევარმცველმა „ვერდერთან“ ახალი კონტრაქტი არ გააფორმა და დორტმუნდელებს უფასოდ შეუერთდება.**

**ესპანელი** ფორვარდი ხოსება ეჩებერია ბილბაოს „ატლეტიკს“ რამდენიმე ტურში ვერ დაეხმარება, მან მუხლის ტრავმა მიიღო. „თუ ფეხბურთელმა ნატკენი მუხლი ბოლომდე არ მოირჩინა, მოსალოდნელია, ტრავმა კიდევ უფრო გაურთულდეს. ამიტომ ვურჩევთ, ჯერჯერობით თამაშს მოერიდოს. მკურნალობის ვადას ოდნავ მოგვიანებით დავადგენთ“ — განაცხადა ბასკური კლუბის ექიმმა.

**ნორვეგიელ მცველ რაგნვალდ სომას „პერუჯა“ სინჯავს და შესაძლოა, მან ერთ კვირაში იტალიურ კლუბთან გააფორმოს კონტრაქტი. აღსანიშნავია, რომ ნორვეგიის 21-წლამდელთა ნაკრების მოთამაშეს „ვესტ ჰემიც“ ეპატიჟებოდა. „იტალიაში თამაში მსურს. თუ ასარჩევად იქნება საქმე, სერია A-ში გადასვლას ვამჯობინებ“ — განაცხადა ახალგაზრდა მცველმა, რომლის სანაცვლოდაც „პერუჯა“ დაახლოებით 3 მილიონ დოლარს იხდის.**

**ინგლისური** „ლივერპულის“ 20 წლის მცველმა ჯიმი ტრაორემ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კამერუნის 18-წლამდელთა ნაკრების მოთამაშე „ენფილდ როუდზე“ შარშან „ლავალიდან“ 500 ათას გირვანქად ჩაირიცხა, თუმცა ახლა ტრავმა აწუხებს და ჯერ ვერ თამაშობს. იგი მერსისაიდელთა სარეზერვო გუნდის წევრია, მაგრამ ხანდახან ჟერარ ულიე ძირითად შემადგენლობაშიც აყენებდა. ბოლოს 23 ნოემბერს, უეფას თასის შეხვედრაში, ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ წინააღმდეგ გამოჩნდა მინდორზე. ექიმები იმედოვნებენ, რომ ტრაორე სამ კვირაში გამოჯანმრთელდება.

**რუმინელი მცველის, კრისტიან კივუს შეძენის სურვილი „გალათასარაიმ“ გამოთქვა. იუწყებიან, რომ სტამბოლური კლუბი ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონ დოლარს იხდის. „კივუს ხელში ჩაგდება მართლაც გვსურს, იგი ძალიან ძლიერი მცველია. ამას გარდა, „აიაქსიდან“ რიხარდ კნოპერსაც შევიძენდით“ — დაადასტურა ინფორმაცია „გალათასარაის“ ხელმძღვანელობამ. აღსანიშნავია, რომ კნოპერი ამსტერდამული კლუბიდან წასვლას აპირებს. მისით დორტმუნდის „ბორუსია“ და „ჰამბურგიც“ დაინტერესდნენ.**

**ავსტრიული** „ბრეგენცის“ თავკაცმა სლავკო კოვაჩიჩმა კლუბთან ჯამაგირის პირობები ვერ შეათანხმა და თანამდებობიდან გადადგა. „სხვა მიზეზი არ ყოფილა. უბრალოდ, ხელფასზე ვერ მოვრიგდით“ — განაცხადა „ბრეგენცის“ პრეზიდენტმა იოჟეფ ფილცმა. თავად ხორვატმა მწვრთნელმა კი კომენტარისგან თავი შეიკავა. კლუბმა გამოაცხადა, რომ ახალ მწვრთნელს მალე აირჩევს.

# თქვენ კორუმპირებული ხართ!

**ჰოლანდიურ** გაზეთ „ხანდელსბლადში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომელმაც ბელგიური საფეხბურთო წრეები უფრო ააფორიაქა, ვიდრე ჰოლანდიური. წერენ, რომ „პსვ ეინდჰოვენის“ მწვრთნელ ერიკ გერეტსს „ბრიუგე“ მექრთამეობაში სდებს ბრალს. ირკვევა, რომ 1997-99 წლებში, როცა გერეტსი ბელგიურ კლუბში მუშაობდა, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია ვინმე რინკო სტოიჩთან. ეს იუგოსლავიელი საფეხბურთო აგენტია და „ბრიუგეს“ მისი შუამავლობით რამდენიმე ფეხბურთელი უყიდია. თურმე გერეტსი და სტოიჩი შეკრულები ყოფილან. მწვრთნელი კლუბის ხელმძღვანელობასთან იმ ფეხბურთელებს უწევდა რეკომენდაციებს, რომელსაც იუგოსლავიელი სთავაზობდა და ამაში გვარიან გასამრჯელოს იღებდა. იმასაც ამბობენ, გერეტსის ყოფილი თანაშემწეები — რენე ვერჰეენი და ჰანს გალიე უკვე გამოტყდნენ და ყოფილ ბოსს ხელი დაადესო.

გერეტსი, ცხადია, ყველაფერს უარყოფს, სტოიჩმა ვინც შემოგვთავაზა, ყველა გამოგვადგა, ხოლო ქრთამის აღება აზრად არასდროს მომსვლიაო.

ბელგიის ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელის განმარტებამ არ დააკმაყოფილა და გამოძიების დაწყებას აპირებს.

## პორტუგალია

XIV ტური

**პორტუ 2:0 ბეირა მარი**

1:0 დრულოვიჩი (13), 2:0 ესკერდინია (39)

## იტალია

სერია B. XV ტური

**სამპდორია 1:0 კოზენცა**

1:0 მარკოლინი (12)

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XVI ტური

**ჰანოვერი 1:1 ზანქტ პაული**

1:0 შიმაკი (11), 1:1 ლოტერი (68)

## იუგოსლავია

მე-17 ტური: რადნიჩკი (ნიში) — პარტიზანი 0:4; სარტიდი — ოფკ 0:2; ჰაიდუკი — ჩუკარიჩკი 2:0; ობილიჩი — ზემუნი 2:0; ნაპრედაკი — რადი 3:2; ბუდუჩნოსტი — ვოივოდინა 1:0; რადნიჩკი (კრაგუევაცი) — სუტიესკა 0:0; მილიციონარი — ცრვენა ზვეზდა 0:3; ჟელეზნიკი — ზეტა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 16 | 14 | 0 | 2 | 51:12 | 42 |
| ცრვენა ზვეზდა | 16 | 13 | 3 | 0 | 41:7 | 42 |
| ობილიჩი | 17 | 10 | 3 | 4 | 26:18 | 33 |
| ოფკ | 17 | 10 | 2 | 5 | 27:16 | 32 |
| ჰაიდუკი | 17 | 7 | 4 | 6 | 26:17 | 25 |
| სარტიდი | 17 | 7 | 2 | 8 | 23:27 | 23 |
| ჟელეზნიკი | 17 | 6 | 4 | 7 | 23:30 | 22 |
| სუტიესკა | 17 | 6 | 4 | 7 | 18:29 | 22 |
| ვოივოდინა | 17 | 6 | 3 | 8 | 18:17 | 21 |
| კრაგუევაცი | 17 | 6 | 3 | 8 | 17:27 | 21 |
| ჩუკარიჩკი | 17 | 6 | 2 | 9 | 21:24 | 20 |
| ზეტა | 17 | 4 | 8 | 5 | 20:24 | 20 |
| ბუდუჩნოსტი | 17 | 6 | 2 | 9 | 15:21 | 20 |
| მილიციონარი | 17 | 6 | 2 | 9 | 14:19 | 20 |
| ზემუნი | 17 | 4 | 6 | 7 | 17:23 | 18 |
| რადი | 17 | 5 | 3 | 9 | 21:30 | 18 |
| ნაპრედაკი | 17 | 4 | 4 | 9 | 15:31 | 16 |
| ნიში | 17 | 3 | 3 | 11 | 13:34 | 9 |

*ნიშის „რადნიჩკის" დაკლებული აქვს 3 ქულა*

## არგენტინა

მე-18 ტური: ჩაკარიტა ხუნიორსი — ბოკა ხუნიორსი 2:1; რივერ პლეიტი — ურაკანი 1:1; სან ლორენსო — არგენტინოს ხუნიორსი 2:1; ინდეპენდიენტე — ნიუელს ოლდ ბოიზი 2:2; ლოს ანდესი — უნიონი 3:4; ესტუდიანტესი — ლანუსი 0:0; ველეზ სარსფილდი — ალმაგრო 2:3; როსარიო სენტრალი — რასინგი 1:0; ტალერესი — ხიმნასია (ლა პლატა) 2:0; კოლონი — ბელგრანო 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 18 | 11 | 5 | 2 | 34:19 | 38 |
| რივერ პლეიტი | 18 | 10 | 7 | 1 | 39:21 | 37 |
| ტალერესი | 18 | 11 | 3 | 4 | 31:20 | 36 |
| ხიმნასია | 18 | 10 | 4 | 4 | 34:29 | 34 |
| სან ლორენსო | 18 | 10 | 3 | 5 | 33:18 | 33 |
| ესტუდიანტესი | 18 | 7 | 8 | 3 | 22:16 | 29 |
| ველეზი | 18 | 7 | 7 | 4 | 24:18 | 28 |
| კოლონი | 18 | 7 | 5 | 6 | 28:21 | 26 |
| ურაკანი | 18 | 6 | 8 | 4 | 24:19 | 26 |
| უნიონი | 18 | 6 | 7 | 5 | 23:21 | 25 |
| ჩაკარიტა | 18 | 7 | 3 | 8 | 17:24 | 24 |
| როსარიო | 18 | 5 | 6 | 7 | 24:30 | 21 |
| ოლდ ბოიზი | 18 | 4 | 9 | 5 | 17:23 | 21 |
| ინდეპენდიენტე | 18 | 5 | 5 | 8 | 22:23 | 20 |
| ლანუსი | 18 | 4 | 6 | 8 | 21:24 | 18 |
| ბელგრანო | 18 | 3 | 8 | 7 | 21:27 | 17 |
| არგ. ხუნიორსი | 18 | 2 | 8 | 8 | 18:26 | 14 |
| ლოს ანდესი | 18 | 3 | 3 | 12 | 21:44 | 12 |
| რასინგი | 18 | 1 | 8 | 9 | 12:28 | 11 |
| ალმაგრო | 18 | 1 | 7 | 10 | 16:30 | 10 |

## ბრაზილია

ჩემპიონატის მეოთხედფინალი.

II მატჩები

პარანა — ვასკუ და გამა 1:0 (1:3); სან კაეტანო — პალმეირასი 2:2 (4:3)

ნახევარფინალის წილისყრა:

კრუზეირო — ვასკუ და გამა; გრემიო — სან კაეტანო

## მექსიკა

ჩემპიონატის ნახევარფინალი.

II მატჩები

მორელია — სანტოს ლაგუნა 3:2 (0:0); ტოლუკა — ატლასი 3:1 (3:3)

## ურუგვაი

ჩემპიონატის ფინალი.

II მატჩი

ნასიონალი — პენიაროლი 1:1 (1:0)

„ნასიონალი" ჩემპიონია

# იანკერს ენის ამოცლას უპირებენ



კარსტენ იანკერმა ენა თუ არ გააჩერა, „ბაიერნის" ფორმას ვეღარ მოირგებს

**მიუნხენის** „ბაიერნის" თავდამსხმელი კარსტენ იანკერი კლუბის ხელმძღვანელობამ მკაცრად გააფრთხილა, გიჯობს, ენას კბილი დააჭირო, თორემ გუნდიდან თუ გაგიშვით, ნუ გეწყინებაო.

ამ ბოლო დროს იანკერი მინდორზე ძალიან ცუდად იქცევა. 2 დეკემბერს ბუნდესლიგის მეთხუთმეტე ტურში, „ლევერკუზენთან" საშინაო პრინციპულ მატჩში გოლის გატანა გერმანელმა ფორვარდმა ერთობ ემოციურად გამოხატა, ლევერკუზენელთა თავკაც ბერტი ფოგტსს მისდგა და სულ უკანალოო, უძახა. გასულ შაბათს კი იანკერის რისხვა „კაიზერსლაუტერნის" მთავარ მწვრთნელ ანდრეას ბრემეს დაატყდა. შუა თამაშისას იანკერი ბრემეს მიუახლოვდა და გვარიანად გამოლანძღა.

ამ შეხვედრაში „ბაიერნის" მეცხრამეტე ნომერმა ყვითელი ბარათი მიიღო. მსაჯმა იანკერი მარიან ხრისტოვთან უხეშობისთვის გააფრთხილა, რისთვისაც გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან მკაცრი საყვედური მიიღო, უნდა გაგეძევებინაო. ბავარიელი ფეხბურთელის თამაშით აღშფოთებული „კაიზერსლაუტერნის" ქომაგები ამის შემდეგ არ გაჩერებულან: მიიღებდა თუ არა იანკერი ბურთს, გულშემატკივრები უსტვენდნენ, მერე კი ერთმანეთს ხმა აუწყვეს და იანკერს მაგრად აგინეს. ეს ყველაფერი ფორვარდმა სულ რაღაც 22 წუთში დაიმსახურა. სწორედ ამდენი დრო გაატარა მინდორზე ფეხბურთელმა, როცა 68-ე წუთზე ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი შეცვალა.

„ლევერკუზენთან" მატჩში ფოგტსის მისამართით გამოხდომა იანკერს ერთი კვირის წინ „ბაიერნის" უფროსობამ აპატია. აპატია კი არა, გამოექომაგა კიდეც. „ფეხბურთი ემოციური თამაშია, თანაც ამ მატჩს უდიდესი დატვირთვა ჰქონდა. ფეხბურთელები საბრძოლველად იყვნენ განწყობილნი. ცუდია, ეს რომ მოხდა, მაგრამ კარსტენი ძალიან ალგზნებული იყო. შეიძლებოდა ნებისმიერის მისამართით ეთქვა ეს სიტყვები, უბრალოდ, მაშინ თვალში პირველი ფოგტსი მოხვდა" — აი, ასე დაიცვა იანკერი ბავარიული კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

„ეს მეტისმეტია. იანკერი ვერ ხვდება, რომ მისი უგუნური საქციელი „ბაიერნის" იმიჯზე მოქმედებს. ცუდი შედეგი ფეხბურთელებს შეიძლება ვაპატიოთ კიდეც, ღირსების შელახვის უფლებას კი არავის მივცემთ" — ეს სიტყვებიც რუმენიგეს ეკუთვნის. მან ეს განცხადება, უპირველეს ყოვლისა, იანკერის მისამართით გააკეთა და ფეხბურთელი მიახვედრა, რომ ამგვარი საქციელი, შესაძლოა ძვირადაც დაუჯდეს. გერმანელი მეგოლე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმაც გააკრიტიკა. „ის, რაც კარსტენმა გააკეთა, პროფესიონალს არ ეკადრება. ასე გაგრძელება არ შეიძლება" — აღნიშნა მან.

ისე, გერმანული მასმედიის კრიტიკა ერთი კვირის წინ „ბაიერნსაც" შეეხო. ამ გუნდის ხელმძღვანელობას ჟურნალისტებმა იანკერის დასჯისკენ მოუწოდეს, ყველაფერს ხაზვით ნუ შეარჩენთო, თუმცა ბავარიელებმა პრესის აზრი არ გაითვალისწინეს. ფეხბურთელმა ბოდიში მოიხადა და საქმეში ჩვენი ჩარევა რაღა საჭიროაო. თურმე საჭირო ყოფილა.

და კიდევ. იანკერს თანაგუნდელებშიც ვერ ჰქონია დიდი ავტორიტეტი. ეს განსაკუთრებით ნაკრებზე ითქმის, სადაც თავდამსხმელი თურმე ათვალისწუნებული ჰყავთ. „ყველა ფეხბურთელი გუნდში იმიჯს თავად იკეთებს, ჰოდა, იანკერს თუ პატივს არ სცემენ, ეს მისივე ბრალია. როგორც ჩანს, გრძელი ენა აქვს" — ასკვნის ანდრეას ბრემე, რომელიც ფოგტსის მსგავსად წყნარადაა და სახალხოდ ლანძღვის სანაცვლოდ არაფერს ითხოვს.

ისე კი, რა უნდა მოსთხოვოს, იანკერს თავისიც ეყოფა: ზურგის ტრავმის გამო, მომავალ საუკუნეშიღა თუ შეძლებს მინდორზე გასვლას. ექიმების გუშინდელი დიაგნოზის თანახმად, თავდამსხმელს იანვრამდე დასვენება მოუწევს.

**განო ოქროპირიძე**

# დელ პიერო: პიეროსავით უიღბლო

**კვირას** „იუვენტუსისა" და „პარმას" შეხვედრის 42-ე წუთზე ტურინელთა თავდამსხმელი ალესანდრო დელ პიერო მეტოქეს შეეჯახა და დაშავდა. მწვრთნელი კარლო ანჩელოტი იძულებული გახდა, ფეხბურთელი მოედნიდან გაეყვანა და მის ნაცვლად ჯანლუკა ძამბროტა შეეშვა. დელ პიერო კი მოგვიანებით ტურინული კლუბის ექიმებმა გასინჯეს და დაასკვნეს, რომ იგი თვეზე მეტ ხანს ვერ ითამაშებს.

„ფეხბურთელს მარჯვენა ფეხის კუნთი დაუზიანდა და თუ მკურნალობის პროცესმა წარმატებით ჩაიარა, მოედანს დაახლოებით ორმოც დღეში დაუბრუნდება" — განაცხადა ექიმმა რიკარდო აგრიკოლამ.

სანამ დელ პიერო გამოჯანმრთელდება, „იუვენტუსის" სასტარტო შემადგენლობაში ფილიპო ინძაგის გამოჩენას უნდა ველოდოთ. ფრანგი დავიდ ტრეზეგეს პარტნიორი სწორედ პიპო იქნება, რომელიც ბოლო ხანს ოდნავ ჩრდილში მოექცა. დელ პიეროს სავარაუდო დაბრუნების დღედ კი 21 იანვარს ასახელებენ, როცა „იუვენტუსი" „პერუჯას" ესტუმრება.

ტურინული კლუბის ბანაკში კი ასეთი ამბებია: მარკ იულიანო ნატკენ თეძოს მკურნალობს, როგორც ამბობენ, ანჩელოტის მისი იმედი ჯერ არ უნდა ჰქონდეს. ალესანდრო ბირინდელის კუნთი დასჭიმვია და ფიზიოთერაპიის კურსი სჭირდება. ტრავმა აქვს ჯანლუკა პესოტოსაც. მართალია, ფაბიენ ონილი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე არაა, მაგრამ მის სატკივარზეც ვთქვათ — 22 წლის ურუგვაელს წვივი დაუშავებია.



ალესანდრო დელ პიერო (მარცხნივ) „იუვენტუსს" თვეზე მეტი ხნით გამოაკლდა

# მოკალათდა კავშირი: აქაც ფრაქციები

## დღეს უეფას თასის წილისყრაა

**ოთხი** ესპანური, სამი იტალიური; ორ-ორი გერმანულ-ფრანგული და თითოც ინგლისური, პორტუგალიური, ბერძნული, ჰოლანდიური და ჩეხური...

სწორედ ჩამოთვლილ ქვეყანათა 16 კლუბი შემორჩა უეფას თასს. მერვედფინალები თებერვალში ჩატარდება, დღეს კი შვეიცარიის ქალაქ ნიონში ევროპული ფეხბურთის მმართველები წილისყრას ჩაატარებენ, რომელიც თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება. ცხადია, უეფამ წესს არც ახლა უღალატა და შემორჩენილი გუნდებიც სიძლიერის მიხედვით განთესა.

პირველ კალათაში მოხვდნენ — „ბარსელონა", „რომა", „პორტუ" და „სელტა", მათ პოტენციურ მეტოქეებად კი „ლივერპული", „ნანტი", ათენის აეკ და „შტუტგარტი" მიიჩნევიან. რატომ? მარტივი პრინციპია, ზედა ოთხი განთესილია, ქვედა ოთხი კი განუთესავი. დანარჩენი რვა გუნდიდან, რომლებიც, ბუნებრივია, მეორე კალათაში გამწესდნენ, ძლიერებად მილანის „ინტერი", „პარმა", „ბორდო" და პრაღის „სლავია" მიიჩნიეს, სუსტებად — „პსვ ეინდჰოვენი", „კაიზერსლაუტერნი", „ალავესი" და „რაიო ვალეკანო".

ეს რაც შეეხება მერვედფინალს, დღესვე მოეწყობა მეოთხედფინალის წილისყრაც. მერვედფინალები 15 და 22 თებერვალს გაიმართება, მეოთხედფინალები კი გაზაფხულზე — 8 და 15 მარტს.

ნიონში უეფას თასის მოცილეებს რომ დააწყვილებენ, მერე ევროპული ფეხბურთის მმართველი ლენარტ იუჰანსონი 2004 წელს პორტუგალიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის სატელევიზიო უფლებების კონტრაქტს მოაწერს ხელს ევროპის სამაუწყებლო კავშირის (EBU) პრეზიდენტ ალბერტ შარფთან და გენერალურ მდივან ჟან-ბერნარ მიუნხთან ერთად.

**გიორგი გუგაძიძე**

# რა პატარა ხარ, რა დიდი

## ელოდეთ ევროლიგას!

**აქამდეც** გვითქვამს და გავიხსენოთ: ევროპის პატარა საფეხბურთო ქვეყნების დიდ გუნდებს ეროვნული ჩემპიონატები არ აკმაყოფილებთ და ცალკე დივიზიონის შექმნა სურთ. ადრე მომავლის დივიზიონს ჩრდილოატლანტიკურ ლიგად მოიხსენიებდნენ და ახლა ევროლიგას უწოდებენ. თუმცა სახელი მეორეხარისხოვანი საკითხია, მთავარი ისაა, რომ მისი დაფუძნების მსურველებმა საბოლოო ვადაც დათქვეს — 2001 წლის სექტემბრამდე ყველა საორგანიზაციო საკითხი უნდა მოგვარდეს.

ჯერჯერობით „ბუნტისთავები" თერთმეტნი არიან: ჰოლანდიური „აიაქსი", „ფეიენოორდი" და „პსვ ეინდჰოვენი", ბელგიური „ბრიუგე" და „ანდერლეხტი", პორტუგალიური „ბენფიკა" და „სპორტინგი", შოტლანდიური „სელტიკი" და „რეინჯერსი", დანიური „ბრონდბიუ" და „კოპენჰაგენი". სავარაუდოდ, მათ ერთი ან ორი შვედური კლუბიც შეუერთდება.

ევროლიგის შექმნის მიზეზი სავსებით გასაგებია. ამ ქვეყანათა ჩემპიონატები ბევრად ჩამორჩება პრემიერლიგას, სერია A-ს, პრიმერადივიზიონს, ბუნდესლიგასა და საფრანგეთის პირველ დივიზიონს. ტელეკომპანიებსაც ბობოლებისკენ გაურბით თვალი. ამასთანავე ჩემპიონთა ლიგაც მათ აქვთ „დაპყრობილი". აქედან კი გამოდის, რომ მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ხოლო სხვებს ამოსუნთქვის საშუალება ერთმევათ. არადა, ჩამოთვლილი თერთმეტი კლუბიდან უმრავლესობას სახელოვანი წარსული და კარგი პოტენციალი აქვს.

ჩვენი ქვეყნების ფედერაციებსა და ევროპული ფეხბურთის მამებს საბოლოო გეგმას გაზაფხულისთვის წარვუდგენთო — ამბობენ ისინი, ხოლო ევროლიგის პირველი გათამაშების დაწყებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სექტემბრიდან აპირებენ.



## ზინედინ ზიდანი

დაიბადა 1972 წლის 23 ივნისს მარსელში, საფრანგეთი
1988: თამაში დაიწყო „კანში". ერთი წლის შემდეგ პირველად მოხვდა სასტარტო შემადგენლობაში
1990: მიიწვიეს საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში
1992: გადავიდა „ბორდოში"
1994: ჰქონდა დებიუტი საფრანგეთის ეროვნულ გუნდში ჩეხეთის წინააღმდეგ, სადაც ორი გოლი გაიტანა. იმავე წელს დაასახელეს ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად
1996: „ბორდო" გავიდა უეფას თასის ფინალში და დამარცხდა მიუნხენის „ბაიერნთან". სიჩქარის გადაჭარბების გამო მოხვდა მძიმე საავტომობილო ავარიაში, თუმცა უვნებელი გადარჩა. გადავიდა ტურინის „იუვენტუსში"
1997: „იუვენტუსი" გახდა იტალიის ჩემპიონი. ჩემპიონთა ლიგის ფინალში წააგო დორტმუნდის „ბორუსიასთან"
1998: მეორედ მოიგო სკუდეტო და ასევე მეორედ დამარცხდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ამჯერად მადრიდის „რეალთან". საფრანგეთის ნაკრებთან ერთად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ფიფამ და „უორლდ სოკერმა" დაასახელეს მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად. „ფრანს ფუტბოლმა" აღიარა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად, ხოლო საფრანგეთში გახდა წლის საუკეთესო სპორტსმენი
2000: მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. 11 დეკემბერს ფიფამ მეორედ დაასახელა მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად

## ფიფას ლაურეატები 1991-2000

| | | |
|---|---|---|
| 1991 | ლოთარ მათეუსი | (გერმანია, ინტერი) |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | (ჰოლანდია, მილანი) |
| 1993 | რობერტო ბაჯო | (იტალია, იუვენტუსი) |
| 1994 | რომარიო | (ბრაზილია, ბარსელონა) |
| 1995 | ჟორჟ ვეა | (ლიბერია, მილანი) |
| 1996 | რონალდო | (ბრაზილია, ბარსელონა) |
| 1997 | რონალდო | (ბრაზილია, ინტერი) |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | (საფრანგეთი, იუვენტუსი) |
| 1999 | რივალდო | (ბრაზილია, ბარსელონა) |
| 2000 | ზინედინ ზიდანი | (საფრანგეთი, იუვენტუსი) |

FIFA
For the Good of the Game

# პელე თუ... მარადიული დავა დიდი ბუტიაობით

ფიფამ მთელი მსოფლიოს სახელოვანი საფეხბურთო მოღვაწენი, ძველებიც და თანამედროვენიც, რომში შეჰყარა და მათ თვალწინ წლის რჩეულნი დაასახელა. და რაკი 2000 წელი დგას, საუკუნის უდიადესთა გამორჩევაც საჭიროდ ჩათვალა.

გალა-წარმოდგენაზე დადასტურდა: ფეხბურთი ზუსტი მეცნიერება არაა, რომ იქ გაკეთებულ დასკვნებს ყველა დაეთანხმოს. ამიტომაც დასჭირდა ფიფას საუკუნის ფეხბურთელის ტიტულის ორი კაცისთვის ბოძება. ამიტომაც დაასახელა „უორლდ სოკერმა" ფიგუ, ფიფამ კი — ზიდანი. ამიტომაა ყოველი სანაკრებო თუ საკლუბო შეჯიბრის მერე კამათი, თუ ვინ უფრო იმსახურებდა ჩემპიონობას. ამიტომაც, რომაული შედეგები აუცილებლად იქცევა დავის საგნად (უკვე იქცა). თუმცა იქამდე ფიფასეული ვერსია...

| ქვეყანა | მწვრთნელი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | ფრანკ ფარინა | ფიგუ | რივალდო | ბექემი |
| ავსტრია | ოტო ბარიჩი | ზიდანი | ფიგუ | ანრი |
| აზერბაიჯანი | იგორ პონომარიოვი | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| ალჟირი | არაჯი ლარბი ჯადაუ | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ამერიკის ვირჯინია | დერილ როჯერსი | ანრი | კანუ | რივალდო |
| ანდორა | დავიდ როდრიგო | ზიდანი | შევჩენკო | ფიგუ |
| ანგოლა | მარიო დე სოუზა კალადუ | ფიგუ | რივალდო | ბექემი |
| არგენტინა | მარსელო ბიელსა | რაული | ფიგუ | კლუივერტი |
| აშშ | ბრიუს არენა | ზიდანი | რივალდო | შევჩენკო |
| ახალი ზელანდია | კენ დაგდალი | ზიდანი | ფიგუ | ანრი |
| ბანგლადეში | ჯორჯ კოტანი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ბარბადოსი | ჰორაც ბეკლსი | რივალდო | ბატისტუტა | რაული |
| ბაჰამა | გარი უაიტი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ბაჰრეინი | ვოლფგანგ ზიდკა | ზიდანი | ფიგუ | ნესტა |
| ბელარუსი | ედუარდ მალოფეევი | ზიდანი | ტოლდო | ფიგუ |
| ბელგია | რობერ ვასეჟი | ზიდანი | ანრი | რაული |
| ბელიზი | მანუელ რეინალდო ბილშისი | ბატისტუტა | ფიგუ | ვერონი |
| ბერმუდა | ჯონ ბეარი | ზიდანი | ფიგუ | რობერტო კარლოსი |
| ბოსნია-ჰერცოგოვინა | დრაგო სმაილოვიჩი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ბოტსვანა | იოკენ ფიგე | ზიდანი | ნედვედი | ფიგუ |
| ბრაზილია | ემერსონ ლეაო | კლუივერტი | ფიგუ | ბატისტუტა |
| ბრიტანეთის ვირჯინია | პატრიკ მიჩელი | დავიდსი | დელ პიერო | რობერტო კარლოსი |
| ბულგარეთი | სტოიჩო მლადენოვი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ბურკინა ფასო | სიდიკი დიარა | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| გერმანია | რუდი ფიოლერი | ზიდანი | ვერონი | დავიდსი |
| განა | ფრედ ოსამ-დუდუ | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| გუამი | უილი მაკფოლი | ბექემი | რომარიო | ბარტეზი |
| გვატემალა | ჟულიო სეზარ კორტესი | ზიდანი | რივალდო | რაული |
| გვინეა | ნაბი ლეი პაპა კამარა | რივალდო | ფიგუ | მბომა |
| გვინეა-ბისაუ | არმანდო ანტონიო მირანდა | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| დანია | მორტენ ოლსენი | ფიგუ | ზიდანი | ანრი |
| დომინიკა | ჯეფრი ფაუსტინი | ფიგუ | რივალდო | შევჩენკო |
| დომინიკელთა რესპუბლიკა | ხუან მოიკა | რივალდო | ზიდანი | ფიგუ |
| ესპანეთი | ხოსე ანტონიო კამაჩო | ფიგუ | რივალდო | რობერტო კარლოსი |
| ეკვადორი | ერნან დარიო გომესი | რედონდო | კორდობა | ფიგუ |
| ეგვიპტე | მაჰმუდ ელ გოჰარი | შევჩენკო | რობერტო კარლოსი | დავიდსი |
| ერაყი | მილენ ზივა დენოვიცი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ერითრეა | ასეფუ ასმერონი | ფიგუ | რივალდო | ზიდანი |
| ესტონეთი | ტარმო რუუტლი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ეთიოპია | ასპატ ჰეილი | ზიდანი | ფიგუ | ჟოაუ პინტუ |
| ვანუატუ | ხუან კარლოს ბუზეტი | ზიდანი | ბატისტუტა | რივალდო |
| ვენესუელა | ხოსე ომარ პასტორისა | ბატისტუტა | ვერონი | ზიდანი |
| ვიეტნამი | ალფრედ რიდლი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ზამბია | პატრიკ პირი | ფიგუ | კლუივერტი | ზიდანი |
| თურქეთი | შენოლ გიუნეში | ზიდანი | ბარტეზი | რივალდო |
| თურქმენეთი | ტახმურად აგამურადოვი | შევჩენკო | რივალდო | ბექემი |
| ინგლისი | ჰოვარდ უილკინსონი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ისლანდია | ატლი ედვალდსონი | ფიგუ | რივალდო | ზიდანი |
| ინდოეთი | მუხვინდერ სინდი | რივალდო | ფიგუ | ზიდანი |
| ინდონეზია | მუჰამედ ზეინი | ტოტი | კლუივერტი | ფიგუ |
| ირანი | ჯალალ თალები | ფიგუ | კლუივერტი | ნესტა |
| ისრაელი | რიქარდ მიოლერ ნილსენი | ფიგუ | დეშამპი | იერო |
| იტალია | ჯოვანი ტრაპატონი | ბატისტუტა | ფიგუ | რივალდო |
| იამაიკა | კლოვის დე ოლივეირა | რომარიო | ფიგუ | ზიდანი |
| იაპონია | ფილიპ ტრუსიე | ზიდანი | ბატისტუტა | მბომა |
| იორდანია | რიკარდო კარუგატი | ბატისტუტა | ზიდანი | ბექემი |
| ირლანდია | მიკ მაკარტი | ფიგუ | რივალდო | რედონდო |
| იუგოსლავია | ილია პეტკოვიჩი | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| კანადა | ჰოლგერ ოსიეკი | ფიგუ | კლუივერტი | რივალდო |
| კაბო ვერდე | ოსკარ დუარტე | რივალდო | ფიგუ | კოული |
| კამბოჯა | იან ჩენგი | რივალდო | ზიდანი | ფიგუ |
| კაიოსი | ჩარლი კუკი | ფიგუ | რივალდო | ლატაპი |
| კენია | ჯეიმს სიანგა | რივალდო | სამორანო | კანუ |
| კოლუმბია | ლუის აუგუსტო გარსია | რივალდო | შევჩენკო | ზიდანი |
| კონგო | ჩიანგანა გასტონი | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| კორეა | იუნგ მო ჰუ | ფიგუ | კლუივერტი | ზიდანი |
| კუკის კუნძულები | მორის ტილოტსონი | ზიდანი | ფიგუ | რობერტო კარლოსი |
| კოსტა რიკა | ჟილსონ ნუნეშ სიკუერა | ვანჩოპე | მედფორდი | სოტო |
| კუბა | უილიამ ბენეტ ბარაკი | ფიგუ | ზიდანი | რივალდო |
| კვიპროსი | სტავროს პაპადოპულოსი | რივალდო | ფიგუ | ბექემი |
| ლატვია | გარი ჯონსონი | ფიგუ | შევჩენკო | ზიდანი |
| ლიხტენშტაინი | რალფ ლოოსი | ზიდანი | ფიგუ | რაული |
| ლიტვა | იულიუს კვედარასი | ფიგუ | ზიდანი | რივალდო |
| ლუქსემბურგი | პოლ ფილიპი | ზიდანი | ფიგუ | ნესტა |
| უნგრეთი | ბერტალან ბიჩკეი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| მაკედონია | დრაგი კანატლაროვსკი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| მადაგასკარი | კლოდ რაველომანანტსოა | ფიგუ | რაული | ანრი |
| მალაიზია | რონ სმიტი | დესაი | ანრი | ნესტა |
| მალდივეთი | ვიქტორ სტანკულესკუ | რივალდო | ზიდანი | დესაი |
| მალტა | იოსიპ ილიჩი | ფიგუ | რივალდო | ბექემი |
| მავრიტანია | ბირამა გეი | ფიგუ | რივალდო | ანრი |
| მავრიკეთი | კადრიველ დორასამი | ზიდანი | რივალდო | ანრი |
| მოლდოვა | ალექსანდრ მაციურა | შევჩენკო | რივალდო | ფიგუ |
| მაროკო | უმბერტუ კოელიუ | ფიგუ | შევჩენკო | რივალდო |
| მოზამბიკი | მარტინო ფერნანდესი | ფიგუ | რივალდო | კანუ |
| მიანმარი | დევიდ ბუტი | მენდიეტა | ზიდანი | რივალდო |
| ნიკარაგუა | მაურისიო ხირონი | რივალდო | ფიგუ | ზიდანი |
| ნიგერია | ამადუ შაიბუ | რივალდო | ფიგუ | რობერტო კარლოსი |
| ნორვეგია | ნილს იოჰან სემბი | ფიგუ | ზიდანი | ნორდბი |
| ომანი | კარლოს ალბერტო ტორესი | რომარიო | ფიგუ | ბექემი |
| პაკისტანი | ჯონ ლეიტონი | ზიდანი | დაეი | ალ ჯაბერი |
| პალესტინა | მუსტაფა აბდალაგალი | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| პანამა | გარი სტემპელი | ფიგუ | რივალდო | ბატისტუტა |
| პარაგვაი | სერხიო მარქარიანი | აიმარი | რეკობა | ფიგუ |
| პერუ | ხულიო სეზარ ურიბე ფლორესი | ზიდანი | რივალდო | რაული |
| პოლონეთი | ვლადისლავ ენგელი | ფიგუ | ზიდანი | ბატისტუტა |
| პორტუგალია | ანტონიუ ოლივეირა | რივალდო | ზიდანი | რობერტო კარლოსი |
| რუმინეთი | ლადისლაუ ბოლონი | ზიდანი | რივალდო | რაული |
| რუსეთი | მიხაილ გერშკოვიჩი (თანაშემწე) | შევჩენკო | ზიდანი | რივალდო |
| რუანდა | ლონგინ რუდასინგვა | ფიგუ | რივალდო | ანრი |
| საამიროები | ანრი მიშელი | ბატისტუტა | ზიდანი | რივალდო |
| სამხრეთ აფრიკა | კარლოს კუეროსი | ფიგუ | ზიდანი | ანრი |
| სან მარინო | ჯამპაოლო მაცა | ფიგუ | ნესტა | შევჩენკო |
| სან ტომე და პრინსიპე | ანტონიო ესტევესი | რივალდო | ფიგუ | შევჩენკო |
| სენეგალი | მამა სოუ | რივალდო | მბომა | ფიგუ |
| სეიშელი | ულრიკ მეტიოტი | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| სიერა ლეონე | კრისტიან კოული | ფიგუ | ზიდანი | მბომა |
| სინგაპური | ვინსენტ სუბრამანიმი | ფიგუ | რივალდო | ანრი |
| სლოვაკეთი | იოჟეფ ადამეცი | რივალდო | ნესტა | შევჩენკო |
| სლოვენია | სრეჩკო კატანეცი | ფიგუ | რივალდო | ტოტი |
| სომალი | ჰუსეინ ალი აბდული | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| სომხეთი | ვარუჟან სუკიასიანი | ზიდანი | დავიდსი | ფიგუ |
| სირია | ბოჟიდარ ვუკოვიჩი | ზიდანი | რივალდო | ბექემი |
| საფრანგეთი | როჟე ლემერი | რივალდო | ფიგუ | ბექემი |
| **საქართველო** | **დავით ყიფიანი** | **ზიდანი** | **რივალდო** | ტოლდო |
| | **რევაზ ძოძუაშვილი** | | | |
| საბერძნეთი | ვასილის დანიელი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| სენტ კიტსი და ნევისი | კლინტონ პერსივალი | ზიდანი | რივალდო | დავიდსი |
| სუდანი | ზავგი აბდელ აზიზი | ფიგუ | ბატისტუტა | რივალდო |
| სურინამი | რონალდ კოლფი | ზიდანი | ფიგუ | ტოლდო |
| სვაზილენდი | დუმისა მალალელა | ტოტი | ანრი | რივალდო |
| ტაივანი | ჟან-ჩენ უანგი | რივალდო | ბატისტუტა | ბექემი |
| ტაიტი | რიჩარდ ვანსამი | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| ტანზანია | სილერსაიდ ზირაი | ბექემი | ბარტეზი | დავიდსი |
| ტაილანდი | პეტერ უაიტი | ფიგუ | ზიდანი | ბექემი |
| ტოგო | ბანა ჩენილი | ფიგუ | რივალდო | დავიდსი |
| ტრინიდადი და ტობაგო | იან პორტერფილდი | ზიდანი | რივალდო | ფიგუ |
| ტუნისი | ფრანჩესკო სკოლიო | ბატისტუტა | ნესტა | ზიდანი |
| უგანდა | ჰარისონ ოკაგბუე | რივალდო | ბექემი | ანრი |
| უკრაინა | ვალერი ლობანოვსკი | ფიგუ | ნესტა | კლუივერტი |
| უზბეკეთი | ბახტიორ ხაკიმოვი | შევჩენკო | რობერტო კარლოსი | ფიგუ |
| უელსი | მარკ ჰიუზი | ზიდანი | ბექემი | ფიგუ |
| ფარერები | ალან სიმონსენი | ზიდანი | ფიგუ | ანრი |
| ფიჯი | ბილი საინი | ფიგუ | ზიდანი | რივალდო |
| ფინეთი | ანტი მუურინენი | ზიდანი | ნესტა | ბექემი |
| ფილიპინები | რუდოლფო ალიკანტე | რივალდო | ბექემი | ფიგუ |
| შვედეთი | ტომი სოდერბერგი | ზიდანი | ნესტა | ვერონი |
| | ლარს ლაგერბეკი | | | |
| შვეიცარია | ენცო ტროსერო | ბატისტუტა | ფიგუ | ტოტი |
| შოტლანდია | კრეიგ ბრაუნი | ფიგუ | ზიდანი | ბატისტუტა |
| ჩილე | ნელსონ აკოსტა | ფიგუ | ბატისტუტა | კინი |
| ჩინეთი | ბორა მილუტინოვიჩი | ბექემი | რივალდო | ფიგუ |
| ჩრდილოეთ ირლანდია | სემი მაკილროი | რივალდო | ზიდანი | ნედვედი |
| ჩეხეთი | იოჟეფ ხოვანეცი | ზიდანი | ფიგუ | რივალდო |
| ქუვეითი | იურინ დოშანი | ზიდანი | რივალდო | ნედვედი |
| ყატარი | ჯემალ ჰაჯიაბჯიჩი | ანრი | ზიდანი | რივალდო |
| ყირგიზეთი | ევგენი ნოვიკოვი | ზიდანი | შევჩენკო | ბექემი |
| ხორვატია | მიროსლავ ბლაჟევიჩი | ზიდანი | ფიგუ | ტოტი |
| ჯიბუტი | მოჰამედ ბადრი | რივალდო | ფიგუ | ზიდანი |
| ჰოლანდია | ლუის ვან გაალი | ბექემი | მენდიეტა | ფიგუ |
| ჰონგ კონგი | არი ვან დერ ზუვენი | ანრი | ზიდანი | ტოტი |

## წლის ფეხბურთელი

**ღარიბი** ალჟირელი ემიგრანტის შვილი მეორედ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. მისებრ ორგზის ტრიუმფატორი აქამდე მხოლოდ რონალდო იყო. „ეს ჩემთვის უდიდესი პატივია — თქვა სამადლობელ სიტყვაში ზიდანმა — განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ ისეთ დიდ ფეხბურთელებს მაჯობინეს, როგორებიც რივალდო და ფიგუ არიან".

მეტად მრავალფეროვანი გემოვნებით გამოირჩევიან მსოფლიოს ნაკრებთა მწვრთნელები. მოცემულ ნუსხას თუ გადავხედავთ, ბლომად ფეხბურთელებს ამოვიკითხავთ და მათ შორის ბევრი უცნაური სახელიც გვხვდება, თუმცა აშკარა ფავორიტი მაინც ეს სამი იყო.

ორი წლის წინ, როცა ზიდანი პირველად გახდა ფიფას რჩეული, გვარიანი უპირატესობით ჩამოიტოვა მეორეადგილოსანი რობერტო კარლოსი. მაშინ საუკეთესოს ვინაობა, ფაქტობრივად, არავის გაუხდია საკამათო. ახლა კი სხვაგვარად იყო — ევროპის ჩემპიონატზე ზიზუზე არანაკლებ ბრწყინვალე იყო ტიერი ანრი. „იუვენტუსში" ის ბევრს ვერაფერს აკეთებს, ისევე როგორც საერთოდ ტურინული კლუბი და ბოლო დროს უხეშობასაც დაეჩვია. თუმცა ევროპის ჩემპიონის ტიტულმა გადასწონა რივალდოს და ფიგუს, რომელთაც წლეულს არაფერი მოუგიათ. თავად ზიდანიც ამბობს, ვფიქრობ, ევროპა რომ მოვიგე, მხოლოდ ამით ვაჯობე მთავარ კონკურენტებსო.

## საუკუნის ფეხბურთელები

ფიფამ იცოდა — ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესობა ახალგაზრდობაა, რომელთაც პელეს, დი სტეფანოს, ეუსებიოსა და სხვა ძველ ვარსკვლავთა თამაში არ უნახავს. სამაგიეროდ, მათ კარგად ახსოვთ დიეგო არმანდო მარადონა და უფრო ახალი თაობის ფეხბურთელები. შესაბამისად, ამგვარი გამოკითხვა რამდენადმე არასრული და ეგებ ნაკლებ სამართლიანიც იყო. და მაინც, ფიფამ საინტერნეტო გამოკითხვა მოაწყო და სავსებით მოსალოდნელი შედეგები მიიღო: მარადონა — 53,6 პროცენტი, პელე 18,53 პროცენტი, დანარჩენმა კანდიდატებმა ძალიან ცოტა ხმა მიიღეს.

სხვაობა მარადონასა და პელეს შორის მეტისმეტად დიდია. ამ სხვაობამ დიეგო არმანდოს ათქმევინა, მე უდიდესი ვარ, პელესთან ჩემი შედარება აღარ გაბედოთო. მაგრამ რა ექნა ფიფას? 30 წელია, პელეს მეფედ მოიხსენიებს და ახლა თურმე მარადონა ყოფილა უდიადესი. ამიტომაც ფიფაში თქვეს, საუკუნის რჩეულს საინტერნეტო გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით სპეციალური ჟიური დაასახელებსო. მარადონამ რაღაც იეჭვა და განაცხადა, ხალხმა როგორც თქვა, ისე უნდა იყოს, სხვაგვარად რომში არ ჩამოვალო.

მარადონა რომში ჩავიდა. დაჯილდოების ცერემონიალზე პირველ რიგში იჯდა, გვერდს ცოლი უმშვენებდა, იმის იქით კი ფიგუს ცოლი, ფიგუ და რივალდო ისხდნენ.

სცენაზე ჟოაო აველანჟი მიიწვიეს და გამოაცხადეს, რომ ფიფას ყოფილი პრეზიდენტი საინტერნეტო გამოკითხვის შედეგების მიხედვით საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელს დააჯილდოვებდა. მერე გამოაცხადეს — დიეგო მარადონა. „ღვთის ხელიანი" კოკაინისტი გენიოსი კმაყოფილი ჩანდა...

მარადონა მოტყუვდა. მისი დაჯილდოებით გალა-წარმოდგენა არ დასრულებულა. ფიფამ თავისი წევრების აზრიც შეისწავლა, რომლის თანახმადაც პელეს 72,75 პროცენტი ერგო, ალფრედო დი სტეფანოს — 9,75, ხოლო მარადონას — მხოლოდ 6,0. და მარადონამ თავისთვის საშინელი სიტყვები მოისმინა: ფიფა საუკუნის ფეხბურთელად ასახელებს პელეს. ფეხბურთის მეფე სცენაზე ავიდა, მას სხვებთან ერთად რივალდო, ფიგუ და ფიგუს ცოლიც უკრავდნენ ტაშს, ოღონდ მათ გვერდით მარადონა და მისი მეუღლე აღარ ისხდნენ...

შენობიდან გასულ მარადონას ჟურნალისტებმა დააწიეს: „თქვენ ვის დაასახელებდით საუკეთესოდ?" დიეგო არმანდომ, ალბათ, იგრძნო ირონია და შეცბა: „არგენტინელი ვარ და დი სტეფანოს, თუმცა პლატინი, კრუიფი, რივალდო და პელეც დიდი ფეხბურთელები არიან". საკუთარი თავი აღარ უხსენებია.

ამ დროს კი სცენაზე მდგომი პელე ამბობდა: „ვისურვებდი, რომ ახლა ჩემს გვერდით მარადონა იდგეს, თუმცა ვხედავ, ის დარბაზში აღარაა..."

## სხვა ნომინაციები

ცერემონიალზე ზიდანის გვერდით ედგარ დავიდსი იჯდა და როგორც გაირკვა, არცთუ შემთხვევით — მას წლის საუკეთესო ნაკრებისთვის განკუთვნილი პრიზი გადასცეს.

ძნელი სათქმელია, რით დაიმსახურა ჰოლანდიამ ეს პატივი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალიდან იტალიელებმა გამოაგდეს, ხოლო ჩემპიონი სულაც საფრანგეთი გახდა. მაგრამ ფიფას ანგარიშის თავისი მეთოდი აქვს: თითოეულ ნაკრებს თითოეული მატჩის შედეგის მიხედვით ქულებს უწერს და წლის ბოლოს აჯამებს.

წლეულს ნარინჯისფერებმა სულ 14 მატჩი გამართეს (ცხრა მოგება, ოთხი ფრე, ერთი წაგება) და სხვებზე მეტი ქულა დააგროვეს. ჰოლანდიას ყველაზე ბევრი ქულა იუგოსლავიის განადგურებამ (6:1) მოუტანა.

აღსანიშნავია, რომ ფიფა წლის ნაკრებს 1993 წლიდან ასახელებს და ჰოლანდია მესამე გუნდია, ჯილდო რომ მოიპოვა: პირველი ლაურეატი გერმანია იყო, მომდევნო წლებში კი ბრაზილია იმარჯვებდა.

ფეირ-პლეის პრიზი ბრაზილიის ოლიმპიურმა ნაკრებმა და ლუკას რადებემ მოიპოვეს. საინტერესოა, რომ ბრაზილიური ჩემპიონატის შემხედვარე იქაურთა საართლიანობასა და ჯენტლმენობაში ეჭვი შეგეპარება, მაგრამ ნაკრები ამ მხრივ გამონაკლისია. ნაკრების სახელით პრიზი კაფუმ ჩაიბარა, ხოლო „ლიდსის" და სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტანს ჯილდო პირადი დამსახურებისათვის გადაეცა.

ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში ყველაზე დიდი ნახტომი, 82-დან 30-ე ადგილამდე, ნიგერიის ნაკრებმა გააკეთა და ფიფამ ეს დააფასა. „სუპერარწივებმა" წლეულს 14 მატჩი გამართეს და მათგან რვა მოიგეს, რაც 52 ადგილით აღზევებისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

1993 წლიდან ამ ნომინაციაში დაჯილდოვებულნი არიან: კოლუმბია, ხორვატია, იამაიკა, სამხრეთ აფრიკა, იუგოსლავია, ხორვატია (მეორედ) და სლოვენია. ახლა მათ ნიგერია შეუერთდა.

საინტერნეტო ვერსიით საუკუნის ქალი ფეხბურთელი ჩინელი სუნ ვენი გახდა, ფიფს ვერსიით — ამერიკელი მიშელ ეკერსი. ვითომ ქალები ასი წელია, რაც ფეხბურთს თამაშობენ?

საუკუნის კლუბი ჩემპიონთა თასის რვაგზის მომგები „რეალი" გახდა.

**გიორგი დარჯანია**

## საუკუნის კლუბები

| | |
|---|---|
| რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | 42.35% |
| მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | 9.69% |
| ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) | 9.18% |
| ბარსელონა (ესპანეთი) | 5.61% |
| სანტოსი (სან პაულუ, ბრაზილია) | 5.10% |
| აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) | 5.10% |
| იუვენტუსი (ტურინი, იტალია) | 2.55% |
| პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) | 2.04% |
| რივერ პლეიტი (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 1.53% |
| ფლამენგო (რიო დე ჟანეირო, ბრაზილია) | 1.53% |
| მილანი (იტალია) | 1.53% |
| ლივერპული (ინგლისი) | 1.02% |
| ბოტაფოგო (სან პაულუ, ბრაზილია) | 1.02% |
| ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) | 1.02% |
| ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 1.02% |
| ბოკა ხუნიორსი (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 1.02% |
| ინტერი (მილანი, იტალია) | 1.02% |
| არსენალი (ლონდონი, ინგლისი) | 1.02% |
| დანარჩენი კლუბები | 6.63% |

### პ ე ლ ე



დაიბადა 1940 წლის 23 ოქტომბერს ტრეშ კორაკოესში, ბრაზილია. სრული სახელი: ედსონ არანტეს დო ნასიმენტუ

1950: ათი წლისამ დაიწყო თამაში ადგილობრივ კლუბ „ბაურუში"

1956: გადავიდა „სანტოსში". პირველ დივიზიონში დებიუტი 15 წლისას ჰქონდა. პირველივე სეზონში გაიტანა 32 გოლი, რითაც კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა

1957: თექვსმეტი წლისა მიიწვიეს ნაკრებში არგენტინის წინააღმდეგ. პირველივე შეხვედრაში გოლი გაიტანა

1958: 17 წლისა გახდა მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი. ნახევარფინალში შეასრულა ჰეთ-თრიქი, ხოლო ფინალში შვედეთთან ორი გოლი გაიტანა (ბრაზილიამ 5:2 მოიგო)

1962: ბრაზილია კვლავ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, თუმცა ფინალში ტრავმის გამო არ უთამაშია. იმავე წელს „სანტოსთან" ერთად საკონტინენტთაშორისო თასი მოიპოვა (დაამარცხა „ბენფიკა" 5:2, გაიტანა სამი გოლი)

1963: „სანტოსმა" მეორედ მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი („მილანთან" 4:2)

1969: „მარაკანაზე" „ვასკუ და გამა" — „სანტოსის" შეხვედრაში პენალტით გაიტანა მეათასე გოლი

1970: მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილია მესამედ დაეუფლა „ნიკეს" თასს

1971: დაასრულა სანაკრებო კარიერა. 111 შეხვედრაში — 97 გოლი

1974: ტოვებს „სანტოსს" და კარიერის დასრულებას აცხადებს

1975: დაუბრუნდა ფეხბურთს და ჩაირიცხა ნიუ იორკის „კოსმოსში"

1977: საბოლოოდ დაასრულა კარიერა. 1363 მატჩში — 1281 გოლი

1982: დამსახურებისთვის ფიფამ ოქროს მედლით დააჯილდოვა

1994: გახდა ბრაზილიის სპორტის მინისტრი

1998: ტოვებს პოსტს და იწყებს ბიზნესმენობას

2000: 11 დეკემბერს ფიფამ საუკუნის ფეხბურთელად დაასახელა

### დიეგო არმანდო მარადონა



დაიბადა 1960 წლის 30 ოქტომბერს ბუენოს აირესში, ფაბრიკის მუშის ოჯახში. რვაშვილიან ოჯახში არის მეხუთე

1976: თამაში დაიწყო „არგენტინოს ხუნიორსში". 16 წლის შესრულებამდე ათი დღით ადრე ჰქონდა დებიუტი არგენტინის პირველ დივიზიონში

1977: პირველად მიიწვიეს არგენტინის ნაკრებში

1978: ლუის სესარ მენოტიმ ის მეტად ახალგაზრდად ჩათვალა მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ

1979: მისი კაპიტნობით არგენტინის ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა

1981: გადავიდა „ბოკა ხუნიორსში" და ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა

1982: მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მიაშურა „ბარსელონას"

1984: გადავიდა „ნაპოლიში"

1986: მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში „ღვთის ხელით" გაუტანა ინგლისს. ფინალში დაამარცხა გფრ-ის ნაკრები

1987: „ნაპოლიმ" პირველად მოიგო იტალიის ჩემპიონატი

1989: „ნაპოლიმ" პირველი გამარჯვება მოიპოვა ევროთასებზე — უეფას თასის ფინალში მოუგო „შტუტგარტს". სეზონის დასრულების შემდეგ არგენტინაში წავიდა და ახალი სეზონის დაწყებისას დაბრუნება დააგვიანა, რის გამოც კლუბთან კონფლიქტი მოუვიდა

1990: „ნაპოლიმ" მეორედ მოიგო სკუდეტო. არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა

1991: ამხილეს კოკაინის ხმარებაში, რისთვისაც 15-თვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. დაბრუნდა არგენტინაში, სადაც სასამართლომ იძულებითი მკურნალობა დააკისრა

1992: უარი თქვა „ნაპოლიზე" და გადაბარგდა „სევილიაში"

1993: ბრაზილიასთან შეხვედრაში დაიბრუნა ნაკრების კაპიტნობა. დატოვა „სევილია" და გადავიდა არგენტინულ „ოლდ ბოიზში"

1994: ვარჯიშების სისტემატური გაცდენისათვის კლუბიდან გაუშვეს. პნევმატური იარაღიდან რეპორტიორებს ესროლა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ორი მატჩის შემდეგ დოპინგი აღმოუჩინეს და ფეხბურთიდან 15 თვით მოკვეთეს

1995: მწვრთნელად მუშაობა სცადა, თუმცა წარუმატებლად. თამაში განაგრძო „ბოკა ხუნიორსში"

1996: შვეიცარულ კლინიკაში გაირა მკურნალობის კურსი ნარკოტიკებისაგან თავის დასაღწევად

1997: მეხუთედ დაუბრუნდა ფეხბურთს „ბოკაში", მაგრამ პირველივე შეხვედრის შემდეგ ორგანიზმში კოკაინის კვალი აღმოუჩინეს

1998: იარაღის გამოყენებისათვის ორწლიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს

2000: ჩავიდა კუბაში და როგორც ამბობს, საბოლოოდ განიკურნა. დაინიშნეს არგენტინული „ალმაგროს" მწვრთნელად. 11 დეკემბერს ფიფამ საინტერნეტო გამოკითხვის შედეგების მიხედვით საუკუნის ფეხბურთელად დაასახელა

| ფეხბურთელი | ქვეყანა, კლუბი | I ადგილი/ (5 ქულა) | II ადგილი/ (3 ქულა) | III ადგილი/ (1 ქულა) | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| ზინედინ ზიდანი | საფრანგეთი, იუვენტუსი | 59/295 | 21/63 | 12/12 | 370 |
| ლუიშ ფიგუ | პორტუგალია, რეალი | 38/190 | 36/108 | 31/31 | 329 |
| რივალდო | ბრაზილია, ბარსელონა | 22/110 | 43/129 | 24/24 | 263 |
| გაბრიელ ბატისტუტა | არგენტინა, რომა | 7/35 | 6/18 | 4/4 | 57 |
| ანდრეი შევჩენკო | უკრაინა, მილანი | 5/25 | 6/18 | 5/5 | 48 |
| დევიდ ბექემი | ინგლისი, მანჩესტერ იუნაიტედი | 4/20 | 3/9 | 12/12 | 41 |
| ტიერი ანრი | საფრანგეთი, არსენალი | 3/15 | 3/9 | 11/11 | 35 |
| ალესანდრო ნესტა | იტალია, ლაციო | 0/0 | 6/18 | 5/5 | 23 |
| პატრიკ კლუივერტი | ჰოლანდია, ბარსელონა | 1/5 | 5/15 | 2/2 | 22 |
| ფრანჩესკო ტოტი | იტალია, რომა | 2/10 | 0/0 | 4/4 | 14 |
| რაული | ესპანეთი, რეალი | 1/5 | 1/3 | 6/6 | 14 |
| რომარიო | ბრაზილია, ვასკუ და გამა | 2/10 | 1/3 | 0/0 | 13 |
| ედგარ დავიდსი | ჰოლანდია, იუვენტუსი | 1/5 | 1/3 | 5/5 | 13 |
| რობერტო კარლოსი | ბრაზილია, რეალი | 0/0 | 2/6 | 6/6 | 12 |
| ხუან სებასტიან ვერონი | არგენტინა, ლაციო | 0/0 | 2/6 | 2/2 | 8 |
| გაისკა მენდიეტა | ესპანეთი, ვალენსია | 1/5 | 1/3 | 0/0 | 8 |
| ფაბიენ ბარტეზი | საფრანგეთი, მანჩესტერ იუნაიტედი | 0/0 | 2/6 | 1/1 | 7 |
| ფერნანდო რედონდო | არგენტინა, მილანი | 1/5 | 0/0 | 1/1 | 6 |
| მარსელ დესაი | საფრანგეთი, ჩელსი | 1/5 | 0/0 | 1/1 | 6 |
| პატრიკ მბომა | კამერუნი, პარმა | 0/0 | 1/3 | 3/3 | 6 |
| პაბლო აიმარი | არგენტინა, რივერ პლეიტი | 1/5 | 0/0 | 0/0 | 5 |
| პაულო ვანჩოპე | კოსტა რიკა, მანჩესტერ სიტი | 1/5 | 0/0 | 0/0 | 5 |
| ფრანჩესკო ტოლდო | იტალია, ფიორენტინა | 0/0 | 1/3 | 2/2 | 5 |
| ნვანკვო კანუ | ნიგერია, არსენალი | 0/0 | 1/3 | 2/2 | 5 |
| პაველ ნედვედი | ჩეხეთი, ლაციო | 0/0 | 1/3 | 2/2 | 5 |
| ალვარო რეკობა | ურუგვაი, ინტერი | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| დიდიე დეშამპი | საფრანგეთი, ვალენსია | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| ოსკარ კორდობა | კოლუმბია, ბოკა ხუნიორსი | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| ივან სამორანო | ჩილე, ინტერი | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| ალესანდრო დელ პიერო | იტალია, იუვენტუსი | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| ერნან მედფორდი | კოლუმბია, ? | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| ალი დაეი | ირანი, ჰერტა | 0/0 | 1/3 | 0/0 | 3 |
| ჟოაუ პინტუ | პორტუგალია, სპორტინგი | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| ბენტე ნორდბი | ნორვეგია, ? | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| დენის ბერხკამპი | ჰოლანდია, არსენალი | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| ფერნანდო იერო | ესპანეთი, რეალი | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| ენდი კოული | ინგლისი, მანჩესტერ იუნაიტედი | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| იაფეტ სოტო | ?, ? | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| სამი ალ ჯაბერი | საუდეთი, ვულვერჰემპტონი | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| როი კინი | ირლანდია, მანჩესტერ იუნაიტედი | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |
| რასელ ლატაპი | ?, ? | 0/0 | 0/0 | 1/1 | 1 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-17 ტური

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 004 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 23.15 | 005 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.15 | 006 | ჰანზა-ვერდერი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.15 | 007 | კიოლნი-დორტმუნდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.15 | 008 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.15 | 009 | კოტბუსი-მიუნხენ 1860 | 2,0 | 3,0 | 3,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-17 ტური

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 013 | ალემანია-ალენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 22.00 | 014 | მაინცი-ვალდჰოფი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 22.00 | 015 | ობერჰაუზენი-როიტლინგენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 22.00 | 016 | ქემნიცი-მიონხენგლადბახი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | 14 დეკემბერი | | | |
| 22.00 | 017 | ფიურტი-ჰანოვერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.15 | 018 | ზანქტ პაული-ნიურნბერგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 019 | უიმბლდონი-გრიმსბი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 020 | ნოტინგემი-ჰადერსფილდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 023 | ლილი-პსჟ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 024 | ბასტია-ნანტი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 025 | ლიონი-ტულუზი | 1,55 | 3,2 | 6,5 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 026 | ბოვუა-ნანსი | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 027 | შატორუ-ლორიანი | 2,7 | 2,6 | 2,7 |

### იტალია. სერია B

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 028 | სალერნიტანა-პისტოიეზე | 1,7 | 2,6 | 5,6 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 031 | სიტარდი-ფეიენოორდი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 23.00 | 032 | ჰერენვენი-ტილბურგი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 033 | ვიტესი-ალკმაარი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 034 | სპარტა-ბრედა | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### შოტლანდია

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 035 | რეინჯერსი-აბერდინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 036 | რეინჯერსი-აბერდინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ინგლისი. ლიგის თასის 1/4 ფინალი

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 041 | ლივერპული-ფულემი | 1,3 | 3,8 | 7,0 |

### იტალია. თასის 1/4 ფინალი. II მატჩები

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 043 | ბრეშა-ფიორენტინა | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 24.00 | 044 | ატალანტა-მილანი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | 14 დეკემბერი | | | |
| 23.45 | 045 | ინტერი-პარმა | 1,75 | 3,0 | 4,4 |

### ესპანეთი. თასის I ეტაპი

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 046 | ლევანტე-ლეიდა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.30 | 047 | ეიბარი-სარაგოსა | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 23.30 | 048 | კომპოსტელა-ხეტაფე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.30 | 049 | ფეროლი-ლეგანესი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 050 | მურსია-ელჩე | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.45 | 051 | ატლეტიკო-სალამანკა | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.45 | 052 | სპორტინგი-ლას პალმასი | 2,8 | 3,0 | 2,3 |
| 24.00 | 053 | კორდობა-ბადახოსი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 24.00 | 054 | ალბასეტე-ესპანიოლი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 24.00 | 055 | ტენერიფე-ოვიედო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 24.00 | 056 | უნივერსიდადი-დეპორტივო | 7,0 | 3,5 | 1,3 |
| 00.15 | 057 | ხაენი-ბეტისი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

### საბერძნეთი. თასი

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 058 | ეთნიკოსი-აეკ | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### კალათბურთი. სუპროლიგა

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 801 | რაანანა-ცსკა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 21.00 | 802 | ცეპტერი-ულქერი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 23.30 | 803 | ვილერმანი-სპლიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 804 | ბაიერი-ირაკლისი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | | 14 დეკემბერი | | | |
| 21.00 | 805 | პლანია-კრკა | ·3,5 | 12,0 | 1,2 |
| 21.00 | 806 | ეფესი-პარტიზანი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.00 | 807 | მაკაბი-პო ორტეზი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 808 | ოსტენდე-სკავოლინი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 809 | პანათინაიკოსი-ალბა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 810 | სიენა-ლიეტუვოს რიტასი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 811 | აეკ-პეტერბურგი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 22.30 | 812 | შარლერუა-ტაუ | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 22.30 | 813 | პაოკ-ბარსელონა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 814 | ციბონა-კინდერი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 815 | ბუდუჩნოსტი-სკაილაინერსი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| | | 14 დეკემბერი | | | |
| 23.15 | 816 | ლუგანო-პერისტერი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 23.30 | 817 | ესტუდიანტესი-ჟალგირისი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 818 | ფორტიტუდო-ზადარი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 819 | ოვარენსე-ოლიმპია | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| 23.30 | 820 | ბენეტონი-ოლიმპიაკოსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 821 | რეალი-ჰაპოელი | 1,2 | 12,0 | 2,8 |
| 24.00 | 822 | ლონდონი-მიულერი | 3,1 | 12,0 | 1,2 |

### კალათბურთი

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 831 | ბოსტონი-ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 04.00 | 832 | ინდიანა-დალასი | 1,45 | 12,0 | 2,[illegible] |
| 04.00 | 833 | ვაშინგტონი-ფილადელფია | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| 04.30 | 834 | შარლოტი-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 835 | დეტროიტი-ატლანტა | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 05.00 | 836 | ფინიქსი-სან ანტონიო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 06.00 | 837 | იუტა-მილუოკი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.00 | 838 | ვანკუვერი-სიეტლი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 839 | კლიპერსი-მაიამი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 840 | პორტლენდი-ლეიკერსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | | 14 დეკემბერი | | | |
| 05.00 | 841 | ტორონტო-ნიუ იორკი | 1,8 | 12,0 | [illegible] |
| 05.30 | 842 | სან ანტონიო-დენვერი | 1,1 | 12,0 | [illegible] |
| 07.30 | 843 | გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი | 2,0 | 12,0 | [illegible] |

### ჰოკეი

13 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 905 | მონრეალი-კალგარი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 906 | პიტსბურგი-ტორონტო | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 907 | ატლანტა-ჩიკაგო | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 | 908 | დეტროიტი-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 05.00 | 909 | მინესოტა-კაროლინა | 2,1 | 4,0 | 2,[illegible] |
| 05.00 | 910 | კოლორადო-ფილადელფია | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 05.30 | 911 | დალასი-ედმონტონი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 07.30 | 912 | ანაჰაიმი-კოლუმბუსი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| | | 14 დეკემბერი | | | |
| 04.00 | 913 | ოტავა-კალგარი | 1,35 | 4,0 | 5,[illegible] |
| 04.00 | 914 | ვაშინგტონი-მინესოტა | 1,5 | 4,0 | 3,[illegible] |
| 05.00 | 915 | ნეშვილი-ედმონტონი | 2,1 | 4,0 | 2,[illegible] |
| 06.00 | 916 | ფინიქსი-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 5,[illegible] |
| 07.00 | 917 | ლოს ანჯელესი-რეინჯერსი | 1,75 | 4,0 | 2,[illegible] |
| 07.30 | 918 | სან ხოსე-კოლუმბუსი | 1,35 | 4,0 | 5,[illegible] |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

## ოლიმპიზმი

# ტრადიციონალისტი ხურციძე ბაგრატიონს გზიდან ჩამოეცლება

**დღეს** „შერატონ პალასში" სეოკ-ის საანგარიშო-საარჩევნო სესია გაიმართება, მისი უმთავრესი მოვლენა კი, უდავოდ, პრეზიდენტის არჩევნები გახდება. ვინ იქნება ქართული სპორტის მესაჭე უახლოეს ოთხწლიან ციკლში და მომავალ ყრილობაზე ოლიმპიური ციკლის შესახებ ანგარიშით ვინ წარსდგება, ამას დღეს შევიტყობთ. ამ წუთისთვის საამისო სურვილს ახლანდელ პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონთან ერთად ბეჟან ხურციძის, არჩილ გოგელიასა და ლევან თედიაშვილის საპარლამენტო ტრიო ამჟღავნებს, რომელმაც ეს განცხადებით დაადასტურა. წილისყრაზე რა მოხდება, ჯერ ზუსტად ვერავინ იტყვის, მაგრამ ალბათ ხურციძე ბაგრატიონის სასარგებლოდ მოხსნის კანდიდატურას. ყოველ შემთხვევაში, თავად ასე ამბობს.

გუშინ თედიაშვილთან დაკავშირება არ მოხერხდა. გოგელიამ კომენტარისგან თავი შეიკავა, ბეჟან ხურციძემ კი გვითხრა:

— განცხადება თავის დროზე შევიტანე და ახლა სხვებთან ერთად ჩემი კანდიდატურაც დგას. როცა განცხადება შემქონდა, მაშინ არ ვიცოდი, ჯანო ბაგრატიონიც თუ აპირებდა არჩევნებში მონაწილეობას. თუ ის კენჭს იყრის, მაშინ მე მოვხსნი კანდიდატურას. მიმაჩნია, რომ მთელი საქართველო ვალშია ბაგრატოვანთა წინაშე.

**— ესე იგი, გადაწყვეტილების პოლიტიკური მოტივით იღებთ...**

— მე პატივს ვცემ ჯანო ბაგრატიონს და არ მინდა, ვანერვიულო, მის მდგომარეობაში ყოფნა ძნელია, თორემ როცა განცხადებას ვწერდი, ის მაშინაც ხომ იყო ბაგრატიონი?

**— თქვენ ერთადერთი ოპოზიციონერი ბრძანდებით კანდიდატთა შორის — ერთი ტრადიციონალისტი ამ მოქალაქის წინააღმდეგ. რისი იმედი გაქვთ?**

— ფედერაციების მხარდამჭერის. მე და აკაკი ასათიანმა 24 ოქტომბერს შევკრიბეთ ფედერაციების წარმომადგენლები პარლამენტში სპორტის დეპარტამენტის ბიუჯეტთან დაკავშირებით და ვიბრძოლეთ მის გასაზრდელად. მაშინ ბიუჯეტი 327 ათასი ლარით იყო კანონპროექტში გათვალისწინებული. მოგვიანებით კანცელარიაში, დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარის ირაკლი მეძმარიაშვილის წარდგენაზე, პრეზიდენტს ქართულ სპორტში შექმნილი მძიმე ვითარება დავუხატე და დაფინანსების წყაროზეც მივუთითე. საქართველოში 100 ათასი პოლიციელია, ჩვენი ზომის ევროპულ ქვეყნებში — 20 ათასი. სწორედ მათი შემცირება გამოათავისუფლებს თანხებს. იმ მწვრთნელების გაჭირვებაზეც ვილაპარაკე, სამი წელიწადია, ხელფასი რომ არ მიუღიათ, მაგრამ ჩუმად არიან. ვერ გეტყვით, ჩემი სიტყვით იყო თუ რა, მაგრამ ფაქტია — იმ თანხას კიდევ ერთი მილიონი დაუმატეს. ვფიქრობ, რაღაც წვლილი მეც შევიტანე. მქონდა იმედი, რომ არჩევნებზე ჯანო ბაგრატიონის არყოფნაში ერთ-ერთი სერიოზული კონკურენტი ვიქნებოდი.

**— სეოკ-ის პრეზიდენტობის დაუფარავი სურვილი გამოხატეთ და რის გაკეთებას ჰპირდებოდით სპორტის გულშემატკივარს?**

— ყველა ნორმალურ ქვეყანაში ოლიმპიური კომიტეტის სპონსორობა ნებისმიერი ფირმისთვის საამაყოა. საქართველოში ბევრმა ბიზნესმენმა ეს არც კი იცის. მე პოლიტიკაში ბიზნესიდან მოვედი. მყავს ბევრი მეგობარი მეწარმე როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში ისინი სიამოვნებით იკისრებდნენ სეოკ-ის სპონსორობას. აი, სწორედ ამ გზით ვაპირებდი თანხების მოზიდვას და მომავალი ოლიმპიადისთვის სერიოზულ მომზადებას.

**ირაკლი თავაძე**

## ავტორბოლა

# ბიჭის ფორმულა
## ძეობა ჰაკინენების ოჯახში



**ორშაბათს** მიკა ჰაკინენის გულშემატკივართა რაოდენობა ერთით გაიზარდა: 32 წლის ფინელს მეუღლემ ჯანმრთელი პირმშო, ბიჭი აჩუქა.

ჰაკინენი და მასზე რამდენიმე წლით უფროსი ერია (სხვადასხვა წყაროები 5, 6 და 8 წელს ასახელებენ) კარგა ხანია, ერთად არიან. 1995-ში საშინელი ავარიის შემდეგ ქალი წუთითაც არ მოსცილებია მიკას და მსოფლიოში ერთ-ერთი უსწრაფესი ადამიანის გულიც მაშინ დაიპყრო სამუდამოდ.

ამ ხნის მანძილზე ფინელის კოლექციას ფორმულა 1-ის ჩემპიონის ორი ტიტული და ცოლიანი კაცის სტატუსი შეემატა, თუმცა ჩვილის აკვნის რწევამდე საქმე მხოლოდ ახლა მივიდა.

„აღელვებული და ბედნიერი ვარ... ლამისაა, გონი დავკარგო, იმის კითხვაც კი დამავიწყდა რა სიგრძის დაიბადა ბიჭი" — განუცხადა გახარებულმა მამამ გაზეთ „ილტა-სანომატს". მეორე მნიშვნელოვანი პარამეტრი, წონა, თურმე 4 კილოგრამი ყოფილა.

ჰაკინენებს ბავშვისთვის სახელი უკვე შეურჩევიათ, მაგრამ ჟურნალისტებისთვის განდობა რატომღაც არ ისურვეს.

**დავით ხარზიანი**






დიკ პაუნდი

# ოვალური ბურთი რგოლში დაბრუნებას ლამობს

**შარშან**, გახმაურებულ თუ მომრავლებულ დოპინგსკანდალებთან საბრძოლველად საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მსოფლიოს ანტი-დოპინგურ სააგენტოს (WADA) ჩაუყარა საფუძველი.

სააგენტო, რომელიც აქამდე ძირითადად სპორტის ოლიმპიურ სახეობებში აკრძალული პრეპარატების გამოყენების გამოვლენით შემოიფარგლებოდა, ახლა არაოლიმპიურ სახეობებსაც გადაწვდა.

WADA-ს პრეზიდენტის დიკ პაუნდის განცხადებით, მათ შეიმუშავეს გეგმა, რომლის მეშვეობითაც ტესტირებებით გამოავლენენ იმ სპორტსმენებს, რომლებმაც დოპინგის ცდუნებას ვერ გაუძლეს.

— ახლანდელი გეგმა ცოტა უკეთესია. ვრწმუნდებით იმაში, რომ ასპარეზობებს მიღმა ტესტირების პროგრამა უფრო გაწონასწორებულია — იმედიანადაა პაუნდი, თან განმარტავს: „ტესტირებები მოიცავს ზაფხულისა თუ ზამთრის ყველა სპორტის სახეობას, მათ შორის ისეთებსაც, როგორიცაა რაგბი, სკვოში, გოლფი."

მართალია, რაგბიც, სკვოშიც და გოლფიც სოკ-ის მიერაა აღიარებული, მაგრამ ჯერჯერობით არცერთი არ გამხდარა ოლიმპიური პროგრამის ნაწილი, თუმცა მომავალში, შესაძლოა, სურათი შეიცვალოს და ოლიმპიადების პროგრამაში რაგბიც ვიხილოთ. ამიტომაცაა, რომ WADA კონტროლის არეალს აფართოებს და თადარიგს აქედანვე იჭერს. მიუხედავად იმისა, რომ მომავალი 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ოვალური ბურთით ასპარეზობებს ვერ ვიხილავთ. რაგბის საერთაშორისო საბჭო (IRB) და მისი ხელმძღვანელი ვერნონ პაფი, რომელიც მიესალმება WADA-ს წამოწყებას, 2008 წლის ოლიმპიადას იმედის თვალით შეჰყურებს. იგი კანდიდატ ქალაქებთან: პეკინთან, ოსაკასთან, სტამბოლთან, პარიზთან და ტორონტოსთან აქედანვე აწარმოებს მოლაპარაკებებს, რათა მასპინძლობის უფლების მომპოვებელმა ამა თუ იმ ქალაქმა თავად მოითხოვოს ოლიმპიადის პროგრამაში რაგბის ჩართვა.

საინტერესოა, რომ IRB-ს მცდელობამ უკვე ნაყოფი გამოიღო. საქმე ისაა, რომ მსოფლიო რაგბის მამებს ოლიმპიადის მასპინძლობისთვის მებრძოლმა ქვეყნებმა — კანადამ, იაპონიამ და საფრანგეთმა — აქტიური მხარდაჭერა აღუთქვეს. ეს კი ის ქვეყნებია, სადაც ოვალურ ბურთს უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. თუმცა, როგორც პაფი აცხადებს, ამასწინანდელი მოლაპარაკებები IRB-სა და ჩინეთს შორის, რომელიც რაგბიში დიდი ტრადიციებით ვერ დაიკვეხნის, ძალზე ნაყოფიერი გამოდგა.

არადა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პეკინი მომავალი წლის სოკ-ის არჩევნებში ფავორიტად ითვლება, მაშინ IRB-ს მოლაპარაკებები ჩინეთთან ძალზე დროულია.

**ბიძა ბურასაშვილი**

ავტორის ფოტო

## რაგბი

# შავი ქურციკის გედის სიმღერა

**ამხანაგური მატჩი**

კარდიფი. 10 დეკემბერი
69 876 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **ბარბაროსები** | **31 (31)** |
| **სამხრეთ აფრიკა** | **41 (17)** |

**ბარბაროსები:** კალენი (ახალი ზელანდია), ბერკი (ავსტრალია), ოდრისკოლი (ირლანდია), ჰერბერტი (ავსტრალია), ლეითემი (ავსტრალია), სპენსერი (ახალი ზელანდია), პიჩოტი (არგენტინა), დალალიო (ინგლისი, კაპ.), კრიბი (ახალი ზელანდია), უილიამსი (ავსტრალია), გიფინი (ავსტრალია), მაქსველი (ახალი ზელანდია), რეუხიარდო (არგენტინა), დროცკე (სამხრეთ აფრიკა), ჰარი (ავსტრალი)

**სათადარიგონი:** კლოჰესი (ირლანდია), ჰემეტი (ახალი ზელანდია), ოკელი (ირლანდია), უარდი (ირლანდია), კელეჰერი (ახალი ზელანდია), ჯენკინსი (უელსი), ბოლ შოუ (ინგლისი)

**4ლ — ოდრისკოლი (12), პიჩოტი (16), ლეითემი (15), კალენი (39); 4გ. და 1ს — ბერკი (10)**

**სამხრეთ აფრიკა:** დიუ ტუა, პოლსე, ფლეკი, მალდერი, უილიამსი, მონტგომერი, ფან დერ ვესტჰოიზენი, ფოსი (კაპ.), ა. ფენტერი, კრიხე, ენდრიუსი, ფან დენ ბერხი, მეიერი, სმიტი, კემპსონი

**სათადარიგონი:** მარე, ლე რუ, ე. ფენტერი, ფან სილი, ფან სტრაატენი, ესტერჰოიზენი, ტერბლანში

**6ლ — უილიამსი (2, 40), პოლსე (23, 50, 60), ლე რუ (54); 4გ — მონტგომერი (2, 50,54, 60); 1ს — ფან სტრაატენი (80).**

**მატჩში ყველა სათადარიგომ ითამაშა**

**მსაჯი: დევისი (უელსი)**

სამხრეთ აფრიკამ ევროპული ტურნე წარმატებით დაასრულა. მართალია, იგი ერთი კვირის წინ ინგლისთან დამარცხდა, მაგრამ ამ კვირას ბარბაროსებს აჯობა. თანაც 12:31-ს აგებდა და ამის შემდეგღა შეძლო მატჩის შემობრუნება.

„მილენიუმის" სტადიონი გადაჭედილი იყო. ყველას სურდა მსოფლიოს საუკეთესო მორაგბეების ხილვა. სტადიონის დირექციამ წინდახედულობა გამოიჩინა და ცუდ ამინდს თამაში რომ არ გაეფუჭებინა, „მილენიუმი" მოძრავი სახურავით გადახურა. „მაყურებელთა ასეთი რაოდენობა ბარბაროსების მნიშვნელობის მაჩვენებლია. პირველ ტაიმში ბრწყინვალედ ვითამაშეთ და ძალიან იმედგაცრუებულები ვართ, რომ ვერ გავიმარჯვეთ. იმედი მაქვს, ქომაგებმაც ისევე ისიამოვნეს ამ მატჩით, როგორც მისმა მონაწილეებმა. „ქურციკებს" მათმა თამაშის ორგანიზაციამ მოაგებინა" — განაცხადა მატჩის შემდეგ ერთი დღით გაკაპიტნებულმა ლოურენს დალალიომ.

ბარბაროსებში საუკეთესო უდავოდ ირლანდიელი სამმეოთხედელი ბრაიან ოდრისკოლი იყო, რომლის ლელომაც ბარბაროსთა ლელოთწვიმას დაუდო სათავე. „პირველი ოცი წუთი ისეთ მაღალ ტემპში წარიმართა, როგორსაც აქამდე არ მოვსწრებივარ" — თქვა „ლენსტერის" წევრმა, რომელსაც ერთის მეტი ლელო არ გაუტანია, მაგრამ თავისიანების შეტევების სულისჩამდგმელი იყო.

მოწინააღმდეგე ბანაკში ყველაზე გამორჩეული ჩესტერ უილიამსი გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ ბრეიტონ პოლსემ მასზე ერთით მეტჯერ დაალელოვა ბარბაროსები. „ქურციკების" შემადგენლობაში ბოლოჯერ მოთამაშე შავკანიანი მორაგბე მინდვრის ყველა კუთხეში იყო, ხან ერთ ფრთაზე გაინავარდებდა, ხან მეორეზე გამოჩნდებოდა, რათა თანაგუნდელებისთვის შეტევის გაგრძელების სხვადასხვა ვარიანტი შეეთავაზებინა. უილიამსს გარჯა თანაგუნდელებმა დაუფასეს.

ანგარიში სწორედ ჩესტერ უილიამსმა გახსნა მე-2 წუთზე. პერსი მონტგომერიმ გარდასახვა ზუსტად შეასრულა და „ქურციკებიც" 7:0 დაწინაურდნენ. მერე კი ოდრისკოლის ჯერიც დადგა. „სამყურამ" მე-12 წუთზე გამოიჩინა თავი, მერე კი მომდევნო ლელოს მომტან იერიშებშიც შეიტანა წვლილი. „ვოლაბმა" მეტიუ ბერკმა ოთხივე ლელო გარდასახა, მანამდე შორიდან ერთი საჯარიმოც გაიტანა და ბარბაროსები ტაიმის ბოლოს 31:12 დაწინაურდნენ, რადგან მათ ლელოებს შორის პოლსემაც ჩაჩხირა ერთი თავისი. ზედ შესვენების წინ კი ისევ ჩესტერ უილიამსმა იმარჯვა და დუბლი შეასრულა.

თამაშის განახლების შემდეგ „ქურციკებმა" მაინც მოიგეს თავიანთი ტურნეს ბოლო მატჩი.

მსაჯის მიერ წამატებულ დროში ბრაამ ფან სტრაატენმა გამარჯვების საბოლოოდ დასაბევებლად საჯარიმოც გაიტანა ახლოდან და მაყურებელთა სტვენაც დაიმსახურა. წესით, როცა ბარბაროსები თამაშობენ, საჯარიმოები ხელით უნდა გათამაშდეს, რათა რაც შეიძლება ბევრი ლელო გავიდეს. თუმცა „მილენიუმზე" მსაჯის საფინალო ჩასტვენამ ქომაგთა სტვენა აპლოდისმენტებად აქცია და ყველა მორაგბე ერთმანეთს გადაეხვია. ჩესტერ უილიამსი კი სიხარულის ცრემლებს ძლივს იკავებდა.

ასე დასრულდა შავი ქურციკის გედის სიმღერა.

**გაიოზ თალაკვაძე**




ჩესტერ უილიამსმა კრისტიან კალენის წინააღმდეგობა არაფრად ჩააგდო და ბარბაროსები დაალელოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სლოვენია

# ცქიტიშვილი ხსნის, ამატებს და უმატებს

XI ტური

**კრაშკი ზიდარი — ზაგორიე 79:92, კემოპლასტი — ოლიმპია 74:111, ჰელიოსი — პივოვარნა 70:82, ტრიგლავი — ლოკა კავა 67:64, სავინსკი — კრკა 72:79**

**სლოვანი 87:83 როგლა**

**სლოვანი: ნოვაკი (8), ლაკოვიჩი (20), ტაკელი (6), გრბეშიჩი, ჯურკოვიჩი (6), კოვაჩი (2), პავიჩი (13), მარავიჩი (13), კოკალი (2), ცქიტიშვილი (18)**
**როგლა: შპორარი (7), ზარიჩი (6), სივკა (22), დუნდოვიჩი (2), ზინრაიპი (9), პეტრანოვიჩი (8), სტაროვასნიკი (28), ტემნიკი (1)**

„თუ მენდობით, ნიკა ცქიტიშვილს ასე კარგად „სლოვანის" რიგებში არ უთამაშია. ამ შეხვედრაში იგი ულავოდ საუკეთესო იყო და რომ მოვიგეთ, უპირველესად მისი დამსახურებაა" — ასე შეაფასა ქართველი ფორვარდის თამაში მისმა თვისტომმა თანაგუნდელმა ვლადიმერ ბოისამ. შეგახსენებთ, რომ ბოისა ტრავმას იშუშებს, ამიტომაც თავის გუნდის და „როგლას" პაექრობას ტრიბუნიდან ადევნა თვალი და არც ჩვენთვის დაიზარა კომენტარი. აქვე დავსძენთ, რომ „როგლას" წინააღმდეგ არ უთამაშია „სლოვანის" კიდევ ერთ ქართველს, ცენტრ დავით უგრეხელიძეს, რომელმაც მტკივანი კოჭი ბოლომდე ვერ მოირჩინა, თუმცა ვარჯიში უკვე განაახლა.

ნიკა ცქიტიშვილმა თამაშიდან ათჯერ ესროლა და შვიდჯერ ჩააგდო, ოთხივე საჯარიმოც გამოიყენა. ქართველმა ფორვარდმა შვიდი ბურთი მოხსნა, აქედან ხუთი — მეტოქის ფარზე. ნიკამ მეოთხე მეოთხედში ათი ქულა გააკეთა და „სლოვანის" მოგებაც უზრუნველყო.

„სლოვანმა" პირველი მეოთხედი 26:12 მოიგო. მეორეში მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა რამდენიმე შეცვლა გააკეთა. ერნესტ ნოვაკის ნაცვლად გამთამაშებლობა ბოიან კოვაჩს დაევალა. მან კი ვერ გაართვა თავი ამოცანას და ლიუბლიანელთა თამაშიც მოიშალა. „როგლამ" კარგად გამოიყენა ეს და მატჩში გარდატეხა შეიტანა, იმდენად, რომ პირველი ტაიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა — 43:38.

მესამე მეოთხედში „სლოვანმა" ინიციატივა დაიბრუნა, მაგრამ საფუძვლიანად დაწინაურება ვეღარ მოახერხა. თამაში ქულა-ქულაზე მიმდინარეობდა იქამდე, სანამ ცქიტიშვილმა თავისსავე მოხსნილი ბურთი არ ჩააგდო და მერე თანაგუნდელის აცდენილს დაამატა. ლიუბლიანელები ექვსი ქულით გაიჭრნენ წინ, მაგრამ „როგლამ" იყოჩაღა და ბოლო წუთზე ანგარიშში სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა.

ცქიტიშვილმა მორიგი ბურთი მოხსნა და როგლელები იაკა ლაკოვიჩზე დაჯარიმდნენ. სლოვანელმა ორივე საჯარიმო გამოიყენა. მერე „როგლამ" ჩააგდო ერთი პერსონალური, მაგრამ მისი კალათბურთელები ისევ ლაკოვიჩს ეუხეშნენ, ამას კი ხელი არც ამჯერად აუკანკალდა. ასე გაილია შეხვედრისთვის განკუთვნილი დრო და „სლოვანმა" სეზონში მერვე გამარჯვება იზეიმა.

ამით სლოვენიის ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა. „სლოვანი" მესამე ადგილზეა და ერთი მოგებით უსწრებს ლაშკოს „პივოვარნას", თავად კი ორით ჩამორჩება ლიუბლიანის „ოლიმპიას", გათამაშებას კი დაუმარცხებლად ლიდერობს ნოვო მესტოს „კრკა", რომელმაც მეთერთმეტე ტურში სტუმრად გაჭირვებით მოუგო „სავინსკის".

მომდევნო, მეორე წრის პირველ, რიგით კი მეთორმეტე ტურში „სლოვანი" „კრკას" უმასპინძლებს. მართალია, ბოისას გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიდის, მაგრამ ამ შეხვედრაში იგი მაინც ვერ მიიღებს მონაწილეობას. უგრეხელიძე კი, წესითა და რიგით, სრულ მზადყოფნაში იქნება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კრკა | 11 | 11 | 0 | 971:799 | 22 |
| ოლიმპია | 11 | 10 | 1 | 1026:715 | 21 |
| სლოვანი | 11 | 8 | 3 | 897:833 | 19 |
| პივოვარნა | 11 | 7 | 4 | 968:873 | 18 |
| კრაშკი ზიდარი | 11 | 6 | 5 | 830:893 | 17 |
| ტრიგლავი | 11 | 4 | 7 | 814:873 | 15 |
| როგლა | 11 | 4 | 7 | 865:931 | 15 |
| სავინსკი | 11 | 4 | 7 | 870:969 | 15 |
| კემოპლასტი | 11 | 3 | 8 | 947:966 | 14 |
| ჰელიოსი | 11 | 3 | 8 | 872:946 | 14 |
| ზაგორიე | 11 | 3 | 8 | 825:950 | 14 |
| ლოკა კავა | 11 | 3 | 8 | 817:954 | 14 |



VECER

კემოპლასტი — ოლიმპია. იურიცა გოლემაცი კემოპლასტელი დამიან ნოვაკოვიჩის შეჩერებას ცდილობს

## საბერძნეთი

VII ტური

**არისი — ნიარ ისტი 78:96, ირაკლიონი — ირაკლისი 97:110, პანიონიოსი — დაფნი 93:81, პაოკ — მარუსი 81:79, ოლიმპიაკოსი — მილონი 102:84, პანათინაიკოსი — მაკედონიკოსი 90:71, პერისტერი — აეკ 70:64**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 7 | 6 | 1 | 598:517 | 13 |
| აეკ | 7 | 5 | 2 | 568:511 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 6 | 0 | 534:448 | 12 |
| პერისტერი | 6 | 6 | 0 | 468:433 | 12 |
| პანიონიოსი | 7 | 5 | 2 | 616:564 | 12 |
| პაოკ | 7 | 4 | 3 | 501:512 | 11 |
| ირაკლისი | 6 | 3 | 3 | 529:499 | 9 |
| ნიარ ისტი | 7 | 2 | 5 | 557:573 | 9 |
| მილონი | 7 | 2 | 5 | 603:680 | 9 |
| არისი | 6 | 3 | 3 | 496:524 | 9 |
| ირაკლიონი | 6 | 2 | 4 | 515:542 | 8 |
| მარუსი | 6 | 1 | 5 | 504:534 | 7 |
| დაფნი | 6 | 0 | 6 | 455:515 | 6 |
| მაკედონიკოსი | 6 | 0 | 6 | 480:572 | 6 |


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80




TELEBASKET

პანიონიოსი — დაფნი. იორგოს დიამანტოპულოსი დაფნელთა ფარქვეშ შეიჭრა

## თურქეთი

# მელუდმეს ტკბილეული ნამწარდა[...]

VIII ტური

**ანტბირლიკი — ბეშიქთაში 85:91, გალათასარაი — ტროი 84:95, ქარშიაქა — დარუშაფაკა 87:88, მაიდენოსი — ქომბასანი 100:90, ბუიუქ კოლეჯი — ალთაი 98:75, ფენერბაჰჩე — ტელეკომი 55:57**

**ულქერი 81:58 ეფესი**

**ულქერი: ლოლისი (13), ერდოგანი, ჰენდლოგტენი (19), გოლიოვიჩი (20), ერდენაი (12), გიულერი (5), აჩიკი (2), გონლუმი (2), ილდირიმი (8), სარიკა**
**ეფესი: მულაომეროვიჩი (21), ბიბო (5), ონანი (11), შჩეპანოვიჩი (6), თურქჯანი (9), არსლანი, ილმაზი, ბეშოქი (4), ოქური, დრობნიაკი (2)**

თანამედროვე თურქული კალათბურთის უმთავრესი დაპირისპირება, „ულქერი" — „ეფესი" მერვე ტურში გაიმართა. ოცი-ოცდაათი წლის წინ ეს გუნდები საერთოდ არ არსებობდნენ, მაგრამ შექმნის დღიდან ნელ-ნელა ძლიერდებოდნენ და დღეს კლასიკური თურქული დაპირისპირება „გალათასარაი"—„ფენერბაჰჩე" ლამის დავიწყებას მისცეს. თურქული საკლუბო კალათბურთის ახლანდელ ფლაგმანებს ზურგს მძლავრი ბიზნესი უმაგრებთ: „ულქერი" ქვეყნის უმთავრესი საკონდიტრო კონცერნის გუნდია, ხოლო „ეფესი" — საქვეყნოდ განთქმული ლუდის ქარხნის.

მოლოდინი არ გამართლდა. ეს არ იყო დიდი მატჩი. პირველი ტაიმი კიდევ შეიხედებოდა, შესვენების შემდეგ კი ერთი გუნდი, „ულქერი" თამაშობდა. „ეფესი" კი მოედანზე ყოფნით მხოლოდ ვალს იხდიდა. პირველი და მეორე მეოთხედები მეტოქეებმა „გაცვალეს" — ჯერ „ულქერმა" მოიგო 22:17, მერე კი ზუსტად იმავე ანგარიშით „ეფესმა" იმარჯვა. მესამე პერიოდში კი რაღაც ენით აუწერელი მოხდა: „ულქერის" ამერიკელები ბენჯამინ ჰენდლოგტენი და კვადრე ლოლისი ფარის უპირობო ბატონ-პატრონები გახდნენ. „ეფესის" მაღლები, ჰუსეინ ბეშოქი და პრედრაგ დრობნიაკი კი ბურთს მხოლოდ თვალს აყოლებდნენ. გაილაღა ულქერელთა სლოვენიელ-იუგოსლავიელმა მილან გოლიოვიჩმა, რომელმაც ლამის ყველა ნასროლი ჩააგდო. ამის წყალობით „ულქერმა" 22:9 მოიგო მესამე მეოთხედი. დაწინაურებულებმა არც დასკვნით ათწუთეულში შეანელეს ტემპი და უმთავრეს მეტოქეს ბოლომდე მოუთავეს ხელი. ეფესელთაგან მხოლოდ ხორვატი გამთამაშებელი დამირ მულაომეროვიჩი არ ეგუებოდა ბედს და მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდა. მან ოთხი სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ ეს რას უშველიდა უქმად მყოფ მის დანარჩენ თანაგუნდელებს?! ბეშოქმა და დრობნიაკმა ჯამში 6 ქულა მოინაგრეს და ექვს-ექვსი მოხსნა გააკეთეს. ეს მაშინ, როცა ჰენდლოგტენმა 11 ფარიდან ასხლეტილი ბურთი დაისაკუთრა, ლოლისმა და ჰალუკ ილდირიმმა კი რვა-რვა. არ უთამაშია „ულქერის" 16 წლის ქართველ ფორვარდ-ცენტრ ზაზა ფაჩულიას, იგი საერთოდ არ ყოფილა თავის გუნდის საამმატჩო ათკაციან განაცხადში.

ამ გამარჯვებით „ულქერი" ერთი ქულით მოსწყდა „ეფესს" და პირველ ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა არა ერთპიროვნულად: სტამბოლის „დარუშაფაკამაც" იმარჯვა და ულქერელთა მოზიარედ დარჩა. „დარუშაფაკამ" იზმირში ბოლო წამებზე მოუგო „ქარშიაქას" — მეჰმეთ კაპიაოღლუმ სამქულიანი ჩააგდო. ლიდერებს ჩამორჩა სტამბოლის „ფენერბაჰჩეც", რომელიც შინ დამარცხდა ანკარის „ტელეკომთან". ანკარელთა შორის გამოირჩეოდა ამერიკელი ეისი ერლის და სლოვენიელ ივიცა იურკოვიჩის დუეტი — ამ ორმ[...] ჯამში 30 ქულა გააკეთა. „ფენერბაჰჩეს" 18 ქულა მოუტანა ამერიკელმ[...] ტანოკა ბერდმა, სამაგიეროდ ჩაფლავდა მეორე ამერიკელი, საილას მილზ[...] რომელმაც ხუთი ქულა იკმარა.

უსიამოვნება შეემთხვა „ფენერბაჰჩეს" წარმოშობით ქართველ ფორვარდს, ამჟამად კი თურქეთის მოქალაქეს და იქაური ნაკრების წევრ ზაზა ენდენ[...] (ენდელაძე). ამ დღეებში მისმა მეგობარმა გოგომ, ფუნდა ბალქანერმა თავ[...] მოიკლა. ვიღაცამ თქვა, თვითმკვლელობის წინა დღეს შეყვარებულებმ[...] იჩხუბესო, ჰოდა, პოლიციამაც დაიბა[...]რა ენდენი და დაკითხა.

სეზონში პირველი გამარჯვება მო[...]პოვა ანკარის „ბუიუქ კოლეჯმა". პი[...]ველი დივიზიონის დებიუტანტმა არც[...] დალხენილ „ალთაის" აჯობა. „გალათასარაიმ" კი კვლავ წააგო, ამჯერად შინ იზმირის „ტროისთან". ხორვატმა ფორვარდმა ტეო ჩზმიჩმა 34 ქულა შესძ[...]ნა იზმირელებს. ტურის ყველაზე შ[...]დეგიანი კალათბურთელი კი ანკარ[...] „მაიდენოსის" სლოვენიელი გორან [...]გოდნიკი გახდა — მან 35 ქულა გა[...]თა, ხოლო მისმა გუნდმა დამატებით დროში მოუგო ქონიის „ქომბასანს".

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 8 | 7 | 1 | 661:548 | 15 |
| დარუშაფაკა | 8 | 7 | 1 | 681:602 | 15 |
| ბეშიქთაში | 8 | 6 | 2 | 694:621 | 14 |
| ფენერბაჰჩე | 8 | 6 | 2 | 646:584 | 14 |
| ეფესი | 8 | 6 | 2 | 653:613 | 14 |
| ტელეკომი | 8 | 5 | 3 | 643:581 | 13 |
| ტროი | 8 | 5 | 3 | 685:664 | 13 |
| მაიდენოსი | 8 | 3 | 5 | 644:669 | 11 |
| ქომბასანი | 8 | 3 | 5 | 619:692 | 11 |
| ალთაი | 8 | 2 | 6 | 606:688 | 10 |
| ქარშიაქა | 8 | 2 | 6 | 685:708 | 10 |
| ანტბირლიკი | 8 | 2 | 6 | 615:757 | 10 |
| გალათასარაი | 8 | 1 | 7 | 593:673 | 9 |
| ბუიუქ კოლეჯი | 8 | 1 | 7 | 635:660 | 9 |

## ესპანეთი

X ტური

**ხირონა — ხუვენტუდი 76:72, კასერესი — ხირონი 75:67, ორენსე — კახა სან ფერნანდო 92:78, ბარსელონა — რეალი 82:54, ფორუმი — კანტაბრია 69:62, ესტუდიანტესი — უნიკახა 83:87, ბრეოგანი — ფუენლაბრადა 93:84, კოსტაბლანკა — კანარიასი 74:77, პამესა — ტაუ 79:78**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 10 | 8 | 2 | 835:764 | 18 |
| ბარსელონა | 9 | 8 | 1 | 828:695 | 17 |
| უნიკახა | 10 | 7 | 3 | 904:790 | 17 |
| ტაუ | 10 | 7 | 3 | 885:782 | 17 |
| ფორუმი | 10 | 6 | 4 | 828:811 | 16 |
| რეალი | 9 | 6 | 3 | 717:676 | 15 |
| ბრეოგანი | 10 | 5 | 5 | 823:826 | 15 |
| ფუენლაბრადა | 9 | 5 | 4 | 755:703 | 14 |
| ესტუდიანტესი | 9 | 5 | 4 | 756:751 | 14 |
| ხუვენტუდი | 10 | 4 | 6 | 795:817 | 14 |
| ხირონა | 10 | 4 | 6 | 776:802 | 14 |
| სან ფერნანდო | 10 | 4 | 6 | 772:802 | 14 |
| ორენსე | 10 | 4 | 6 | 777:821 | 14 |
| კანარიასი | 10 | 4 | 6 | 753:833 | 14 |
| კასერესი | 10 | 3 | 7 | 709:775 | 13 |
| კოსტაბლანკა | 10 | 3 | 7 | 745:839 | 13 |
| კანტაბრია | 10 | 3 | 7 | 723:818 | 13 |
| ხიხონი | 10 | 2 | 8 | 764:840 | 12 |

## იტალია

IX ტური

**აველინო — მიულერი 100:93, კინდე[...]რი — ვარეზე 89:74, სიენა — ბენე[...]ტონი 94:73, ადეკო — ფორტიტუდ[...] 84:96, მონტეკატინი — ტრიესტი 112:10[...], სკავოლინი — კორდივარი 81:77, აე[...]როპორტი — კანტუ 84:69, იმოლ[...] — რიმინი 84:74, სნაიდერო — რე[...]ჯანა 73:63**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფორტიტუდო | 9 | 9 | 0 | 747:605 | 18 |
| კინდერი | 9 | 8 | 1 | 784:661 | 17 |
| კორდივარი | 9 | 6 | 3 | 735:712 | 15 |
| მონტეკატინი | 9 | 6 | 3 | 763:762 | 15 |
| სკავოლინი | 9 | 5 | 4 | 774:710 | 14 |
| აველინო | 9 | 5 | 4 | 775:751 | 14 |
| ბენეტონი | 9 | 5 | 4 | 732:709 | 14 |
| მიულერი | 9 | 5 | 4 | 857:839 | 14 |
| აეროპორტი | 9 | 5 | 4 | 747:751 | 14 |
| სიენა | 9 | 5 | 4 | 693:706 | 14 |
| სნაიდერო | 9 | 4 | 5 | 763:753 | 13 |
| რიმინი | 9 | 4 | 5 | 736:770 | 13 |
| იმოლა | 9 | 4 | 5 | 754:823 | 13 |
| რეჯანა | 9 | 3 | 6 | 732:763 | 12 |
| ტრიესტი | 9 | 3 | 6 | 730:771 | 12 |
| ვარეზე | 9 | 2 | 7 | 781:835 | 11 |
| კანტუ | 9 | 1 | 8 | 703:774 | 10 |
| ადეკო | 9 | 1 | 8 | 686:797 | 10 |

## საფრანგეთი



გრაველინი — ლე მანი. გრაველინელი გერი ალექსანდერი (№15) და დუეინ სხოლტენი

# მონპელიეს შანზ-ელიზე

### საფრანგეთი

IX ტური

**გრაველინი — ლე მანი 95:94, ლე ავრი — სტრასბური 76:90, მონპელიე — ვილერბანი 94:103, რასინგი — ბეზანსონი 84:73, შოლე — ბურგი 67:71, ევრე — ანტიბი 72:69, ნანსი — დიჟონი 68:62, შალონი — პო ორტეზი 59:66**

მეცხრე ტურის შემდეგ „ვილერბანი“ კვლავაც ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება. აქამდე ერთადერთმა მოუგებელმა „ბურგმა“ კი შოლეში გაიხარა და გათამაშების ცხრილში ბოლო საფეხური პრო A-ს დებიუტანტ „ლე ავრს“ დაუთმო, რომლისთვისაც „სტრასბურთან“ წაგება ზედიზედ მერვე იყო.

„მონპელიე“ საკმაოდ სუსტი გუნდია და აუტსაიდერთა რიგებშიც სამართლიანად იმყოფება. ზღვისპირელები განსაკუთრებით დაცვაში მოიკოჭლებენ, ამიტომაც მიიღეს ყველაზე მეტი ქულა საკუთარ კალათში. თუმცა ბოლო დროს მათ თამაშში ერთგვარი პროგრესი შეიმჩნევა. „მონპელიეს“ ბოლო ორი საშინაო მატჩი მოგებული ჰქონდა, ოღონდ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მისი მეტოქეები მასავით გაჭირვებული „ლე ავრი“ და „ბეზანსონი“ იყვნენ. ასეა თუ ისე, მასპინძლებმა ლიდერთანაც რიხით დაიწყეს შეხვედრა და არაფრის დათმობას არ აპირებდნენ. რიდ მონსონის შეგირდები მატჩის განმავლობაში წინაც ბევრჯერ იყვნენ, მაგრამ შეტევაში კარგი გარჯა მათ ისევ უხეირო დაცვამ ჩაუყარა წყალში. თამაშის მიწურულს ლონგი და ბილბა „მონპელიეს“ დაცვაში ისე დასეირნობდნენ, თითქოს პარიზის შანზ-ელიზეზე ყოფილიყვნენ და „ვილერბანმაც“ ბოლო წუთებზე გატეხა მოწინააღმდეგე.

მეტად დაძაბული გამოდგა გრაველინური მატჩი. კარგა ხანს წაუგებელმა „ლე მანმა“ ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. და ეს მიუხედავა იმისა, რომ დიმიტრი ლოუერსი სამქულიანების სროლისას შეუდარებელი იყო (8-დან 7 ჩაგდო), ფარქვეშ კი სტუმართა ხორვატი ცენტრი, ივან გრგატი ბრწყინავდა (26 ქულა). თავიდან თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ანგარიშში სხვაობა 5 ქულას არ გადაცილებია. ტაიმი მასპინძლებისა იყო — 50:47. მესამე მეოთხედიდან მოყოლებული ლემანელები გააქტიურდნენ და თანდათანობით მატჩის სადავეებიც ხელთ იგდეს. თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ისინი 7 ქულით დაწინაურდნენ (78:71) და თავი უკვე ქუდში ეგონათ. თუმცა მეტოქესაც ჰყავდა ლოურისსა და გრგატის დარი კალათბურთელები. ჟორჟემ (21 ქ) და ბუზიანემ (15 ქ) პირველივე შესაძლებლობისთანავე სამქულიანების ტყორცნა დაიწყეს და „გრაველინიც“ ნელ-ნელა წამოეპარა მეტოქეს.

საფინალო სირენამდე 21 წამი რჩებოდა, ბურთი „ლე მანს“ ჰქონდა, წინაც ის იყო — 94:93. ოღონდ სწორედ ამ მომენტში დაკარგა ბურთი და ალექსანდერის (27 ქ) ჩატენვასთან ერთად — გამარჯვებაც.

სუპერლიგაში საფრანგეთის მეორე („ვილერბანთან“ ერთად) წარმომადგენელმა „პო ორტეზმა“ „შალონს“ მესამე საშინაო მარცხი აგემა. პოელებმა თამაში თავიდან მურეშანზე ააგეს, მაგრამ რუმინელი გიგანტი აშკარად ვერაა ფორმაში. იგი მხოლოდ 6 ქულით შეეწია თავისიანებს, რომლებიც შალონელთა წინააღმდეგობის დაძლევას ვერ ახერხებდნენ. მეორე მეოთხედში მურეშანს ტრავმამ შეახსენა თავი და „პო ორტეზსაც“ ეშველა. ახლა სტუმრებმა საშუალო და შორი დისტანციებიდან შეუტიეს და მეტოქეც უფრო იოლად დაჩაგრეს. მათ ტაიმი 32:27 მოიგეს და მერეც აღარ მისცეს შალონელებს წამოწევის საშუალება.

პარიზში „რასინგმა“ ლოგიკურად აჯობა „ბეზანსონს“. საზიზღარი სროლების ბრალია, რომ „ლე ავრმა“ იოლად დათმო შეხვედრა „სტრასბურთან“, რომელიც ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად არ წყვეტს. ტურის სენსაცია კი, რა თქმა უნდა, „ბურგის“ მოგება იყო. ევრე — ანტიბისა და ნანსი — დიჟონის შეხვედრებში კი მასპინძლებმა დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვეს.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 9 | 9 | 0 | 746:618 | 18 |
| ლე მანი | 9 | 7 | 2 | 774:721 | 16 |
| რასინგი | 9 | 7 | 2 | 719:667 | 16 |
| ნანსი | 9 | 6 | 3 | 726:659 | 15 |
| პო ორტეზი | 9 | 6 | 3 | 725:698 | 15 |
| დიჟონი | 9 | 5 | 4 | 722:632 | 14 |
| ანტიბი | 9 | 5 | 4 | 720:713 | 14 |
| შალონი | 9 | 5 | 4 | 636:646 | 14 |
| სტრასბური | 9 | 4 | 5 | 722:679 | 13 |
| შოლე | 9 | 4 | 5 | 687:680 | 13 |
| გრაველინი | 9 | 4 | 5 | 735:762 | 13 |
| ევრე | 9 | 3 | 6 | 730:783 | 12 |
| ბეზანსონი | 9 | 2 | 7 | 683:762 | 11 |
| მონპელიე | 9 | 2 | 7 | 731:814 | 11 |
| ბურგი | 9 | 1 | 8 | 681:776 | 10 |
| ლე ავრი | 9 | 1 | 8 | 613:740 | 10 |

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კოშკები ტყუილად გამოიკეტა

# ქინქები ფანჯრიდან გადმოქვრნენ

11 დეკემბერი

**ფილადელფია 96:96 მინესოტა**

(ძირითადი დრო 84:84)

**ფილადელფია: აივერსონი (26), რეთლიფი (14 ქულა, 12 მოხსნა)**

**მინესოტა: გარნეტი (23 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), ბრენდონი (16)**

**იუტა 83:91 სან ანტონიო**

**იუტა: მელოუნი (19 ქულა, 13 მოხსნა), სტოქტონი (16)**

**სან ანტონიო: ანდერსონი (18)**

**ვანკუვერი 75:82 ჰიუსტონი**

**ვანკუვერი: აბდულ-რაჰიმი (26), ბიბი (16)**

**ჰიუსტონი: მობლი (16)**

**ჩიკაგო 80:86 ფინიქსი**

**ჩიკაგო: მერსერი (26), ბრენდი (23 ქულა, 11 მოხსნა)**

**ფინიქსი: რობინსონი (24), კიდი (12 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა)**

**კლიპერსი 92:80 ორლანდო**

**კლიპერსი: ოდომი (17 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), მაკინისი (16)**

**ორლანდო: ჰილი (19)**

11 დეკემბერი ერთობ მწირქულიანი აღმოჩნდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციისთვის. ამასთან, მასპინძელთათვის უპირატესად ნავსიანი. შინაურმა კედლებმა და ხელსაყრელმა ატმოსფერომ ისეთ გუნდებსაც ვერ უშველა, როგორებიც „იუტა ჯაზი“ და „ფილადელფია სიქსერზი“ არიან. მათგან პირველი წმინდა შინაურ გუნდად ითვლება, მეორე კი სულაც ერთადერთი იყო, რომელიც მიმდინარე სეზონში მის სანახავად მისულ ქომაგებს საერთოდ არ აწბილებდა.

თუმცა ყველაფერი მთავრდება და ერთ დროს სულაც უძლეველი, 11 დეკემბრამდე კი შინ წაუგებელი „ფილადელფიაც“ დაიჩაგრა. მისი მძლეველი „მინესოტა“ გახლავთ, რომელსაც ამ ბოლო ორ თვეში ბევრი რამ გადახდა თავს, მაგრამ თავისი ადგილიდან, მძლავრი დასავლეთ კონფერენციის ცხრილის სადღაც შუაწელიდან ფეხი მაინც არ მოიცვალა. ეს შეხვედრა ორშაბათს გამართულ სხვა ოთხზე თვალსასეირო არა და ყველაზე დაძაბული კი გამოდგა. ძირითადმა 48 წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, „მინესოტამ“ მხოლოდ დამატებით დროში დასცა ღონიერი მეტოქე.

„ფილადელფიამ“ უკეთ დაიწყო. „სიქსერზის“ გამთამაშებელ ერიკ სნოუს ფეხი სტკივა და ხუთეულში „გიჟ მაქსად“ წოდებული ვერნონ მაქსველი ცვლის. იგი ურიგო მოთამაშე არაა, თუმც ბურთის გათამაშება ხეირიანად არ ეხერხება, ამიტომაც ეს საქმე გუნდის ლიდერს, ამპლუით მსროლელ ალენ აივერსონს დააწვა კისერზე. ალენმაც თავი არ შეირცხვინა, თავისიანებს წაუძღვა და მისი ქულა-პასების წალობით მასპინძლებმა საწყისი მეოთხედი საპატიო სხვაობით, 32:22 მოიგეს. შეხვედრის თითქმის მთელი დარჩენილი დრო „მინესოტამ“ ამ სხვაობის აღმოფხვრას მოანდომა. პირველ მეოთხედში მასპინძელი თეო რეთლიფისგან გაწამებულმა „ვულვზის“ ლიდერმა კევინ გარნეტმა მეორე მეოთხედში თავის დამჯრენა მოახერხა და „მგლებს“ ყინჩად ჩაუძღვა წინ. „ფილადელფია“ მთელი შეხვედრის განმავლობაში ცდილობდა, სოლიდური უპირატესობით მოსწყვეტოდა მეტოქეს, მაგრამ არ გამოსდიოდა. „მგლები“ მათ კვალში უდგნენ და დროდადრო კბილსაც გაჰკრავდნენ ხოლმე. სტუმრებმა გადამწყვეტი იერიში მესამე მეოთხედის მიწურულს განახორციელეს, პილერმა ჩატენა და „მინესოტა“ პირველად გაიყვანა წინ — 67:66, რის შემდეგაც თამაში თითქმის ქულა-ქულაში გაგრძელდა. დასკვნითი მეოთხედის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე იმავე პილერმა (13 ქულა) სამქულიანით 84:84 გაათანაბრა. დარჩენილ დროში გუნდებმა თითო შეტევა გაცვალეს, თუმც ამაოდ დაშვრნენ. აივერსონმა პილერსვე თითქმის გადაუხადა სამაგიერო, სირენამდე ხუთი წამით ადრე ბურთი წაართვა და წინ გაჭრილ მაქსველს უპასა, ამას სროლის მოსამზადებლად დრო თითქმის აღარ რჩებოდა და უხერხულად ისროლა, ცხადია, ააცილა და გუნდები დამატებით დროში საჯახიროდ გაწირა. აქ კი სტუმრები უფრო მარჯვედ გაისარჯნენ. დამატებითი ხუთწუთეულის შუაწელში სტუმარმა ვალი შერბიაკმა სამქულიანით 89:86 დააწინაურა თავისი გუნდი. ეს გადამწყვეტი სროლა აღმოჩნდა.

„ასეთ თამაშებს, მით უმეტეს, შინ, ჩვეულებრივ ვიგებთ. დღეს უბრალოდ არ გაგვიმართლა“ — თქვა ნამატჩევს ალენ აივერსონმა. „ფილადელფია“ ბოლო სამ შეხვედრაში პირველად დამარცხდა, მისმა მეტოქემ კი წაუგებელ მატჩთა სერია ოთხამდე გაზარდა.

მოხუცთა „იუტა ჯაზი“ მოსისხლე „სან ანტონიოს“ მასპინძლობდა და თუ საფრთხეს ელოდა, ძირითადად „სფურზის“ ორი გიგანტის — 213-სანტიმეტრიანი ტიმ დანკანისა და მასზე ერთი დუიმით (2,5 სანტიმეტრი) მაღალი დევიდ რობინსონისგან. მასპინძლებმა თავიდანვე დაიჭირეს თადარიგი და თავიანთი ტაქტიკა ამ ორი მძლავრი მეფარის გაუვნებლობაზე ააგეს. გაართვეს კიდეც თავი იუტელებმა ამ საქმეს. წყვილ კოშკს მელოუნმა და მისმა თანამეფარეებმა — ოსტერტაგმა, პოლინაისმა და სხვებმაც მალევე აჰკიდეს ხუთ-ხუთი პერსონალური დანკანსა და რობინსონს. თანაბარ თამაშში წინ გაჭრის იმედიც გაულვივდათ, თუმც აღმოჩნდა, რომ „ჯაზს“ საფრთხე სულ სხვებისგან ელოდა. მეხუთე პერსონალურის მიღების შემდეგ თამაშიდან გავარდნის პერსპექტივით დამფრთხალმა რობინსონმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. ტიმ დანკანმა კი სწორედ იმ მუხლის ტრავმა გაიმიზეზა, რომელმაც წინა სეზონის პლეიოფი და სიდნეის ოლიმპიადა გამოატოვებინა და სულაც ველარ შეძლო თამაში. მათ ნაცვლად კი მოდუნებულ „იუტას“ ჯეელებმა მალიქ როუზმა (11 ქულა, 11 მოხსნა) და ანტონიო ლანიელსმა (13 ქულა), მოუღეს ბოლო. როუზი ბებერ მელოუნს ფარქვეშ შეება და აჯობა, დანიელსმა კი პერიმეტრი დაიპყრო და აქედან მოაოხრა მასპინძელთა კალათი. მესამე მეოთხედის ბოლო ორ წუთში ამ უკანასკნელმა ზედიზედ 5 ქულა მიითვალა და თავიაითნები 65:61 დააწინაურა. ბოლო მეოთხედიც ამ დუეტისა იყო, ბევრი არ ჩაუგდიათ, მაგრამ დაცვაში იმარჯვეს. დანიელსმა პასების მეფე ჯონ სტოქტონი დაკეტა, რითაც მელოუნს პასების წყარო ავტომატურად შეუწყდა, ამიტომაც „ფოსტალიონმა“ დასკვნით თორმეტწუთეული ქულაც ვერ მოიპოვა და შეხვედრა სულ 19 ქულით დაასრულა. დანიელსმა კი რიხიანად დაამთავრა — 13 წამით ადრე ორი საჯარიმოთი ანგარიში 91:83 გახადა, რამდენიმე წამში კი მეურვე სტოქტონსაც ლაზათიანად დაუფარა. „იუტა“ ჯერაც მაგარი გუნდია და ჩვენც რომ მაგრები ვართ, ეს დღეს გამოჩნდაო, დაახლოებით ასეთი რამ თქვა დანიელსმა ნამატჩევს.

ცუდი ამინდია ჩიკაგოში, ქალაქი თოვლში ჩამარხულა. ამიტომ და „ჩიკაგო ბულზის“ უსუსურობის გამოც ჩიკაგოელმა კალათბურთის ფანებმა, რომლებიც სამი წლის წინ „ბულზის“ თამაშს არ აცდენდნენ, თბილ სახლებში ჯდომა არჩიეს და ტელევიზორებში უყურეს თავიანთი გუნდის ჯახირს. თითქმის ცარიელ „იუნაიტედ სენთერში“ სანახავიც არაფერი იყო — „ფინიქსმა“ ექვსი ქულით, თუმც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იმარჯვა. შეხვედრამ მესამე მეოთხედში დაკარგა აზრი, რომლის ერთი მონაკვეთი სტუმრებმა 19:0 მოიგეს და 20 ქულით დაწინაურდნენ.

დიდთოვლობა კანადურ ვანკუვერსაც დაატყდა თავს, თუმც ჩიკაგოელთაგან განსხვავებით, კანადელებმა თამაშზე მისვლა არ დაიზარეს, დარბაზი მთლიანად შეავსეს და მთელი მატჩის განმავლობაში უსტვინეს და აგინეს „ჰიუსტონის“ ლიდერ სტივ ფრენსისს. შარშან დრაფტში „ვანკუვერმა“ სწორედ ეს ყმაწვილი აირჩია, თუმც ფრენსისმა „ნბა-ს ციმბირად“ წოდებულ ვანკუვერში თავი გადასახლებულად ჩათვალა, გაჯიქდა და იმდენი მოახერხა, რომ „ჰიუსტონში“ გაცვალეს. ვანკუვერის პატიოსანი მოსახლეობაც ამან გააგულისა. ფრენსისზე ამანაც ვერ იმოქმედა. მან 15 ქულა და 6 პასი გაახერხა და თავის გუნდს მოაგებინა.

11 დეკემბერს მასპინძელთაგან მხოლოდ უხეირო „კლიპერსმა“ იმარჯვა, მიუხედავად იმისა, რომ მოღონიერებულ „ორლანდოს“ მასპინძლობდა. ამასთან, „ორლანდოს“ ვერც გრანტ ჰილმა უშველა, რომელიც 17 თამაშის გამოტოვების შემდეგ დაბრუნდა და 19 ქულასაც მოუყარა თავი.

ჰილი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშეა, თუმც მისი რეპუტაცია ლოსანჯელესელებმა არად ჩააგდეს, თავის ნებაზე მოუშვეს, ახალგამოჯანმრთელებულია და ფორმაში ვერ იქნებაო. სამაგიეროდ, მასპინძლებმა გასაქანი არ მისცეს მეორე ორლანდოელს, ტრეისი მაკგრეიდის, რომელიც ბოლო ხუთ თამაშში საშუალოდ 33 ქულას აკეთებს. მაკგრეიდიმ მატჩი 14 ქულით დაასრულა. „ორლანდომ“ კი ოთხმატჩიანი მოგებების სერია უსახელო გუნდთან მარცხით შეწყვიტა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**



იუტელებს კარლ მელოუნსა და ოლდენ პოლინაისს სანანტონიოელი დევიდ რობინსონის ამოკეტვამ არა არგო

ჭადრაკი

ნანა ალექსანდრია

დელიდან



# ჩინური ფინალი და ხალიფმანის საჩუქარი

**114 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატი პირველად მოხვდა ჭადრაკის სამშობლოში (1886 წელს ჩატარებული სტეინიც — ცუკერტორტის მატჩი ითვლება პირველ ოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატად). ჭადრაკი პირველად სუბანდჰუს „ვასავადატაში“ მოიხსენიება, რომელიც VI საუკუნის ბოლოს, VII საუკუნის დასაწყისის სანსკრიტულ ლირიკას წარმოადგენს. 14 საუკუნის შემდეგ ჭადრაკი სამშობლოში დაბრუნდა და დელიში არნახული საჭადრაკო ციებცხელება გამოიწვია.

V რაუნდი, მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი კულმინაციური მომენტი — ჩემპიონი ჩემპიონატის №1 რეიტინგის წინააღმდეგ. ანანდ — ხალიფმანის შეხვედრები წარსულში ინდოელის დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა: ვიშის ხალიფმანთან არც ერთხელ არ წაუგია, ბოლო სამი პარტია კი თეთრებით წლეულს ანანდის გამარჯვებით დამთავრდა. მსოფლიოს ჩემპიონმა V რაუნდის პირველ შეხვედრაზე 5 წუთით დააგვიანა. ეტყობა, საგანგებოდ, რათა მრავალრიცხოვანი ფოტო და ტელეკორესპონდენტის 5-წუთიანი შემოტევისთვის თავი აერიდებინა და ემოციური წონასწორობა შეენარჩუნებინა: ხალიფმანმა, რომელიც სადებიუტო თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე კარგად მომზადებულ მოჭადრაკედ ითვლება, შავებით მარშალის შეტევა აირჩია, პაიკის შეწირვით. სამატჩო ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ხალიფმანის არჩევანი გამართლებული იყო. ანანდი ნამდვილად უკეთ გრძნობს თავს, როცა ინიციატივას ფლობს. მსგავსი სამატჩო სტრატეგია ყველაზე წარმატებულად 1965 წელს სპასკიმ გამოიყენა პრეტენდენტთა მატჩში ტალთან. მსოფლიოს VIII ჩემპიონმა, რიგელმა „ჯადოქარმა“ კომბინაციური თამაშით თავგზა აუბნია მეტოქეს და საქმე სასურველ ფინალამდე მიჰყავდა, მაგრამ დაცვაში შხამი გამოეცალა და სპასკიმ მარშალის შეტევის წყალობით პეტროსიანისკენ მიმავალ საჩემპიონო გზაზე უვნებლად გადალახა ტალის ბარიერი... ანანდთან მარშალის შეტევა ხალიფმანმა ადრეც გამოიყენა, მაგრამ დამარცხდა. ამჟამად მეტოქეებმა ანანდ — ადამსის პარტია გაიმეორეს, სადაც ინდოელმა ქართველი სეკუნდანტის, ელიზბარ უბილავას სიახლე დაიხმარა და გაიმარჯვა. 25-ე სვლაზე ანანდმა გაკვალულ გზას გადაუხვია. ხალიფმანმა უძლიერესი რეაქცია მოძებნა და ელიზბარს გაუხარდა, როცა ვიშიმ 31-ე სვლაზე ყაიმი დააფიქსირა. მეტოქეების მეორე შეხვედრა უინტერესო გამოდგა. შავებით ანანდმა ადვილად გაათანაბრა თამაში და მატჩის ბედი ტაი-ბრეიკში გადაწყდა, რომელიც გამორჩეულად დაიწყო: მსაჯის ნაცვლად ხალიფმან — ანანდის 25-წუთიან პარტიაში საათი მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა ჩართო. ამ დღეს ინდოეთის საუკუნის №1 სპორტსმენს, ვიში ანანდს 31 წელი შეუსრულდა. ყველაზე კარგი საჩუქარი მას მსოფლიოს აწ უკვე ექსჩემპიონმა ხალიფმანმა მიუძღვნა — მეორე 25-წუთიან პარტიაში მოგება ხელიდან გაუშვა და მატჩის ბედიც შეტრიალდა. ანანდმა პირველივე 15-წუთიან პარტიაში დასაჯა მეტოქე და შემდეგ პარტიაში ყაიმით ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. ამ მატჩმა პირველი ნოკაუტ მსოფლიო ჩემპიონატი გაგვახსენა, რომელიც 1997 წელს ჩატარდა რონინგენში. მაშინაც ხალიფმანს შავებით მოსაგები პოზიცია ჰქონდა, ნერვებმა უმტყუნა და ანანდს ყაიმი შესთავაზა. 15-წუთიანი მატჩი მაშინაც ინდოელმა მოჭადრაკემ მოიგო. მას გაუმართლა. მაგრამ ხომ ამბობდა ლეგენდარული ჩემპიონი ხოსე რაულ კაპაბლანკა: „ძლიერს ყოველთვის უმართლებს“!



ვიში ანანდმა ალექსანდრ ხალიფმანიც დაამარცხა

ტაი-ბრეიკის დღეს განსაკუთრებულ ინტერესს კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონის მატჩი იწვევდა: სიუ ჟუნი — კოვალევსკაია. კიდევ ერთი კონტინენტთაშორისო ორთაბრძოლა, აზია — ევროპა. მსოფლიოს თასის ფინალში აზიამ 2:0 გაიმარჯვა (მსოფლიოს თასი ვაჟებში ინდოელმა ანანდმა და ქალებში ჩინელმა იუი ხუამ მოიპოვეს). ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალებში ევროპა კვლავ 0:2 დამარცხდა. ჩინ კენინკმა ძირითად მატჩში მოუგო ალისა მარიჩს, ხოლო სიუ ჟუნმა კოვალევსკაიას ტაი-ბრეიკის დროს სძლია. იმ დღეს სიუ ჟუნსაც გაუმართლა: პირველ 25-წუთიან პარტიაში როსტოველი დიდოსტატი მეტოქის ანკესზე წამოეგო და უფიგუროდ დარჩა, ხოლო მეორე პარტიაში სტრატეგიულად მოგებულ პოზიციაში 2-სვლიანი ტაქტიკა გამორჩა და მსოფიოს ჩემპიონი სიუ ჟუნი ფინალში გავიდა. ახდა ჩინელების ოცნება. ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატში ჩინური ფინალი გათამაშდება: სიუ ჟუნი — ჩინ კენინკი. 26 წლის ჩინმა დელიში მიმდინარე ტურნირი ორ ქართველ დიდოსტატს — არახამიას და კახიანს დაატოვებინა. ჩინი გამოცდილი მოჭადრაკეა. 1990, 1992 და 1994 წლების საჭადრაკო ოლიმპიადებზე იგი ჩინეთის ნაკრების ღირსებას იცავდა, ჩინეთის 3-გზის ჩემპიონია ქალებში, ხოლო 1988 წელს დამყარებული მისი რეკორდი დღემდე ვერავინ დაამხო — ჩინი 14 წლისა გახდა ჩინეთის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი. 1992 წელს მის მშობლიურ ქალაქ შანხაიში გამართულ პრეტენდენტთა ტურნირში ჩინმა ბოლო 2 პარტია წააგო და ფინალურ მატჩში ჟუჟა პოლგართან შეხვედრის შანსი ხელიდან გაუშვა. ჩინიც საჭადრაკო ოჯახიდანაა. მისი მეუღლე დიდოსტატი პენგია, რომელიც ჩემპიონატის III რაუნდის ტაი-ბრეიკში დაამარცხა სვიდლერმა.

V რაუნდის ტაი-ბრეიკმა ვაჟთა კიდევ ორი ნახევარფინალისტი დაასახელა: ალექსანდრ შიროვი და ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაცია, 17 წლის ალექსანდრ გრიშჩუკი. ყველაზე ადრე, ძირითად დროში ტოპალოვი... დამარცხებით ნახევარფინალში მო... ილ ადამსი გავიდა. კენჭისყრის შედ... გად ნახევარფინალები ასე გამოიყუ... რება: ადამსი — ანანდი, შიროვი — გრიშჩუკი. ქალთა ფინალურ და ვაჟთ... ნახევარფინალურ მატჩებში 4-4 პარ... ტია გათამაშდება, საყაიმო შედეგის შ... მთხვევაში კი ტაი-ბრეიკი: 2 25-წუ... თიანი პარტია, 2 15-წუთიანი და ... ბლიც-პარტია.

ინდოეთი არ არის ძლიერი სპორ... ტული ქვეყანა. სიდნეის ოლიმპიურ თა... მაშებზე ინდოელებმა მხოლოდ ერთ... ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს ქალთ... მალოსნობაში. ჭადრაკი დღეს ერთ... დერთი სახეობაა, სადაც ქვეყანას ს... რიოზული წარმატებები აქვს. წლეულ... ორ ახალგაზრდა ინდოელს მიეკუთვ... დიდოსტატის წოდება, ახლახან კი კ... ნერუ ჰუმპი (სხვადასხვა ასაკში მსო... ფლიოს 3-გზის ჩემპიონი ბავშვებშ... 13 წლის ასაკში გახდა ბრიტანეთი... ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი ქალ... ბში! მსოფლიოს ჩემპიონატმა დელიშ... ნამდვილი საჭადრაკო ბუმი გამოიწ... ვია: სატურნირო მოვლენების ამსახვ... ლი ჟურნალ-გაზეთები, ერთსაათია... ტელერეპორტაჟები და ინტერნეტი — ჭადრაკის მომავალი. ინტერნეტის ს... ჭადრაკო საიტზე ყოველდღიურად ს... შუალოდ 150 000 ჩართვა ფიქსირდე... საინტერესოა, რომ ინდოეთის სახე... მწიფოს ტელევიზია VI რაუნდის ბ... ლო დღის პირდაპირ ტრანსლაციას ა... რებს. როგორც მახსოვს, მსგავსი რ... მხოლოდ ერთხელ მოხდა — 1978 წე... ბაგიოში კარპოვ — კორჩნოის მსო... ლიოს პირველობის მატჩის დროს. უნ... ითქვას, რომ ანანდი ჭადრაკმა სწ... რედ ფილიპინებში გაიტაცა, სადაც მ... მამისი, სამხრეთ ინდოეთის რკინიგზ... დეპარტამენტის უფროსი 2-წლიანი კ... ნტრაქტით იყო მივლინებული. მან... ლაში, სატელევიზიო პროგრამის ბ... ლოს მაყურებლებს ამოცანების ამ... ხსნითართობდნენ, პრიზად კი საჭა... რაკო წიგნებს არიგებდნენ. 8 წლ... ვიში ყველა ამოცანას ხსნიდა. ერთ... ლაც ტელევიზიაში მიიწვიეს, მაინც ყ... ლა წიგნს იგებ და სჯობია, ერთიან... აარჩიეო. მსოფლიოს ჩემპიონატ... ანანდს ბევრად უფრო ძნელი ამოცა... ბი აქვს ამოსახსნელი.

ველორბოლა


მარკო პანტანი

# მეკობრე ციხეში გაისტუმრეს

**იტალიელ** მრბოლ მარკო პანტანის (მერკატონე უნო) ორშაბათს ქალაქ ფორლის (ჩრდილოეთ იტალია), სასამართლომ სამთვიანი პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. ეს ამბავი პრესას პირველმა სპორტსმენის ადვოკატმა გაეტანო ინსოლერამ ამცნო. „მეკობრეს“ სპორტულ თაღლითობაში ედებოდა ბრალი.

განაჩენი ნაშუადღევს მოსამართლე ლუიზა დელ ბიანკომ გამოიტანა პანტანის პროცესის მეხუთე სხდომაზე. არადა, პროკურორმა მრბოლის გამართლება მოითხოვა, თუმცა ქალბატონმა დელ ბიანკომ სხვაგვარად განსაჯა და თავისი გადაწყვეტილების მიზეზებს ორ კვირაში დაწვრილებით დაასაბუთებს.

„ჩვენ განაჩენს აუცილებლად გავასაჩივრებთ, რადგან იგი ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული“ — განაცხადა სააგენტო „ფრანს პრესთან“ საუბარში გაეტანო ინსოლერამ. თავად „მეკობრე“ კი ისევ როგორც წინა ოთხს, ასევე არც ბოლო სასამართლო სხდომას დასწრებია. ორშაბათს მოსამართლე დელ ბიანკომ ტურინის საავადმყოფოს ორ ექიმს, პალუმბოსა და ჯიუჯიაროს მოუსმინა, რომლებმაც ჩვენება „მერკატონე უნოს“ ლიდერის სასარგებლოდ მისცეს.

1998 წელს „ჯიროსა“ და „ტურის“ მომგებმა ველომრბოლმა 1995 წლის 18 ოქტომბერს მილან-ტურინის რბოლისას ტრავმა მიიღო და ექიმთა ხელში აღმოჩნდა. გამოკვლევისას მას ორგანიზმში ჰემატოკრიტების ძალიან მაღალი დონე აღმოაჩნდა (60,1 პროცენტი), რაც ეპო-ს მიღების შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო.

საზოგადოდ დოპინგის მიღებისთვის სპორტსმენებს ციხით კი არ სჯიან, არამედ დისკვალიფიკაციით, მაგრამ პანტანის საქმე სხვაგვარადაა. მისი მდგომარეობა 28 ნოემბერს პროფესორ მასიმო კარტეზენიას, რომელმაც ტურინში გაუკეთა „მეკობრეს“ ოპერაცია, მიერ მიცემულმა ჩვენებამ დაამძიმა. კარტეზენიას თქმით, პანტანიმ ჰემატ... რიტების მაღალი დონე კოლუმბ... მთებში მზადებას დააბრალა, თუ... ორიოდ დღეში ეს დონე ლამის დამ... ბულ ნორმამდე (50 პროცენტი) და... შვა, რაც თეორიულადაც კი წარმო... დგენელია, თუ, რა თქმა უნდა, ადამ... ანს ეპო არ აქვს მიღებულიო.

აქედან გამომდინარე, ლუიზა დე... ბიანკომ პანტანი უბრალო თაღლით... და სისხლის სამართლის დამნაშავ... ჩათვალა. მითუმეტეს, რომ „მეკობრ... მას შემდეგაც იყო შემჩნეული ჰე... ტოკრიტების მაღალი დონით. შარშ... კი საერთოდ „ჯიროს“ დამთავრ... მდე ერთი ეტაპით ადრე მოკვეთეს ტ... რნირიდან, რომელიც, ფაქტობრივ... მოგებული ჰქონდა. მიზეზი იგივე ი...

**გაგი გურუ...**

აფროსნობა

# ბრისტოლის ტოლი ჯერ არ ჩანს

**7 დეკემბერს** „ტაიმს კლიპერის“ მოწინავე იახტები გეოგრაფიულად ღირსეულ ადგილას მოხვდნენ. მარცხნივ სამხრეთი ამერიკა ჩანდა, მარჯვნივ — ჩრდილოეთი. იახტები კონტინენტების გასაყარზე საუკუნის დასაწყისში გაჭრილი წყლის ვიწრო ზოლში მიცურავდნენ. პანამის არხი ზოგან ისეთი ვიწროა, ორი გემი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევს, ამიტომ „ბრისტოლმა“ არხში პირველად შეჭრით საქმე სანახევროდ მოითავა, თუმცა კუდში მისდევდა „ლივერპული“ და გაფაციცებით ცდილობდა, პირველ ორ ეტაპზე ბოლოდან პირველი ადგილი თავიდან პირველით ჩაენაცვლებინა და შელანძღული ღირსება აღედგინა. მერსისაიდელებმა ჯავრის 100 პროცენტით ამოყრა ვერ მოახერხეს, „ბრისტოლი“ პირველი გავიდა არხის ბოლოში, სადაც მშვენიერი ქალაქი, პანამა მდებარეობს. „ლივერპული“ ნახევარ საათში გამოჩნდა, მერე კი ლამის მთელმა დღე-ღამემ გაიარა, სანამ მომდევნო „ლონდონი“ გადალახავდა ფინიშს. ამას მოჰყვა რია-რია. მეოთხე ადგილისთვის ისეთი ცხარე ქიშპი ატყდა, თითქოს მთელი რეგატის ბედი წყდებოდა: ხუთმა იახტამ რბოლა საათნახევრის (!) ინტერვალით დაასრულა. სულ ბოლო „ლიდსი“ იყო, როგორც პარასკევის „სარბიელში“ ვიწინასწარმეტყველეთ, მაგრამ პროგნოზმა კინაღამ არ გაგვიმართლა. იორკშირელებმა აუტსაიდერობა ლამის სკოტებს გადააბარეს.

**დავით გულუა**

**რეგატა «ტაიმს კლიპერ 2000»**

III ეტაპი

ჰავანა — პანამა

საბოლოო შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1. | „ბრისტოლი“ | 8 ქულა |
| 2. | „ლივერპული“ | 7 |
| 3. | „ლონდონი“ | 6 |
| 4. | „პორტსმუთი“ | 5 |
| 5. | „პლიმუთი“ | 4 |
| 6. | „ჯერსი“ | 3 |
| 7. | „გლაზგო“ | 2 |
| 8 | „ლიდსი“ | 1 |

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | „ბრისტოლი“ | 21 ქულა |
| 2. | „პლიმუთი“ | 19 |
| 3. | „პორტსმუთი“ | 18 |
| 4. | „ლონდონი“ | 17 |
| 5. | „ლივერპული“ | 9 |
| 6. | „ჯერსი“ | 9 |
| 7. | „ლიდსი“ | 8 |
| 8 | „გლაზგო“ | 7 |



პანამაში პირველი „ბრისტოლი“ შეცურდა

ბალახის ჰოკეი

# ჩვენ ჩვენთვის და თქვენ თქვენთვისო...

**ოთხი** თვის წინ იყო, ორ ბანაკად გაიყო ქართული ბალახის ჰოკეი. 8 აგვისტოს ქუთაისის სახალხო სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა ახალი ორგანიზაცია — საქართველოს ბალახის ჰოკეის ეროვნული ასოციაცია, რომლის მიზანი, მისსავე დამფუძნებელთა თქმით ჰოკეის რესპუბლიკური ფედერაციისგან დამოუკიდებლად არსებობა გახლდათ.

— დაპირისპირებას არ ვაპირებთ, ჩვენ ჩვენთვის და ფედერაცია თავისთვის. ორი წელიწადია ქვეყანაში შეჯიბრება არ ჩატარებულა. ჩვენი ამოცანაა გამოვაცოცხლოთ და ავაღორძინოთ ქართული ბალახის ჰოკეი. ამის უნარიც შეგვწევს და მხარდამჭერნიც მრავლად გვყავს. ასოციაციის სპონსორობის სურვილი გამოთქვეს საქართველო — ამერიკის ერთობლივმა ფირმა „ლბგ“-მ, იმერეთის სპორტის და სპორტის მუშაკთა პროფკომიტეტმა, იმერეთის მხარის საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ, ცნობილმა ფირმა „აია“-მ — განაცხადა ასოციაციის პრეზიდენტმა, ჰოკეის ვეტერანმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა როლანდ ამაღლობელმა. მისი თქმით, ასოციაციაში უკვე გაერთიანდნენ ქუთაისის „ლოკომოტივი — ასკ“-ის სპორტსკოლის, „იმედის“, ბათუმის „ლოკომოტივის“, აჭარის და ქუთაისის განათლების განყოფილებათა ვაჟთა და ქუთაისის (ორი), ბათუმის, ჩოხატაურის და წყალტუბოს ქალთა გუნდები.

ასოციაციამ თავისი პირველი ჩემპიონატი და თასის გათამაშება გამართა.

ქალთა ოთხგუნდა ჩემპიონატში უძლიერესი აღმოჩნდა ბათუმის „კოლეჯი“ (მწვრთნელი ნიკო ბარამიძე), მეორე ადგილი ქუთაისის სპორტსკოლის გუნდს (მწვრთნელი თამარ კვანტრიშვილი) ერგო, მესამე კი ჩოხატაურისას (მწვრთნელი ზურაბ ახალაძე).

ორწრიან ტურნირში პირველობა ქუთაისის „ლოკომოტივი-ასკ“-მ (მწვრთნელი დავით მოდებაძე) მოიპოვა. მეორე და მესამე ადგილები, შესაბამისად, ქუთაისის სპორტსკოლისა და ბათუმის „ლოკომოტივს“.

ასოციაციის თასის ფინალებს ბათუმმა უმასპინძლა. იქაური „კოლეჯისა“ და ქუთაისის სპორტსკოლის მატჩის დაძაბულობაზე ისიც მეტყველებს, რომ თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ანგარიში საყაიმო (1:1) იყო. თუმც ბოლოსკენ უფრო გამოცდილმა ბათუმელმა ქალებმა იძალეს და კიდევ სამჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი. „კოლეჯმა“ ასოციაციის ჩემპიონობასთან ერთად თასიც დაისაკუთრა.

უკომპრომისო გამოდგა ვაჟთა გუნდების ფინალიც ბათუმის „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ლოკომოტივი—ასკ“-ს შორის (თამაშს ვეტერანი მსაჯები, ბათუმელი ნოდარ შანიძე და ქუთაiსელი თემურ არჩაია ემსახურებოდნენ). შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ 1:1 დასრულდა, პენალტების სერიაში კი იღბალმა მასპინძელთა გუნდს (მწვრთნელი ავთანდილ წითაიშვილი) გაუღიმა და თასსაც ის დაეუფლა.

— ასოციაციის პირველი ჩემპიონატისა და თასის გათამაშების გამართვაში დიდი დახმარება გაგვიწიეს აჭარის სპორტის დეპარტამენტმა, აჭარის და იმერეთის სპორტის და სპორტის მუშაკთა პროფკომიტეტებმა. ეს საქმის ოდენ დასაწყისია, — გვითხრა როლანდ ამაღლობელმა — სამომავლოდ დიდი გეგმები გვაქვს. საგაისოდ ასოციაციის ჩემპიონატებთან და თასის გათამაშებებთან ერთად გათვალისწინებული გვაქვს ჩვენი ვაჟთა და ქალთა გუნდების აზერბაიჯანსა და რუსეთში გამგზავრება. ასოციაციის თაოსნობით და აჭარის სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერით დაწყებულია მოლაპარაკება მომავალი წლის სექტემბერში, ბათუმში შავიზღვისპირა ქვეყნების ჰოკეისტთა გუნდების ტურნირის გამართვის თაობაზე. ერთსაც გეტყვით, ამ წლის ბოლოსთვის ასოციაცია გამოავლენს და წაახალისებს საქართველოს ყველა დროის, საუკუნის, საუკეთესო ჰოკეისტებს, გუნდებს, მწვრთნელებს, მსაჯებს.

**იუზა ქაციტაძე**

ჰოკეი

# მოერიდეთ ბრაზიან ეშმაკებს

11 დეკემბერი

**ნიუ ჯერსი — ატლანტა 4:0**

**0:0 2:0 2:0**

**1:0 მედენი 24'48 (12); 2:0 ნემჩინოვი 34'08 (5); 3:0 მედენი 44'28 (13); 4:0 მოგილნი 56'53 (8)**

ბოლო ხანს აღმავლობის გზაზე მდგარი ატლანტა თუ გაიმარჯვებდა, დივიზიონში პირველობაც შეეძლო და ქულათა 50-პროცენტიან ზღვარსაც გადააბიჯებდა. ეს გუნდის ორწლიან კარიერაში პირველად მოხდებოდა, მაგრამ ორი მარცხით გამწარებულმა „ეშმაკებმა“ არანაირი შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს. მარტინ ბროდოსთან (მესამე შათაუტი) თვით ოდეტი — ფერარო — ბრაუნეტის სამეულმაც კი ვერაფერი გააწყო.

**კოლორადო — ტამპა 2:2**

**0:0 2:1 0:1 0:0**

**1:0 დრური 20'49 (8); 1:1 ხარიტონოვი 32'23 (3); 2:1 ბურკი 37'13 (4); 2:2 8. ჯონსონი 57'03 (8)**

ტამპა მარცხებს სასწაულებრივ გადაურჩა. ჯერ პეტერ ფორსბერგს (2 პასი) აშკარა გოლი არ ჩაუთვალეს, რაც მატჩის შემდეგ თავად მსაჯებმაც აღიარეს, მერე კი ოვერტაიმში კრის დრურის დარტყმის შემდეგ დაცარიელებული კარი ფორვარდმა ვენსან ლეკავალიემ დაიცვა. ფორსბერგი მაინც უკმაყოფილო იყო, ასეთ მატჩებში ქულების დაკარგვა არ გვეპატიებაო.

**სამველ ლარიბიანი**



კოლორადოელი მარტინ სკულა (№41) და ტამპელი ალექსანდრ ხარიტონოვი შაიბისთვის იბრძვიან

## სატურნირო ვითარება

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 29 | 17 | 4 | 0 | 8 | 91:67 | 38 |
| ტორონტო | 29 | 16 | 4 | 2 | 7 | 96:64 | 38 |
| ბუფალო | 27 | 15 | 2 | 1 | 9 | 77:70 | 33 |
| ბოსტონი | 30 | 10 | 3 | 3 | 14 | 76:104 | 26 |
| მონრეალი | 30 | 9 | 3 | 0 | 18 | 73:90 | 21 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 29 | 14 | 5 | 0 | 10 | 97:72 | 33 |
| პიტსბურგი | 29 | 14 | 3 | 1 | 11 | 84:81 | 32 |
| რეინჯერსი | 30 | 15 | 0 | 0 | 15 | 102:106 | 30 |
| ფილადელფია | 29 | 13 | 4 | 0 | 12 | 76:81 | 30 |
| აილენდერსი | 28 | 8 | 4 | 2 | 14 | 65:82 | 22 |

**სამხრეთ - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვაშინგტონი | 28 | 10 | 6 | 1 | 11 | 67:74 | 27 |
| ატლანტა | 29 | 10 | 6 | 1 | 12 | 80:94 | 27 |
| კაროლინა | 27 | 11 | 3 | 1 | 12 | 65:79 | 26 |
| ტამპა | 28 | 9 | 3 | 2 | 14 | 79:100 | 23 |
| ფლორიდა | 28 | 5 | 5 | 5 | 13 | 59:82 | 20 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 27 | 20 | 3 | 0 | 4 | 95:51 | 43 |
| დეტროიტი | 31 | 17 | 1 | 2 | 11 | 94:83 | 37 |
| ნეშვილი | 30 | 11 | 5 | 1 | 13 | 67:77 | 28 |
| ჩიკაგო | 30 | 10 | 2 | 2 | 16 | 76:94 | 24 |
| კოლუმბუსი | 30 | 9 | 2 | 1 | 18 | 59:93 | 21 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 30 | 21 | 4 | 0 | 5 | 94:64 | 46 |
| ვანკუვერი | 31 | 16 | 4 | 2 | 9 | 107:82 | 38 |
| ედმონტონი | 31 | 15 | 4 | 0 | 12 | 89:82 | 34 |
| კალგარი | 31 | 8 | 6 | 4 | 13 | 68:89 | 26 |
| მინესოტა | 30 | 8 | 4 | 2 | 16 | 59:76 | 22 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 26 | 16 | 4 | 0 | 6 | 79:57 | 36 |
| ლოს ანჯელესი | 30 | 15 | 6 | 0 | 9 | 102:86 | 36 |
| დალასი | 28 | 15 | 4 | 1 | 8 | 75:59 | 35 |
| ფინიქსი | 29 | 13 | 8 | 0 | 8 | 74:65 | 34 |
| ანაჰაიმი | 32 | 10 | 4 | 3 | 15 | 75:96 | 27 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

ხელბურთი

# რუსი ქალები ევროპას იპყრობენ

**ვაჟ ხელბურთელთა** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლოსწინა ტურმა კიდევ ოთხი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაარკვია.

ის, რომ ვადამდე ორი მატჩით ადრე ადგილდაბევებულ სლოვენიის „პივოვარნას“ ყოფილი თანამემამულე ხორვატები შეუერთდებოდნენ, სათუო არ გახლდათ და მხოლოდ დროის საკითხი იყო. ეგებ ისეც მომხდარიყო, რომ ექვსქულიან „ბადელს“ ორივე თამაშის წაგების შემთხვევაშიც გაეღწია ჯგუფიდან, თუმც ბედს მინდობას აქტიურობა ამჯობინა და უშუალო კონკურენტის განადგურებით საქმე ბოლო წრემდე არ მიუყვანია.

დანარჩენ ჯგუფებში კი საგზურებისთვის უმძაფრესი ბრძოლა ახლაც გაგრძელდა და ბევრი რამ ჯერაც გაურკვეველია. შინ, ბარსელონაში, უმთავრესი მეტოქის — „მონპელიეს“ ძლევით კატალონიური კლუბიც ნაადრევად მიაღწევდა მიზანს. ასეც მოხდა — რეიტინგით გაცილებით მაღლა მდგომმა „ბარსამ“ ფრანგთა ჩემპიონს პირველ ტაიმში მხოლოდ რვა ბურთი გაატანინა, თავად ხუთით მეტი შეაგდო, შესვენების შემდეგ კი უფრო გაზარდა უპირატესობა.

მასპინძელთაგან შედეგიანობით ესპანეთის ნაკრების წევრები — ორტეგა (6) და მასიპი (5) გამოირჩნენ. „მონპელიეს“ ლიდერმა ფერნანდესმა კი მხჯერად მართალია, სულ სამჯერ იყოშლა, მაგრამ ხუთ შეხვედრაში გატანილი 54 ბურთით კვლავაც საუკეთესო გოლეადორად რჩება. ბარსელონაში „დაგეგმილი“ მარცხის მიუხედავად, ფრანგებს მეოთხედფინალის შანსი არ დაუკარგავთ — დასკვნით ტურში პოლონეთის ჩემპიონთან მოგება არ უნდა გაუჭირდეთ, „დუნაფერს“ კი ბარსელონაში უმძიმესი მატჩი ელის.

ზუსტად ერთნაირად ჩახლართული ვითარებაა დანარჩენ ორ ჯგუფში. იქ მხოლოდ თითო მეოთხედფინალისტია ცნობილი — „კილი“ და „ლოვჩენი“. დანიის ჩემპიონთან სტუმრად „ბრაგას“ ფრეც ხელს აძლევდა. თითქმის საბოლოოდ განწირულმა „გუგ გუდმეშ“ უმძაფრეს ბრძოლაში მინიმალურსხვაობიანი გამარჯვებით გარკვეული იმედი შეინარჩუნა, მაგრამ შეძლებს თუ არა შემდგომ ეტაპზე გასვლას, მხოლოდ ბოლო მატჩში გაირკვევა, ისევე როგორც „პორტლენდ სან ანტონიოსა“ და „რუნარ სანდფიორდის“ ბედი — მათ ურთიერთშეხვედრაში.

A ჯგუფი: „ბადელი“ (ხორვატია) — „რედბერგსლიდსი“ (შვედეთი) — 30:18; „პივოვარნა“ (სლოვენია) — „ანკარა“ (თურქეთი) — 34:31.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 5 | 0 | 0 | 161:123 | 10 |
| ბადელი | 4 | 0 | 1 | 133:115 | 8 |
| რედბერგსლიდსი | 1 | 0 | 4 | 107:142 | 2 |
| ანკარა | 0 | 0 | 5 | 122:143 | 0 |

B ჯგუფი: „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „მონპელიე“ (საფრანგეთი) — 24:17; „დუნაფერი“ (უნგრეთი) — „გდანსკი“ (პოლონეთი) — 21:17

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 0 | 125:107 | 8 |
| დუნაფერი | 3 | 1 | 1 | 117:115 | 7 |
| მონპელიე | 2 | 1 | 2 | 122:121 | 5 |
| გდანსკი | 0 | 0 | 5 | 104:125 | 0 |

C ჯგუფი: „კილი“ (გერმანია) — „პალამანო“ (იტალია) — 34:24; „გოგ გუდმე“ (დანია) — „ბრაგა“ (პორტუგალია) — 26:25

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კილი | 3 | 1 | 1 | 136:113 | 7 |
| ბრაგა | 3 | 0 | 2 | 118:129 | 6 |
| გოგ გუდმე | 2 | 0 | 3 | 131:130 | 4 |
| პალამანო | 1 | 1 | 3 | 135:148 | 3 |

D ჯგუფი: „პორტლენდ სან ანტონიო“ (ესპანეთი) — „ბანიკი“ (ჩეხეთი) — 35:25; „სანდფიორდი“ (ნორვეგია) — „ლოვჩენი“ (იუგოსლავია) — 23:28

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლოვჩენი | 3 | 1 | 1 | 129:123 | 7 |
| პორტლენდი | 3 | 0 | 2 | 137:127 | 6 |
| სანდფიორდი | 2 | 0 | 3 | 123:132 | 4 |
| ბანიკი | 1 | 1 | 3 | 143:150 | 3 |

ქალთა ლიგა იანვრამდე ისვენებს. მიზეზი რუმინეთში მიმდინარე ევროპის მორიგი ჩემპიონატია.

12 ნაკრები ორ ჯგუფშია განაწილებული. ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გააგრძელებს პირველობისთვის ბრძოლას, თუმცა მეხუთე ადგილისთვისაც ღირს წვალება, რადგან სწორედ პირველი ხუთეული მიიღებს საგაისო მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს.

ყველაზე ყოჩაღად გამოიყურება რუსთა გუნდი. იგი ერთადერთია, სამ ტურში ჯერ ქულაც რომ არ დაუკარგავს. გაცილებით ბუნდოვანია ვითარება მეორე ჯგუფში — იქ ბევრად უფრო თანაბარძალოვანი მეტოქეები შეიყარნენ. საკმარისია ითქვას, რომ ცხრიდან ოთხი შეხვედრა ფრედ დასრულდა და ნახევარფინალისტების ვინაობის შესატყობად იქნებ ბურთების შეფარდება აღმოჩნდეს გადამწყვეტი. გამოსარჩევი კი ოლიმპიურ ჩემპიონ დანიელთა სუსტი სტარტია, ასე თუ გაგრძელდა, არაა გამორიცხული, ისინი უმედლოდ დარჩნენ.

**გია ახალაძე**

**A ჯგუფი**

8 დეკემბერი

**უნგრეთი 33:33 იუგოსლავია**

**გერმანია 30:20 ავსტრია**

**რუსეთი 22:21 საფრანგეთი**

9 დეკემბერი

**უნგრეთი 33:22 გერმანია**

**საფრანგეთი 29:16 იუგოსლავია**

**რუსეთი 28:19 ავსტრია**

10 დეკემბერი

**საფრანგეთი 25:19 გერმანია**

**უნგრეთი 35:12 ავსტრია**

**რუსეთი 27:20 იუგოსლავია**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 0 | 0 | 77:60 | 9 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 101:67 | 8 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 72:60 | 7 |
| გერმანია | 1 | 0 | 2 | 71:78 | 5 |
| იუგოსლავია | 0 | 1 | 2 | 72:86 | 4 |
| ავსტრია | 0 | 0 | 3 | 51:93 | 3 |

**B ჯგუფი**

8 დეკემბერი

**რუმინეთი 29:28 ბელარუსი**

**მაკედონია 20:19 დანია**

**ნორვეგია 24:24 უკრაინა**

9 დეკემბერი

**უკრაინა 29:29 დანია**

**რუმინეთი 19:19 მაკედონია**

**ნორვეგია 26:26 ბელარუსი**

10 დეკემბერი

**უკრაინა 27:19 მაკედონია**

**რუმინეთი 26:22 ნორვეგია**

**დანია 34:26 ბელარუსი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 74:69 | 8 |
| უკრაინა | 1 | 2 | 0 | 80:72 | 7 |
| დანია | 1 | 1 | 1 | 82:75 | 6 |
| მაკედონია | 1 | 1 | 1 | 58:65 | 6 |
| ნორვეგია | 0 | 2 | 1 | 72:76 | 5 |
| ბელარუსი | 0 | 1 | 2 | 80:89 | 4 |


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
◆ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
◆ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
◆ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109



18-22 დეკემბერს საქართველოს ბოულინგის ფედერაცია, სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით თბილისის ბოულინგ ცენტრში პირველად ატარებს
საქართველოს ღია ჩემპიონატს
მონაწილეთა რეგისტრაცია 16 დეკემბრამდე

# ესეც ჩემპიონობა

კრივი ევროპაშიც დიდი სანახაობაა, ოღონდ ეგ არის, რომ ლას ვეგასიდან გამოჭრილი სხივი ევროპულ ბრძოლებს აღარ დაგანახებს ხოლმე. ეგებ, მკითხველისთვის არცთუ ნაცნობი იყოს ამერიკელი კადი კინგისა (მარცხნივ) და გერმანელი დარიუშ მიხალჩევსკის სახელები, მაგრამ ისინი ორგანიზაციის (ვბო) ქვემძიმე წონის ჩემპიონობისთვის იბრძვიან გერმანიის ქალაქ ესენში.





REUTERS მაიამიდან

# აქაც ბუში

მაიამი ფლორიდაა, ტამპა ბეიც ფლორიდაა. ფლორიდა კი ის ადგილია, სადაც ჯერაც ვერ გარკვეულა თუ ვინ გახდება ამერიკის პრეზიდენტი. ამიტომ, ამ ქალაქთა გუნდების „დელფინებისა“ და „ბუკანიერების“ საბურთაო თამაშის მაცქერალს რომ ჯორჯ ბუშის ნიღაბი მოურგია, საკვირველი სულაც არ არის.

მეორე სურათზე კი ხუმრობის ნიშანწყალიც არ არის — „ჯაიანთსის“ სტადიონზე პიტსბურგელი ჯო პორტერი,· ნიუიორკელი ამანი ტუმერის შებოჭვას ლამობს.



REUTERS მაიამიდან



REUTERS ლონდონიდან

# ამა ველოდ მოვესწარ

ჰითროუს აეროპორტში ამაყ მოაგორებს თასით დამშვენებულ ურიკ ინგლისის მოკრიკეტეთა ნაკრების კაპიტანი ნასერ ჰუსეინი. ინგლისელებმა ისტორიულ ჯახში დაამარცხეს პაკისტანელები შიგ შუაგულ ყარაჩიში ამით ტესტ-სერია მოიგეს და შესძახეს ამ გამარჯვებას ოცდათვრამეტ წელიწადს ველოდითო.

# ხიფათიანი გზები

ხიფათიანი ტურიზმის მოყვარულნი ახლა ჰონკონ ახლო მთებში და წყლისპირებში დგამენ ძველ ნაბიჯ სამოცდაათ გუნდად დაყოფილი ორასი ათასი ტური ერთმანეთს ხიფათიან სვლაში ეჯიბრება. ოთხეტაპ მამაკაცური შეჯიბრის ჩატარების სხვა ადგილ ტაილანდი, ტაივანი და მალა



REUTERS ჰონკონგიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მექველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო აბელედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრ ყაზბეგის გამზირი 42, I კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტ ყუთი 208. ტელეფონი: 39 4
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge